ალტე უნივერსიტეტი

alte UNIVERSITY

# სამეცნიერო შრომების კრებული

# SCIENTIFIC JOURNAL

№1 (11)

თ ბ ი ლ ი ს ი

2020–2021

**რედაქტორი**

| | |
|---|---|
| მზია ჯამაგიძე | ალტე უნივერსიტეტი, საქართველო |

**სარედაქციო კოლეგია**

| | |
|---|---|
| ბაოტიანი პან | ლანჟოუს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ჩინეთი |
| გაბისონია ზვიად | ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო |
| თოქმაზიშვილი მიხეილ | ალტე უნივერსიტეტი, საქართველო |
| იუსუბოვი სებუჰი | აზერბაიჯანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი |
| ცხადაძე ქეთევან | ალტე უნივერსიტეტი, საქართველო |
| წერეთელი მზია | ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო |
| შამილაშვილი მანანა | ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო |
| მაისაშვილი ხათუნა | ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| მაყაშვილი ანა | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| ჩოჩია არჩილ | ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი |
| ჯამაგიძე ლელა | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| სკოტი ჯონათან | ოსტინ პეის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ) |

**ტექნიკური უზრუნველყოფა**

ლაშა ბოლქვაძე
თამთა ნიკოლაძე

**რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი**
© ყველა უფლება დაცულია

წარმოდგენილი ნაშრომები იბეჭდება უცვლელი სახით. ნაშრომის ხარისხსა და შინაარსზე პასუხს აგებს ავტორი და რეცენზენტი. ჟურნალის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით და საშუალებით არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორის ან გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე. საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

**უაკ (UDC) 378 (479.22) (066)**
**ს-323**
**E ISSN 2667-9086**

**Editor**

| | |
|---|---|
| Mzia Jamagidze | Alte University, Georgia |

**Editorial** Board

| | |
|---|---|
| Baotian Pan | Lanzhou University Vice-Prezident, China |
| Gabisonia Zviad | Business and Technology University, Georgia |
| Tokmazishvili Mikheil | Alte University, Georgia |
| Iusibov Sebuh | Azerbaijan Technological University, Azerbaijan |
| Tskhadadze Ketevan | Alte University, Georgia |
| Tsereteli Mzia | Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia |
| Makashvili Ana | Ilia State University, Georgia |
| Shamilashvili Manana | Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia |
| Maisashvili Khatuna | Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia |
| Chochia Archil | Tallinn University of Technology, Estonia |
| Jamagidze Lela | Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia |
| Scott Jonathan | Austin Peay State University (USA) |

**Technical Support**

Lasha Bolkvadze
Tamta Nikoladze

**Referred and Reviewed International Scientific Practical Journal**
© All rights are reserved.

The views of authors are possible not to coincide with the editorial staff. The authors and the reviewers are responsible for the quality and content of work.
It is not allowed to use any of the part of work without permission of authors or publisher. The violation of the author's rights can be punished by the law.

**E ISSN 2667-9086**

# შინაარსი


## ეკონომიკა და ბიზნესი ........................................................................7

თანაბარი შესაძლებლობების განვითარების ზოგიერთი საკითხისათვის საქართველოში
***ელენე ჩიქოვანი*** ........................................................................8

კრიპტოვალუტის აღრიცხვის საკითხები ფასს-ის მიხედვით
***ნელი სესაძე , ნინო გრიგოლაია*** ........................................................................20

ურთიერთობათა მარკეტინგი და კლიენტინგი მომსახურების ბაზარზე
***მარინე ალანია*** ........................................................................28

კრიზისი როგორც შესაძლებლობა ქვეყნის განვითარებისთვის
***მაია გუნცაძე*** ........................................................................38

ალგორითმები, პერსონალურ მონაცემებზე წვდომა და მისი გამოწვევები
***ნინო ცხოვრებაშვილი*** ........................................................................45

## სამართალი ........................................................................53

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობის გაზრდის პროცესუალური ინსტრუმენტები
***თამარ ჭარბაძე*** ........................................................................54

## ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები ..........................69

შექსპირის „ჰამლეტის“ პოსტმოდერნიზაცია ტომ სტოპარდის პიესაში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“
***ილია პაჭკორია*** ........................................................................70

ფსიქოლოგის როლი ზოგადი განათლების სისტემაში კარიერის მართვის პროცესში
***ნელი მერაბიშვილი*** ........................................................................80

კოლექტიური ინტელექტი
***კონსტანტინე ვეკუა*** ........................................................................88

კინოსა და ტექსტის ურთიერთქმედების სემიოტიკა XX საუკუნის 20-იან წლებში
***ლევან გელაშვილი*** ........................................................................105

ფუტურიზმის კონცეფცია ზურა ჯიშკარიანის რომანში „საღეჭი განთიადები უშაქროდ“
***მზია ჯამაგიძე*** ........................................ 124

ირანის მძევლების კრიზისი
***ლაშა ბოლქვაძე*** ........................................ 135

# CONTENTS

## ECONOMICS AND BUSINESS ........................................ 7

About Some Issues Of Development Of The Equal Opportunities In Georgia
***Elene Chikovani*** ........................................ 8

Cryptocurrency Accounting Issues According To IFRS
***Neli Sesadze, Nino Grigolaia*** ........................................ 20

Relationship Marketing And Customer Service In The Market
***Marine Alania*** ........................................ 28

Crisis As An Opportunity For Georgia’s Development
***Maia Guntsadze*** ........................................ 38

Algorithms, Access To Personal Data And Its Challenges
***Nino Tskhovrebashvili*** ........................................ 45

## LAW ........................................ 53

Procedural tools to increase the effectiveness of the Constitutional Court decision
***Tamar Charbadze*** ........................................ 54

## HUMANITIES AND SOCIAL ........................................ 69

Postmodernisation Of Shakespeare’s „Hamlet“ In Tom Stoppard’s Play „Rosencrantz And Guildenstern Are Dead“
***Ilia Pachkoria*** ........................................ 70

The Role Of Psychologist In The Career Management Process At The Elementary Education System
***Neli Merabishvili*** ........................................ 80

Collective Intellect
***Konstantine Vekua*** .......... 88

Semiotics Of The Interaction Of Film And Text In The 20s Of The XX Century
***Levan Gelashvili*** .......... 105

Futurism In The Novel „Chewing Daybreak Sugar Free“ By Zura Jishkariani
***Mzia Jamagidze*** .......... 124

Iranian Hostage Crisis
***Lasha Bolkvadze*** .......... 135

# ეკონომიკა და ბიზნესი

# ECONOMICS AND BUSINESS



# თანაბარი შესაძლებლობების განვითარების ზოგიერთი საკითხისათვის საქართველოში

**ელენე ჩიქოვანი**

*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*

*ალტე უნივერსიტეტი*

**Elene Chikovani**

*Doctor of Economic Sciences, Professor*

*Alte University*

Elene_customs@yahoo.com

## ABOUT SOME ISSUES OF DEVELOPMENT OF THE EQUAL OPPORTUNITIES IN GEORGIA

### Abstract

The article characterizes problems of the development of equal opportunities in high education. Reviews disadvantages characterized for the current model of financing of the high education of Georgia which, in some cases, creates drawback barriers for the development of the equal opportunities and accesses to the high education. Analyses the tendencies formed in the development of the public and private sectors of education in Georgia. The issues of the necessity to the crossing -over to the new model of the financing of the high education is raised. Positive and negative sides of the existing model of the funding of high education is given. The models of the funding of the high education in different countries of the world are characterized. The proposals for the development of the alternative sources of the financing are suggested, which help forward of the development the equal opportunities and the access to the public and private high education. In the aim for the further improvement the measures for the redistribution of burden of the cost of education, the improvement the access to the education of the unsecured part of population and creation of the competitive environment are grounded.

**Keywords:** High Education; Models of The Funding of High Education; Development of The Equal Opportunities; Access to The High Education; Competitive Environment.

* * *

ბოლო პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბებული ტენდენციის სახეს იღებს სახელმწიფოს მიერ მეწარმის ფუნქციის აღების მიდგომები. სახელმწიფოს ჩარევა ძლიერდება ჯანმრთელობის დაცვისა და მომსახურების სხვა სფეროებში, რაც საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება და არათანაბარი შესაძლებლობების განვითარების პირობებს ქმნის. აღნიშნული პროცესები განსაზღვრულ გამოწვევებს აყალიბებს უმაღლესი განათლების სისტემისა და მისი დაფინანსების მექანიზმების მიმართაც.

განათლების სფერო მთავრობის მიერ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული, რაც განათლების სფეროს მნიშვნელობითა და როლით არის განპირობებული და ეკონომიკის განვითარებისა და საქართველოში განათლების სისტემის დაფინანსების სფეროში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, უდავოდ, აუცილებელ და წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. უმაღლესი განათლების დაფინანსების სფეროში მიმდინარე რადიკალური ცვლილებები დღის წესრიგში აყენებს დაფინანსების ადეკვატური მოდელის შემოღების აუცილებლობას, რაც მოითხოვს შესაბამისი ცვლილებების შეტანას ამჟამად მოქმედი მოდელის ცალკეულ კომპონენტებში და უმაღლესი განათლების სფეროში რიგი თანამდევი ასპექტების გათვალისწინებასაც მოითხოვს. ამჟამად მთავრობის მიერ კურსი განათლების დაფინანსების მკვეთრი ამაღლებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის გაძლიერებისაკენ არის აღებული, რაც არსებითად განათლების სახელმწიფო სექტორით შემოიფარგლება და ხელს უწყობს სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის არათანაბარი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას. სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, ქვეყანაში იზრდება სახელმწიფო დანახარჯი უმაღლეს განათლებაზე, რაც მოიცავს სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტებს, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების დაფინანსებას. იზრდება სოციალური პროგრამები მოწყვლადი სტუდენტების სწავლის დაფინანსების მიზნით. ასევე, გაიზარდა სახე-

ლმწიფო სტიპენდიების პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტების მხარდაჭერას. სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები ზუსტი და საბუნებისმეტყველო, აგრარული, საინჟინრო და რიგი სხვა მეცნიერებების მიმართულებით; ეროვნული უმცირესობებისთვის შემუშავებულია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე გამარტივებული მიღების და დაფინანსების მექანიზმები; (სტრატეგია 2017-2021 პროექტი, 32-38).

ზემოაღნიშნულზე მიგვანიშნებს ქვეყნის უმაღლესი განათლების სახელმწიფო და კერძო სექტორებში ჩამოყალიბებული ტენდენცია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2019-2020 სასწავლო წელს საქართველოს 62 (19 სახელმწიფო და 43 კერძო) უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში 148 803 სტუდენტი სწავლობდა, 2000-2001 წელთან შედარებით, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა 26-დან 19-მდე, ხოლო კერძო უმაღლესი სასწავლებლების კი 145-დან 43-მდე შემცირდა. სტუდენტთა რიცხვი იმავე პერიოდში სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში 105 822-დან 95 535-მდე შემცირდა. კერძო უმაღლეს სასწავლებლებში კი 33 138-დან 53 268-მდე გაიზარდა. 2019-2020 სასწავლო წლისათვის ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა 5 733-ს შეადგენდა და დასაქმებული იყო 9 894-მდე აკადემიური და კვლევითი პერსონალი [საქსტატი]. ქვეყანაში იზრდება უცხოელი სტუდენტების რაოდენობა. საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2019-2020 სასწავლო წელს უცხოენოვან საბაკალავრო პროგრამებზე 2 943, ხოლო მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის), რეზიდენტურის პროგრამებზე სულ 10 382 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. [საქსტატი]

სახელმწიფომ აიღო კურსი განათლების სფეროში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების სისტემის მოწესრიგების მიმართულებით, რომლის მაგალითსაც ქვეყნის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების უკვე განხორციელებული მატება და სკოლამდელ დაწესებულებებში კი დაგეგმილი სამართლიანი გადასინჯვა წარმოადგენს, რაც უკვე აისახა სტატისტიკურ მაჩვენებლებზე. ასე, რომ თუ 2018 წელს განათლების სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი საქართველოში 594.6 ლარს შეადგენდა, 2019 წლის მესამე კვარტალში 931.2 ლარს მიაღწია, რაც საჯარო ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში ხელფასების ზრდის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიების პირდაპირ შე-

დეგს წარმოადგენს და უკვე წინ უსწრებს განათლების არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მაჩვენებელს. (2018 წლისათვის განათლების სახელმწიფო სექტორში 573.6 ლარს შეადგენდა ხოლო არასახელმწიფო სექტორში კი 708, 7 ლარს). [საქსტატი]. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ეს ცვლილება არ განხორციელებულა კერძო (არასახელმწიფო სექტორის) უმაღლესი და პროფესიული განათლების სფეროში, სადაც ხელფასის ოდენობა ხშირ შემთხვევებში ჩამორჩება განათლების სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასებს. შექმნილი სიტუაცია მით უფრო დამაფიქრებელია შრომის ანაზღაურების სფეროში არსებული უსისტემობის ფონზე, რომლის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასების სარგოები დაკავებული თანამდებობების მიხედვით, რომლის თანახმადაც, განათლების სფეროში სპეციალისტ-პროფესიონალების ხელფასი 2017 წელს საქართველოში 648, 4 ლარს შეადგენდა, რაც 3.4-ჯერ ჩამორჩებოდა კანონმდებლობისა და მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობების პირების ხელფასების ანალოგიურ მაჩვენებლებს, 3.8-ჯერ კორპორაციული მენეჯერების და 1.5-ჯერ სპეციალისტი პროფესიონალების ხელფასებს[საქსტატი]. ამ ფონზე, განათლების სფეროში, გამონაკლისს მხოლოდ კერძო უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემა წარმოადგენს, სადაც შრომის ანაზღაურება არ იზრდება და შესაბამისად, ასახავს ქვეყნის მასშტაბით, ეკონომიკის დანარჩენი სექტორების მიხედვითაც, დამკვიდრებულ უსისტემობას. ამდენად, ქვეყანაში შრომის ფასს ბაზარი კი არ აყალიბებს არამედ, იგი განუკითხაობის პირობებში ქაოტურად ყალიბდება, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მთლიანი შიდა პროდუქტის შემოსავლების ფორმირების ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის შემოსავლების განაწილებაში ხელფასის წვლილი 33%-ს შეადგენდა, მთლიანი საოპერაციო მოგების წილი 39%-ს, მაშინ როდესაც, აშშ-ს მშპ-ს სტრუქტურაში მომუშავეთათვის საკომპენსაციო ანაზღაურებების წილი (რომელიც მოიცავს ხელფასს, ჯამაგირს, სხვადასხვა პრემიას) ხვედრითი წილი 57% და კორპორატიული მოგების ხვედრითი წილი 7.5% იყო. [ჩიქობავა და კაკულია, 2009, 42] შემოსავლების დიფერენციაციის კვალობაზე იზრდება უთანასწორობა, რაც შემოსავლების გადანაწილების ეფექტური მექანიზმების ამოქმედებას მოითხოვს.

შრომის ბაზარზე შრომის ფასს სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული თანაფარდობა ადგენს. შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში კე-

რძო სექტორში შრომის ანაზღაურების დონე უფრო მაღალია ვიდრე სახელმწიფო სექტორში. სახელმწიფო სექტორში შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ხდება იმ ორიენტირებზე დაყრდნობით, რომ იგი დაეწიოს კერძო სექტორში არსებულ დონეს, რათა ხელი შეუშალოს მაღალკვალიფიციური კადრების კერძო სექტორში გადადინებას. საპირისპირო მდგომარეობას აქვს ადგილი საქართველოში. ამჟამად, საქართველოში არსებული ვითარება არსებით ზემოქმედებს ახდენს სწავლების ხარისხზე, ხელს უწყობს მეცნიერებისა და განათლების სფეროში დასაქმებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გადადინებას ეკონომიკის სხვა სფეროებში, ასევე ქვეყნიდან კადრების გადინებას, რაც ე. წ. „ტვინების გადინების“ სახელით არის ცნობილი და დემოტივაციის პირობებს ქმნის ახალგაზრდების შემოსვლისათვის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, რაც განსაკუთრებით აქტუალურია კადრების დაბერების ფონზე.

პარალელურად, იზრდება უმაღლესი განათლების სფეროს შემოსავლები. ჩატარებული კვლევების მიხედვით, „საქართველოში უმაღლესი განათლების სექტორის შემოსავალი 251 მლნ. ლარიდან 691 მლნ. ლარამდე გაიზარდა 2009-2019 წლებში. სწავლის საფასური შემოსავლის ძირითადი წყაროა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინსტიტუტებისთვის. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლება საქართველოში, ძირითადად, დაფინანსებულია ჯიბიდან გადახდებით (წილი 77% 2019 წელს), ხოლო მთავრობის დაფინანსება მცირეა (23%)“. (ბოჭორიშვილი და პერანიძე, 2020, 29). განათლების კერძო სექტორის შემოსავლების ზრდის ტემპმა ბოლო ათწლეულში გადააჭარბა საჯარო სექტორს და მისი წილი ჯამურ შემოსავლებში 10.3 პროცენტული პუნქტით 33.2%-მდე გაიზარდა 2009-2019 წ.წ. პერიოდში. როგორც კვლევის მონაცემები ადასტურებს, კერძო სექტორის შემოსავლების ზრდა, ერთი მხრივ, გამოიწვია სტუდენტების გაზრდილმა რაოდენობამ, მეორე მხრივ, გაიზარდა მოთხოვნა მაგისტრატურის საფეხურზე და იმატა საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობამ, რამაც გაზარდა შემოსავალი ერთ სტუდენტზე. ჩატარებული კვლევის მიხედვით, კერძო უმაღლესი განათლება მომგებიანი სექტორია, რომლის წმინდა მოგებაც 11.5 მლნ ლარიდან 42.8 მლნ ლარამდე გაიზარდა 2009-2019 წლებში. გაზრდილი შემოსავლებისა და გაუმჯობესებული ეფექტურობის შედეგად, სექტორის წმინდა მოგების მარჟამ 2017-18 წლებში 25%-ს მიაღწია“ (იქვე, 29.) ამავე დროს, როგორც კვლევები ადასტურებს, „უმაღლესი განათლება არის მძიმე ფინანსური ტვირთი ქართველი მოსახლეობისთვის. იგი საკმაოდ მაღალია ევროპის მაღალშემოსავლიან და განვითა-

რებად ქვეყნებთან შედარებით, რაც ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო დაფინანსების სიმწირით. სწავლის საფასური წარმოადგენს უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ მთავარ დანახარჯს, 85% წილით ჯამურ ხარჯებში. ქართველ სტუდენტებს ძირითადად ფინანსურად ოჯახები ეხმარებიან, როცა სხვა ევროპულ ქვეყნებში სტუდენტების შემოსავლებში მეტი წილი უკავია თვითგამომუშავებულ შემოსავლებს და სახელმწიფო დახმარებას, რაც ამსუბუქებს ფინანსურ ტვირთს შინამეურნეობებზე". (იქვე, 33-34).

ამჟამად, დისკუსიის საგანს წარმოადგენს საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის ეფექტურობა. ცალკეულ ავტორთა აზრით, „დაფინანსების ვაუჩერული სისტემა, რომელიც ამჟამად ქვეყანაში მოქმედებს არაერთ უარყოფით შედეგს იწვევს: აყალიბებს მართვის არაჯანსაღ სისტემებს, სრულად მაინც ვერ უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობას და არ ქმნის სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობას, ინსტიტუციური განვითარებისთვის აუცილებელ სტაბილურობას. ვითარებას მნიშვნელოვნად ვერ ცვლის ე.წ. პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსებაც. ამდენად, საჭიროა, შემუშავებულ იქნეს უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც დაეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია განახლებული და ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები." (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 პროექტი, 32-38).

„უმაღლესი განათლების შესახებ" მოქმედი საქართველოს კანონის 79-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით და სამაგისტრო გრანტით (მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე); ბ) გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები; გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები; ე) სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება; $ე^1$) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება; ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2010).

ზემოაღნიშნული მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, საკონკურსო შერჩევის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ გრანტის გაცემა შემოიფარგლება მხოლოდ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სფეროს დაფინანსებით და არ ქმნის პირობებს უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო დაფინანსებისადმი თანაბარი მისაწვდომობის განვითარებისათვის. ეს თემა სადავო არ ხდება, როცა საქმე ეხება სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისა და ინოვაციების სფეროს, რომელიც რისკთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის ტვირთის სახელმწიფოზე გადანაწილებასა და ამ სფეროების სახელმწიფოებრივ მხარდაჭერის აუცილებლობას გულისხმობს. უმაღლესი განათლების სფეროს დაფინანსებაში შექმნილი უთანაბრო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა რეგულირების ისეთი მექანიზმების შემოღება, რომლებშიც კონკურსის საფუძვლებზე, აისახება ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა სასწავლო პროცესების დასაფინანსებლად. ჩვენი აზრით, ეს ნორმა უნდა გავრცელდეს სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული, შრომის ბაზარზე მაღალი მოთხოვნის მქონე დეფიციტური სპეციალობების სპეციალისტთა საკონკურსო (და არა ვაუჩერული) წესით სრულ დაფინანსებაზე, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყანაში თანაბარი შესაძლებლობების განვითარებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების პროცესებს. მითუმეტეს, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბიუჯეტო დაფინანსება ორიენტირებულია სწავლებასა და სამეცნიერო კვლევაზე, ამ დაწესებულებისათვის კადრების მომზადებაზე, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე (კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2010). შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტური, სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტული რეგულირებადი მიმართულებების სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სპეციალობათა ნუსხის განსაზღვრისას, სწორედ საკონკურსო შერჩევის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ გაცემული სახსრები უნდა იქნეს გამოყენებული და თანაბრად დაფინანსდეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტებული პროგრამები. ასეთი დაფინანსება უნდა შეეხოს ნაკლებად პრესტიჟული აკადემიური პროგრამების, მასწავლებელთა მომზადების პროგრამების, ზრდასრულთა განათლების პროგრამების დაფინანსებას. სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე, უნდა იყოს უზრუნველყოფილი ე.წ. „უფასო“ ადგილების არსებობა, რომელთა დაკავებაც შეეძლებათ სტუდენტებს როგორც აკადემიური მოსწრების, ასევე სოციალური საჭიროების საფუძველზე. ასეთი მიდგომა შექმნიდა საფუძველს ხარისხიანი განათლებისადმი მისაწვდომობის თანაბარი შე-

საძლებლობების გაძლიერებისათვის და ხელს შეუშლიდა განათლების სფეროში არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას.

ამჟამად, საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების არსებული მოდელი (ვაუჩერული დაფინანსების სისტემა), გულისხმობს მოსწავლეების/სტუდენტების რაოდენობაზე დამოკიდებულ დაფინანსებას. აღნიშნული რეფორმა ქვეყანაში 2005 წლიდან განხორციელდა. რეფორმის მიზანი იყო დაფინანსების გამჭვირვალობის გაზრდა, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კონკურენციის გაძლიერება და ფინანსური ავტონომიის უზრუნველყოფა. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ 100%, 70% და 50%-იანი გრანტი, შესაბამისად, წელიწადში 2,250 ლარი, 1,575 ლარი და 1,125 ლარის მოცულობით. საგრანტო (თითო სტუდენტის) დაფინანსების გარდა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ მიიღონ მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება (მხოლოდ საჯარო დაწესებულებებს) და კვლევითი გრანტები (ბოჭორიშვილ და პერანიძე, 2020, 57).

მკვლევართა აზრით, უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემის ცვლილება „გულისხმობდა უნივერსიტეტების პირდაპირი წესით დაფინანსების ჩანაცვლებას სტუდენტზე მიბმული დაფინანსებით. სისტემის შეცვლის მიზანი იყო სახელმწიფო თანხების განაწილებისა და განკარგვის პროცესში არსებული კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა. სახელმწიფოს მიერ თითო სტუდენტზე გაცემული თანხა ფარავს მხოლოდ ე.წ. სწავლების საფასურს. გარდა ამისა, სახელმწიფო გასცემს დაფინანსებას არა სტუდენტთა რაოდენობის, არამედ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. დანარჩენმა სტუდენტებმა კი სწავლების საფასური თავად უნდა დაფარონ. ამჟამად, როგორც რეგიონში, ასევე მსოფლიოში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა სახელმწიფო დაფინანსებაზე ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად დამოკიდებულ სისტემას წარმოადგენს. დაფინანსების სიმწირე ხელს უშლის უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, რაც შეეხება ხელმისაწვდომობას, საქართველოში უმაღლესი განათლების დაფინანსების ტვირთი ძირითადად კერძო პირებს – სტუდენტებსა და მათ ოჯახებს აწევთ. სტუდენტთა დაფინანსების ამჟამად არსებული სისტემის პირობებში კი სახელმწიფო, დიდი ალბათობით, აფინანსებს ფინანსურად უკეთ უზრუნველყოფილ სტუდენტებს, რაც შეეხება სოციალური საჭიროების საფუძველზე დაფინანსებას, ამაზე სულ სასწავლო გრანტების 6-დან 10%-მდე გამოიყოფა. ამ დაფინანსების მიღება შეუძლიათ ომში დაღუპუ-

ლთა შვილებს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სტუდენტებს, მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის ზონებში მცხოვრებთ და სხვა.“ (ჩახაია, 2013, 17-20).

მკვლევართა ნაწილის მიხედვით, უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმი ბოლო პერიოდში იცვლება ევროპის ქვეყნებშიც, რაც უნივერსიტეტების მიერ სახელმწიფო ფინანსების განკარგვის მზარდ ავტონომიასა და თანხების გამოყოფის წესის გამარტივებაში აისახება. უნივერსიტეტების მიერ საჯარო დაფინანსების მისაღებად ევროპაში ორი ძირითადი წესი მოქმედებს: ბლოკ-გრანტების მიღება და მუხლობრივი დაფინანსება. მუხლობრივი დაფინანსების პირობებში უნივერსიტეტებს თანხა გადაეცემათ კონკრეტული დანიშნულებით და შესაბამისად, მათ უფლება არ აქვთ, საკუთარი შეხედულებისამებრ გაანაწილონ ეს თანხა. ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში ბლოკ-გრანტები წარმოადგენს დაფინანსების მთავარ მექანიზმს და შესაბამისად თვითონ უნივერსიტეტის შიდა სტრუქტურები გადაწყვეტენ, თუ როგორ განაწილდეს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება. ყველაზე გავრცელებული არის თანხების განაწილება დაფინანსების ფორმულის საფუძველზე. დაფინანსების ფორმულებში მონაწილეობს წინა წელს ამა თუ იმ უნივერსიტეტში დარეგისტრირებული სტუდენტების რაოდენობა, ზოგ ქვეყანაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია სასწავლებელს. ამასთან, ევროპაში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება ფორმულაში ახალი კომპონენტის – შესრულების/პროგრესის ინდიკატორის ჩართვა, რათა დაფინანსება დამოკიდებული იყოს არა მხოლოდ რესურსზე, არამედ პროდუქტზე. ამ პარამეტრის ძირითად შემადგენელ ნაწილს სტუდენტების პროგრესის ინდიკატორები წარმოადგენს, როგორიც არის, მაგალითად, უნივერსიტეტის დასრულების მაჩვენებელი, დაგროვებული კრედიტების რაოდენობა, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ინდიკატორები და სხვა. ინდივიდებსა და შინამეურნეობებზე განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ სახსრების 78% პირდაპირ გადაეცემა უნივერსიტეტებს განსაკარგავად. ზოგ ქვეყანაში სახელმწიფო უფრო მეტს ხარჯავს სტუდენტთა პირდაპირ დახმარებაზე. რიგ ქვეყნებში კი სტუდენტებისა და მათი ოჯახებისთვის გადაცემული თანხები კონკრეტულად მათი დახმარების (და არა უნივერსიტეტების დაფინანსების) საშუალებას წარმოადგენს. (იქვე, 8-11).

განვითარებას მოითხოვს სწავლების საფასურის განსაზღვრისა და სტუდენტთა დახმარების მექანიზმები. სოციალური გრანტების უდიდესი ნაწილი მიზანშეწონილია გაიცეს დაბალშემოსავლიან/სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე, რაც შეამცი-

რებდა განათლებისადმი მისაწვდომობის სფეროში არსებულ უთანაბრობას.

გასათვალისწინებელია დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოზიდვის, გააქტიურების საკითხიც. საზღვარგარეთის ქვეყნებშიც განათლების სფეროს ფინანსურ დახმარებას უწევენ საწარმოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ თანამშრომელთა ტრენინგისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარებას ან აფინანსებენ სტუდენტთა გარკვეული ნაწილის სტიპენდიებს ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე. დაფინანსების ასეთი მექანიზმი ხელშემწყობ პირობებს უნდა ქმნიდეს საწარმოთა დაინტერესებისათვის. ასეთ მექანიზმს ევროპის ქვეყნებში წარმოადგენს საწარმოთა საშემოსავლო გადასახადებისაგან გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადის 20%-მდე ოდენობით, თუ იგი მიმართულია სტიპენდიების დასაფინანსებლად. დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სპონსორობა. აღნიშნული და დაუბრუნებელი ფინანსური დახმარების სხვა ფორმები რიგ ქვეყნებში იფარება საწარმოების, კომპანიების, ასოციაციების, საქველმოქმედო არამომგებიანი ორგანიზაციების, ფონდების და ცალკეული ინდივიდების მიერ. აშშ-ში სპონსორთა უმეტესობას წარმოადგენენ ამ სასწავლო დაწესებულებების ყოფილი სტუდენტები, მაგრამ ბევრ სხვა ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებების ძალისხმევა მიმართულია შემოწირულობების მოსაზიდად.

მსოფლიოში განსხვავებულ სახეს იღებს ვაუჩერების სისტემის გამოყენების საკითხებიც. „ევროპასა და აშშ-ში ვაუჩერების სისტემა გულისხმობს კუპონების გამოყენებას, რომელიც გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადის ოდენობის ეკვივალენტურია. აშშ-ში ვაუჩერი ეძლევა დაბალშემოსავლიან მოსწავლეებს, რომლებსაც ძალა არ შესწევთ დაფარონ სწავლების გადასახადი მაღალი დონის განათლების მისაღებად. განათლების დასაფინანსებლად გამოყოფილი გარე რესურსები განვითარებად ქვეყნებში შეადგენს განათლების ხარჯების დაახლოებით 10%-ს. გარე წყაროებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირი სუბსიდიები, სესხები, ან სახსრები, რომლებიც მიმართულია მოწყობილობების ან სასწავლო პერსონალის დასაფინანსებლად. პირდაპირი სუბსიდიები საგანმანათლებლო დაწესებულებას ეძლევა თანამედროვე მოწყობილობის, სასწავლო მასალების, სწავლების მეთოდების გაუმჯობესების დასაფინანსებლად. (Tilea Doina Maria, Vasile Bleotu, 2013, 1-3).

განათლების დაფინანსების კიდევ ერთ ფორმას თვითდაფინანსება წარმოადგენს, რომელიც საკუთარ რესურსებზე არის დამყარებული. კერძო დაფინანსება თვით სტუდენტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და შინამეურნეობების მიერ

იფარება. კერძო დაფინანსება საგრძნობლად განსხვავებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიხედვით. ევროკავშირში განვითარებულია ისეთი მხარდამჭერი პროგრამები, როგორიცაა სოკრატესი, ტემპუსი, ერაზმუსი და სხვა. ასევე კვლევებისა და განვითარების მხარდამჭერი ჩარჩო-პროგრამები (იქვე, 4-5). დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ მიჩნეულია სტუდენტური სესხების აღება. ქვეყნების მიხედვით, სტუდენტური სესხები დაბალპროცენტიან ან უპროცენტო სესხებს შეადგენს, რომელთა დაბრუნების ვადები სწავლის დამთავრებიდან 15-20 წლით განისაზღვრება. გავრცელებულია ე.წ. სპეციალური ფონდები, რომლებიც სესხისა და სტიპენდიის კომბინაციას წარმოადგენს. აშშ-ში არსებობს სტუდენტთა დახმარების ინტენსიური პროგრამები. ასეთი პროგრამაა, მაგალითად, „მუშაობისა და სწავლის" პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს ერთდროულად ისწავლოს და იმუშაოს. პოპულარულია სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სტუდენტური სესხები, თუმცა მათ გაცემამდე სხვადასხვა სახის გამოსაცდელი ღონისძიებები ტარდება მათი დაკარგვისა და ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემაში ჩამოყალიბებული ტენდენციების გათვალისწინებით, აქტუალური ხდება, დაფინანსების ახალი მოდელის ფარგლებში, უმაღლესი განათლებისადმი მისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობების განვითარებისა და კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბების აუცილებლობა, რაც მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, ამ საკითხზე პასუხისმგებელი სამთავრობო ორგანოების, აკადემიური წრეებისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის გააქტიურებას მოითხოვს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოჭორიშვილი ე., პერანიძე ნ., განათლების სექტორი საქართველოში. საქართველო. განათლების სექტორის მიმოხილვა. გალტ@თაგარტი 28 ივლისი, 2020.
2. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021. პროექტი, გვ. 32- 38;
3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, თბ. 2004 წლის 21 დეკემბერი, №688-რს.

4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები;
5. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი, 2013, გვ. 8-9.
6. ჩახაია ლელა, უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბილისი, 2013.
7. ჩიქობავა მ., კაკულია ნ., მაკროეკონომიკა, „ინოვაცია“, თბილისი, 2009. გვ. 42.
8. Krumins Juris, Kavale Lucija, Eglite Sandra, Leduskrasta Zane, Puce Juris, Sloka Biruta, Stonis Janis, Zaksa Kristine, Funding Systems and Their Effects on Higher Education Systems... COUNTRY STUDY – LATVIA, November, 2006.
9. Tilea Doina Maria, Vasile Bleotu Senior Lecturer, Modern Trends in Higher Education Funding. „Dimitrie Cantemir“ Christian University, The Faculty of International Business and Economicsa, The Faculty of Finance Accounting Banks. 5th World Conference on Educational Sciences – WCES 2013.

# კრიპტოვალუტის აღრიცხვის საკითხები ფასს-ის მიხედვით

**ნელი სესაძე**

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*

*საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი – სეუ*

**Neli Sesadze**

*Doctor of Economics, Associated Professor*

*Georgian National University (SEU)*

**ნინო გრიგოლაია**

*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*

*ალტე უნივერსიტეტი*

**Nino Grigolaia**

*Doctor of Economics, Professor*

*Alte University*

Ninini67@mail.ru

# CRYPTOCURRENCY ACCOUNTING ISSUES ACCORDING TO IFRS

## Abstract

Cryptocurrency belongs to the category of digital money, the distribution of which is associated with computers integrated into a single system, and their special software, which issues this type of currency through a cryptographic mathematical „algorithm“. It does not depend on central regulatory authorities

The rate of distribution of cryptocurrencies today is overwhelming. The capitalization of cryptocurrencies (that is, the number of issued units of cryptocurrencies multiplied by the market value) in October 2016 more than doubled compared to 2015 and reached $10.6 billion, and in 2019 reached $19 billion.

In this article, we will look at the peculiarities of accounting for cryptocurrency in accordance with the recommendations for accounting for cryptocurrency presented by the Financial Reporting Interpretations Committee in 2019.

**Keywords:** Cryptocurrency, Balance Sheet, Capitalization.

* * *

ფულმა წარმოშობის დღიდან მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. ელექტრონულმა ფულმა ანგარიშსწორებაში ისეთივე რევოლუცია მოახდინა, როგორც ქაღალდის ფულმა. ინფორმაციულ ტექნოლოგიებში პროგრესული ცვლილებები იძლევა იმის გარანტიას, რომ მომავალი ეკუთვნის ელექტრონულ ფულს. ციფრული ფულის ფორმატი შეიძლება წარმოვადგინოთ რეგულირებადი და არარეგულირებადი ფულის სახით. ელექტრონული ფული რეგულირებადი ფულია. მისი მახასიათებლებია: წარმოადგენს მოთხოვნას მისი გამომშვების მიმართ; ინახება ელექტრონულად; გამოშვებული ფული მიღებულ ფულის რაოდენობის ეკვივალენტურია. მას ფულად აღიარებს არამარტო გამომშვები, არამედ სხვა პირებიც. რაც შეეხება ვირტუალურ ვალუტას, იგი მისი შემქმნელების მიერ კონტროლდება და ვირტუალური საზოგადოების მიერ არის აღიარებული. მას ევროპის ცენტრალური ბანკი კრიპტოვალუტას, ციფრულ ან ვირტუალურ ვალუტას უწოდებს და შემდეგნაირად ახასიათებს:

- დეცენტრალიზებულია – ანუ მისი გამოშვება არ ხდება ცენტრალური ბანკის ან ანალოგიური ორგანოს მიერ;
- მათი გათვალისწინება ხდება განმანაწილებელ რეესტრში – ამ ვალუტაში ყველა ოპერაცია რეგისტრირდება ერთ რეესტრში ე.წ. „ბლოკჩეინში“ და თითოეულ მომხმარებელს გააჩნია რეესტრის საკუთარი ეგზემპლარი;
- უსაფრთხოების და თაღლითობის აღკვეთის მიზნით, გამოიყენება კრიპტოგრაფია – რათა შემოწმდეს ოპერაციების სისწორე, თითოეული ნამდვილი ოპერაცია დასტურდება ციფრული ხელმოწერით ან ხეშით. (European central Bank Virtual Currency Schemes, 2013)

კრიპტოვალუტის პოპულარიზაციას ხელი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მიერ გაცვლის საშუალებად ვალუტის ოფიციალურმა აღიარებამ შეუწყო. 2017 წლისათვის

იგი აღიარა იაპონიამ, ხოლო ზოგიერთი ქვეყნის უნივერსიტეტმა კრიპტოვალუტის სასწავლო კურსი პროგრამაში შეიტანა.

დღეისათვის მის პოპულარობაზე მეტყველებს ბიტკოინის მზარდი კურსიც. მან მაღალ ნიშნულს მიაღწია 2020 წლის დასაწყისისათვის (თითქმის 9000 დოლარი), (პერიოდულად ადგილი ჰქონდა კურსის შემცირებასაც – $6540, 18 დეკემბერი 2019 წ. და $6870, 3 იანვარი 2020 წ.), რაც თვალნათლად ჩანს მოცემულ დიაგრამაზე. 2020 წლის 24 ნოემბრის მდგომარეობით, მისი კურსი გაუტოლდა 18 336,50 აშშ დოლარს.




**ნახ. 1:** ბიტკოინის კურსის ცვლილებების გრაფიკი 2020 წლის მაისი – 2020 წლის ნოემბერი.
წყარო: https://www.fxclub.org/markets/crypto/bitcoin/

კრიპტოვალუტის პოპულარობის მიუხედავად, დღეისთვის ბუღალტრული აღრიცხვის საკითხების უმრავლესობა გადაუჭრელი და მოუგვარებელი რჩება.

2019 წელს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების კომიტეტმა გააკეთა კრიპტოვალუტის აღრიცხვის შესახებ განმარტებები, რომელთა მიხედვითაც, კრიპტოვალუტის სავაჭრო მიზნით ფლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას ფასს (ბასს) 2 – „მარაგები“, ხოლო სხვა შემთხვევაში კი ფასს (ბასს) 38 „არამატერიალური აქტივები“[1].

კომიტეტმა განიხილა აგრეთვე კრიპტოვალუტის შესაბამისობის საკითხი ფინანსურ აქტივებთან. ბასს 32. მე-11 პუნქტის მიხედვით, ფინანსური აქტივი ნებისმიერი აქ-

[1] წყარო: https://www.ifrs.org/-/media/feature/supporting-implementation/agenda- decisions/holdings-of-cryptocurrencies-june-2019

ტივია, როგორიცაა ფულადი სახსრები, სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები, საწარმოს სახელშეკრულებო უფლება (სხვა საწარმოსაგან მიიღოს ფული ან სხვა ფინანსური აქტივი ან მისთვის პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები).

ფინანსური ინსტრუმენტის განმსაზღვრელი ნიშანია ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე, მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს. კრიპტოვალუტა არ არის ფინანსური ინსტრუმენტი, რადგან იგი არ წარმოადგენს ხელშეკრულებას. ამავე დროს, არც ფინანსური აქტივია, რადგან იგი არ წარმოადგენს ფულს. იგი არც სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტია. კრიპტოვალუტის ფლობის შემთხვევაში არ წარმოიშობა ფულადი სახსრების, ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება, რადგან არც ხელშეკრულებაა და არც კონტრაგენტია ხელშეკრულებით.

კრიპტოვალუტა არ წარმოადგენს საბრუნავ აქტივს, კერძოდ კი ფულად საშუალებებს და ფულის ეკვივალენტს. ბასს 7 „ფულადი ნაკადების ანგარიშგების თანახმად, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ რაოდენობაზე, მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. კრიპტოვალუტა არ მიეკუთვნება ამ კატეგორიას, სულ მცირე, მისი მაღალი ცვალებადი ხასიათის და არაფიზიკური ფორმის გამო (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 7. ფულადი ნაკადების ანგარიშგება.).

კრიპტოვალუტა აქტივია, რადგან ფასს-ის კონცეპტუალური საფუძვლების მიხედვით, აქტივის განმარტებას აკმაყოფილებს (ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2010). კრიპტოვალუტა შეესაბამება არამატერიალური აქტივის განსაზღვრებას (ფასს 38 „არამატერიალური აქტივები“).

ფასს 38-ის მიხედვით, არამატერიალური აქტივი იდენტიფიცირებადი, არაფულადი აქტივია ფიზიკური ფორმის გარეშე. აქტივი აკმაყოფილებს იდენტიფიცირებადობის კრიტერიუმს, როცა ის: განცალკევებადია, ან წარმოიქმნება სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებებით. კრიპტოვალუტასაც არ გააჩნია ფიზიკური ფორმა და არის არამონეტარული აქტივი.

რაც შეეხება აღიარების პირველ კრიტერიუმს, კრიპტოვალუტა შეიძლება გაიყიდოს. იგი განცალკევებადია, ამიტომ იდენტიფიცირებადია და შეესაბამება არამა-

ტერიალური აქტივის განსაზღვრებას. აქტივის იდენტიფიცირებადობის მეორე კრიტერიუმი არ შეესაბამება კრიპტოვალუტას, რადგან არ წარმოიქმნება სახელშეკრულებო და არც სხვა იურიდიული უფლებებით.

აქტივის შეძენის შემდეგ მისი აღრიცხვისათვის ინტერპრეტაციების კომიტეტი გვთავაზობს ორ მოდელს; თვითღირებულების მოდელს და გადაფასების მოდელს.

აღრიცხვის თვითღირებულების მოდელი (Cost model). კრიპტოვალუტა უნდა შეფასდეს თავდაპირველი ღირებულებით დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. (ბასს 38:74). ეს მიდგომა სრულიად განხორციელებადია. კრიპტოვალუტას ამორტიზაცია არ დაერიცხება, რადგან მას გააჩნია განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა. ამასთან, კრიპტოვალუტის სამართლიანი ღირებულების შემცირების დროს გასათვალისწინებელი ხდება მისი გაუფასურების ზარალი.

აქ შესაძლოა, სხვა პრობლემაც წარმოიშვას: თუ სამართლიანი ღირებულება აღემატება მის თავდაპირველ ღირებულებას, თვითღირებულების მოდელის პირობებში შეუძლებელი გახდება მისი აღიარება. ზოგადად, ეს მოდელი შესაფერისი არ არის კაპიტალის ღირებულების ზრდის მიზნებისათვის კრიპტოვალუტის ფლობის შემთხვევაში.

გადაფასების მოდელის – (Revaluation model) გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს აქტიური ბაზარი და შესაძლებელი ხდება რეგულარულად კრიპტოვალუტის გადაფასება სამართლიან ღირებულებამდე. თუ კრიპტოვალუტის საბალანსო ღირებულება იზრდება, მაშინ იგი უნდა აისახოს სხვა სრული შემოსავლის ანგარიშზე, ხოლო ღირებულების შემცირების შემთხვევაში –მოგება/ზარალის ანგარიშზე. (ბასს 38:75).

ამრიგად, კაპიტალის ზრდის მიზნით, კრიპტოვალუტის ფლობის შემთხვევაში, ამ მეთოდის გამოყენება უფრო შესაფერისია, ვიდრე თვითღირებულების მოდელის. ამავე დროს აუცილებელი ხდება ინფორმაციის გამჟღავნებაც სამართლიანი ღირებულების აღრიცხვის პოლიტიკის მიმართ.

**მაინერებთან კრიპტოვალუტის აღრიცხვა.** სავაჭრო მიზნით, კრიპტოვალუტის ფლობის შემთხვევაში, აქტივი უნდა აღირიცხოს მარაგების (ბასს 2.) და არა არამატერიალური აქტივების სახით. ამ დასკვნას ამყარებს ბასს 38, რომელშიც მითითებულია, რომ თუ სხვა სტანდარტი ეხება რომელიმე კონკრეტული ტიპის არამატერია-

ლურ აქტივს, ბასს 38-ის ნაცვლად საწარმო იყენებს იმ სტანდარტს.

მარაგების აღრიცხვა ტრეიდერებისა და „მომპოვებელთა“ აღრიცხვაში განსხვავებულად აისახება. კრიპტოვალუტის „მომპოვებელთა“ კომპანია აქტივს აღრიცხავს უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და ნეტო ღირებულებას შორის. სამართლიანი ღირებულებების ცვლილებები აღიარდება მ/ზ ანგარიშგებაში.

მაინერები იღებენ ორი სახის ანაზღაურებას: ანაზღაურება ბლოკის შექმნისთვის ანუ საემისიო ანაზღაურება (ინგლ. „block reward“) და საკომისიო მოსაკრებელი („transaction fees“) – საკომისიო კონკრეტული ოპერაციის დადასტურებისათვის.




როგორ ავსახოთ საემისიო გასამრჯელო მაინერებთან ბუღალტრულად? ფაქტობრივად, მაინერები მომსახურებას უწევენ ქსელის მონაწილეებს. საემისიო გასამრჯელო წარმოადგენს მათ ანაზღაურებას კომპიუტერული გამოთვლებისათვის, რაც უკავშირდება ახალი ბლოკის შექმნას, ბლოკჩეინის განახლებას.

ამ სახის ანაზღაურების აღრიცხვისათვის შესაძლებელია, გამოყენებულ იქნას ფასს 15: „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“, რადგან მაინერს ეზრდება აქტივები, ასევე ეკონომიკური სარგებელი შემოსულობის სახით, რაც შეესაბამება კონცეპტუალური საფუძვლების მიხედვით და ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლის განმარტებას, თუმცა ამ შემთხვევაში არ არის გაფორმებული ხელშეკრულება და არც მყიდველია. მაინერი იღებს პირობით გასამრჯელოს დაპროგრამებული ალგორითმის საფუძველზე.

მაინერებთან შემოსავლის მიღების ბუღალტრული გატარება:

- დებეტი. არამატერიალური აქტივი;
- კრედიტი. სხვა შემოსავალი.

თუ მაინერები ფლობენ კრიპტოვალუტას გაყიდვისათვის, მაშინ უნდა დადებეტდეს მარაგების ანგარიში.

მაინერები იღებენ საკომისიო მოსაკრებელს კონკრეტული ოპერაციის დადასტურებისა და მისი ბლოკში ჩართვისათვის. ეს ანაზღაურება არ გამოითვლება პროგრამული ალგორითმით, მას იხდიან ქსელის მონაწილეები კონკრეტული ოპერაციისათვის. ამ შემთხვევაშიც შეიძლება დავეყრდნოთ ფასს 15-ს და ვაღიაროთ ამონაგები ვალდებულების შესრულების მომენტში, ანუ როდესაც მაინერი ადასტურებს ოპერაციას და იღებს საკომისიო ანაზღაურების მიღების უფლებას.

მაინერებმა უნდა გაითვალისწინონ ხარჯები მათი წარმოშობის მიხედვით მ/ზ-ში (კომპიუტერული აღჭურვილობის შეძენა, ელექტროენერგიის ხარჯი).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რადგან ჯერ კიდევ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს კრიპტოვალუტის აღრიცხვის და აღიარების საკითხები ფასს-ის მიხედვით, ამიტომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას ზედმიწევნით თვალსაჩინოდ უნდა დასაბუთდეს არჩეული აღრიცხვის მეთოდის მიზანშეწონილობა და იგი უნდა აისახოს სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნას კრიპტოვალუტის გამოყენების მიზნები და ამოცანები.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 2, „მარაგები“: https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/350 (15.07.2021)
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 38, „არამატერიალური აქტივები“: https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/370 (15.07.2021)
3. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციების კომიტეტის რეკომენდაციები: https://www.ifrs.org/news-and-events/updates/ifric-updates/june-2019/#8

(15.07.2021)

4. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები 2010: https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/80 (15.07.2021)
5. „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“: https://saras.gov.ge/Content/files/IAS-BASS/2017/2017_IAS_07.pdf (15.07.2021)

# ურთიერთობათა მარკეტინგი და კლიენტინგი მომსახურების ბაზარზე

**მარინე ალანია**

*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*

*ალტე უნივერსიტეტი*

**Marine Alania**

*Doctor of Economics, Professor*

*Alte University*

m.al56@mail.ru

# RELATIONSHIP MARKETING AND CUSTOMER SERVICE IN THE MARKET

## Abstract

The modern stage of scientific and technical progress, the globalization of production and consumption processes, has led to the development of relationship of marketing, which means establishing not one-time but permanent mutually beneficial relationships with the customer or the transition from mass to individualized, based on the dialogue with the customer marketing.

In order for a service company to achieve stronger relationships with the customer and better meet its needs, it is necessary to use one of the following three approaches: 1. Bring additional financial benefits to the customer’s relationship; 2. Bring additional social benefits with addition to financial; 3. Involvement of structural connections with financial and social benefits.

In the context of the relationship marketing concept, in order to further develop the customer service, it is important to properly use the methods of service process formation and analysis. Receiving benefits in the field of services and meeting the needs of the customers themselves mainly takes place in the process of providing services in the two-way relationship between the buyer and the seller. Therefore, in order to identify the consumer

„benefit cart“, the following are used: 1. Diagrammatic design method; 2. Method of concept of „point of contact“; 3. „Consumer Protocol“ method.

Much has been written in the economic literature about relationship of marketing, but so far there is no clear and general algorithm for how to build long-term relationships with customers.

**Keywords:** Relationship Marketing, Customer Service, Markets.

* * *

მარკეტინგის თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება ახალი ფორმების, მიდგომების, მეთოდების განვითარებით, რაც ნაკლები ინვესტიციებით, დამატებითი კონკურენტული უპირატესობების მიღების საშუალებას იძლევა. გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთობა მოიცავს მოქმედებათა უფრო ფართო სპექტრს, ვიდრე ყიდვა-გაყიდვაა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპმა, წარმოებისა და მოხმარების პროცესების გლობალიზაციამ, განაპირობეს ურთიერთობათა მარკეტინგის (პირდაპირი მარკეტინგის) განვითარება, რაც გულისხმობს ფირმის პირდაპირ, შუამავლების გარეშე ურთიერთობას მყიდველებთან. ამასთან, ფირმის ძირითადი ამოცანა მდგომარეობს კლიენტთან არა ერთჯერადი, არამედ მუდმივი ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების დამყარებაში. ეს კი ნიშნავს მასობრივიდან ინდივიდუალიზებულ, მომხმარებელთან დიალოგზე დაფუძნებულ მარკეტინგზე გადასვლას.

მყიდველთან ურთიერთობათა სასიცოცხლო ციკლი (კ. გრენროოსის კონცეფციის მიხედვით) შედგება სამი სტადიისგან: 1. საწყისი სტადია – მარკეტინგის ძირითადი მიზანია, შექმნას კომპანიისა და მისი პროდუქტისადმი ინტერესი, რაც ხორციელდება წინ წაწევის საშუალებებით; 2. ყიდვის პროცესი – მარკეტინგის ამოცანაა, კლიენტის საერთო დაინტერესება გადააქციოს რეალურ გაყიდვად. აქ, უკვე დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ტრადიციული მარკეტინგის და გაყიდვის ტექნიკის ღონისძიებებს, არამედ ურთიერთობათა მარკეტინგს, ვინაიდან, პოტენციურ მყიდველს ექმნება პირველი შთაბეჭდილება კომპანიაზე, მის პროდუქტებზე და სერვისის დონეზე; 3. მოხმარების პროცესი – მარკეტინგის ამოცანაა, მოცემულ მომხმარებელთან ურთიერთობების გაგრძელება, რაც გულისხმობს ყურადღების კონცენტრირებას იმაზე, რომ კომპანიასთან და მის პროდუქტებთან კონტაქტმა კარგი შთაბეჭდილება შეუქმნას მყიდველს. (МАРКЕТИНГ...1)

ბიზნეს გარემოში ურთიერთობათა მარკეტინგის კონცეფციამ ევოლუციის პროცესში გაიარა რამდენიმე სტადია. პირველი სტადია ესაა მარკეტინგის, მხოლოდ როგორც ბიზნეს-დისციპლინის, ფირმებისა და კლიენტების ურთიერთობათა გაგება. მეორე სტადია არის გაფართოებული მარკეტინგი, რომელიც მოიცავს არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობას. მესამე სტადია – მარკეტინგის განზოგადებული კონცეფცია – არის მარკეტინგი, მიმართული არა მხოლოდ მომხმარებლებზე, არამედ ფირმისთვის საინტერესო ადამიანების ან ორგანიზაციების ნებისმიერ ჯგუფზე. ფ. კოტლერმა ამ კონცეფციებს შესაბამისად უწოდა: „მარკეტინგი 1.0“, „მარკეტინგი 2.0“ და „მარკეტინგი 3.0“. მარკეტინგი 1.0-სთვის დამახასიათებელია ინდუსტრიული საზოგადოებისთვის (საქონელ-ცენტრიზმის ეპოქა), სადაც მთავარ რესურსს წარმოადგენს სამრეწველო მოწყობილობები და ბუნებრივი რესურსები. მარკეტინგის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქონელი გაიყიდოს ბაზარზე, თუმცა მომხმარებლების საჭიროებებისა და სურვილების გათვალისწინებას დიდად ყურადღება არ ექცევა. თანამედროვე საზოგადოებაში (პოსტინდუსტრიული) წინა პლანზე გამოდის ინფორმაციული ტექნოლოგიები და ცოდნა. მარკეტინგის ამოცანა ხდება მომხმარებელთა დაუკმაყოფილებელი საჭიროებებისა და სურვილების ძიება. ეს არის მარკეტინგი 2.0 ანუ კლიენტოცენტრიზმის ეპოქა. მარკეტინგი 3.0 ანუ ადამიანური მარკეტინგის ეპოქა მომხმარებლებს განიხილავს, როგორც ადამიანებს, რომლებსაც გააჩნიათ აქტიური სასიცოცხლო პოზიცია, არიან განათლებულები, ისწრაფვიან რაღაცისკენ, ფიქრობენ საზოგადოების კეთილდღეობასა და ბუნების მდგომარეობაზე. ისინი საქონლის და მომსახურების მწარმოებლებისგან მოითხოვენ არა მხოლოდ მათი ყოველდღიური, არამედ ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების იდენტიფიცირებას და ეფექტურად დაკმაყოფილებას. მარკეტინგი 3.0-ს ხშირად განიხილავენ როგორც ურთიერთობათა მარკეტინგის კონცეფციას.

ყოველი ცალკე აღებული მომხმარებელი ამყარებს თავის ურთიერთობას გამყიდველთან, რომელიც შეიძლება იყოს ფართო ან ვიწრო, უწყვეტი ან დისკრეტული, მოკლე ან ხანგრძლივი, მნიშვნელოვანია, რომ ფირმამ უნდა განავითაროს და შეინარჩუნოს ისინი – ფირმამ უნდა შექმნას კლიენტებთან ურთიერთობები. მარკეტინგის ფუნქცია გულისხმობს კლიენტებთან ურთიერთობების ირგვლივ მოძრაობას, რომელშიც ჩართული მხარეების მიზანი ხორციელდება სხვადასხვა სახის გაცვლის გზით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანგრძლივი ურთიერთობები კლიენტებთან მომსახურების სფეროში. როგორც წესი, ხანმოკლე ურთიერთობები, როცა კლიენ-

ტები მოდიან და მიდიან, მომსახურების ფირმებს უფრო ძვირი უჯდებათ. მარკეტინგის ბიუჯეტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ფირმის შეთავაზებით პოტენციური კლიენტების დაინტერესება და ფირმის დაპირებების შესრულებაში მათი დარწმუნება – ხშირად ძალიან მაღალია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისეთი ახალი კლიენტები, რომლებიც შესაძლოა, მხოლოდ ერთჯერად ყიდვას ახორციელებენ, არასასურველები არიან. აქცენტი უნდა გაკეთდეს კლიენტებთან ხანგრძლივი ურთიერთობების შექმნაზე და შენარჩუნებაზე, ვინაიდან, ეს შეიძლება გახდეს გაცვლების გახანგრძლივების საწინდარი, თითოეულ კლიენტზე უფრო ნაკლები მარკეტინგული დანახარჯებით. მარკეტინგმა უნდა მოახდინოს კლიენტებთან ურთიერთობების ფორმირება, შენარჩუნება, გაზრდა და კომერციალიზაცია ისე, რომ მხარეების მიზნები იყოს შესრულებული. ეს მიიღწევა ურთიერთგაცვლით და დაპირებების შესრულებით. [Гронрус, 2]

მომსახურების პროდუქტის ყიდვის პროცესში მომხმარებელთან ურთიერთობა შეიძლება ჩამოყალიბდეს 5 სხვადასხვა დონეზე: ძირითადი დონე – კომპანიის გამყიდველი ყიდის მომსახურებას შემდგომში ყოველგვარი მოქმედებების განხორციელების გარეშე; სარეაქციო დონე – გამყიდველი კლიენტზე ყიდის პროდუქტს და კითხვების გაჩენის შემთხვევაში, სთხოვს დარეკვას; საპასუხისმგებლო დონე – გაყიდვიდან მცირე დროის გასვლის შემდეგ გამყიდველი თვითონ ურეკავს კლიენტს სიტუაციის გასაგებად და პასუხობს მის შეკითხვებს. გარიგების პროცესში და შემდეგ გამყიდველი სთხოვს კლიენტს, მიაწოდოს წინადადებები პროდუქტის გაუმჯობესების და შესაძლო სრულყოფის კუთხით, აგრეთვე პროდუქტის ნაკლოვანებების შესახებ. ეს ინფორმაცია ეხმარება კომპანიას თავისი შეთავაზებების მუდმივად გაუმჯობესებაში; პროაქტიული დონე – გამყიდველი ან კომპანიის სხვა თანამშრომლები დროდადრო ურეკავენ კლიენტს პროდუქტის სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებების გათვალისწინების თაობაზე ან მომავალში შემოქმედებით შეთავაზებებზე; პარტნიორობის დონე – კომპანია მუდმივად მუშაობს ამ და სხვა კლიენტებთან იმ მიზნით, რომ მიაღწიოს საუკეთესო სამომხმარებლო ფასეულობის შეთავაზებას.

იმისთვის, რომ კომპანიამ მიაღწიოს უფრო მტკიცე კავშირებს მომხმარებელთან და უკეთ დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებები, საჭიროა შემდეგი 3 მიდგომიდან ერთ-ერთის გამოყენება: პირველი გულისხმობს მომხმარებელთან ურთიერთობაში დამატებითი ფინანსური სარგებლის შეტანას, მაგალითად, ავიახაზები წამახალისებელ პროგრამებს სთავაზობენ მათ, ვინც ხშირად სარგებლობს კომპანიის

მომსახურებით და ა.შ.; მეორე ითვალისწინებს ფინანსურთან ერთად დამატებითი სოციალური შეღავათების შეტანას. ამასთან, კომპანიის პერსონალი მუშაობს მომხმა-რებლებთან სოციალური კავშირების გამყარებაზე თითოეული მათგანის მოთხოვნი-ლებებისა და სურვილების შესწავლის გზით, შემდეგ ახდენს თავისი მომსახურების ინდივიდუალიზებას და პერსონიფიცირებას. ასე, ისინი მომხმარებლებს აქცევენ კლიენტებად, რომლებსაც ემსახურება სპეციალურად მათთვის გამოყოფილი პრო-ფესიონალი; მესამე ითვალისწინებს ფინანსურ და სოციალურ შეღავათებთან ერ-თად სტრუქტურული კავშირების ჩართვას, მაგალითად, ავიახაზები ტურისტულ აგენ-ტებს სთავაზობენ მარშრუტების რეზერვირების სპეციალურ სისტემებს. კლიენტები, რომლებიც ხშირად მიმართავენ კომპანიას, სარგებლობენ სპეციალური სატელეფო-ნო ხაზებით. როცა მომხმარებლებთან კავშირის სფეროში მენეჯმენტი ხორციელდე-ბა სათანადოდ, მაშინ ორგანიზაცია იწყებს ყურადღების კონცენტრირებას კლიენტებ-თან მუშაობაზე ისე, როგორც თავის პროდუქტზე. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი კომპანია მკაცრად მიჰყვება მომხმარებლებთან ურთიერთობათა მარკეტინგის გან-ვითარების მიმართულებას, ეს ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს, მაგალი-თად, ვთქვათ, კომპანია დაადგა ურთიერთობათა მარკეტინგის განვითარების გზას, მაგრამ მენეჯერს არ უნდა თითოეულ მომხმარებელთან ურთიერთობა. პრაქტიკაში არსებობენ ცუდი მომხმარებლებიც. კომპანია შერჩევით უნდა მიუდგეს მომხმარებ-ლებთან კონტაქტების დამყარებას, ყურადღებიდან უნდა გამორიცხოს ისინი, ვინც ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება „აღზრდას“ და მხოლოდ მაშინ შეძლებს ის, სხ-ვებზე უფრო ეფექტურად დააკმაყოფილოს „საჭირო“ კლიენტების მოთხოვნილებე-ბი. [Маркетинг отношений... 3]

ურთიერთობათა მარკეტინგის კონცეფციის კონტექსტში, კლიენტინგის უფრო მეტად განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია მომსახურების პროცესის ფორმირე-ბისა და ანალიზის მეთოდების სწორად გამოყენება. მომსახურების სფეროში სარგებ-ლის მიღება და თვით მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილება ძირითადად ხდება მომსახურების გაწევის პროცესში მყიდველსა და გამყიდველს შორის ორმხ-რივი ურთიერთობისას. ამიტომ სამომხმარებლო „სარგებლის კალათის“ (რომელ-საც მოიცავს მომსახურება, როგორც საქონელი) იდენტიფიკაციის ყველაზე მარტივი მეთოდი არის მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთობის პროცესის დიაგ-რამის შედგენა (დიაგრამული პროექტირების მეთოდი, ავტ. ლ. შოსტაკი), რომლის მიხედვით, მომსახურების მარკეტინგში წარმატებისთვის ყველაზე ხელსაყრელი გზაა

მარკეტოლოგის მიერ მომსახურების წარმოების, აგრეთვე მასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა თანმიმდევრული ამოცანის მთელი პროცესის ვიზუალური წარმოდგენა. დიაგრამული პროექტირების ტექნოლოგიის თანახმად, აუცილებელია, უპირველესად „ხედვის ზოლის" გარჩევა მომხმარებლისთვის, რომელიც მომსახურების გაწევის პროცესში ასრულებს გარკვეულ ამოცანებს. დიაგრამის ხილულ ნაწილში თავსდება და ანალიზდება მომსახურების გაწევის პროცესის ეტაპები და ამ დროს გადასაწყვეტი ამოცანები. დიაგრამის უხილავ ნაწილში ანალიზდება ის ამოცანები, რომლებიც გადაიჭრება მომსახურების წარმოების პროცესში. ამის მაგალითია, სწრაფი კვების რესტორნებში შემუშავებული კლიენტების მომსახურების პროცესი. ასე, „მაკდონალდსის" რესტორნებში ჰამბურგერების წარმოების ამოცანის რეალიზაცია უნდა იყოს დაფარული მომხმარებლისგან, ე.ი. ხდებოდეს ხედვის ხაზის მიღმა. ასეთი მიდგომის სტრატეგიულ ალტერნატივად შეიძლება ჩაითვალოს „საბვეის" რესტორნების ქსელი, სადაც საკვების წარმოების და მომსახურების პროცესი უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ კლიენტების თვალწინ, ე.ი. ხედვის ზონაში. ორივე მიდგომას აქვს სერიოზული მარკეტინგული საფუძველი. პირველ შემთხვევაში, მომხმარებლებისგან ფარავენ გაყინული ნახევარფაბრიკატებისგან (გალღობა ხდება მიკროტალღურ ღუმელში) ჰამბურგერების სწრაფად მომზადების პროცესს, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, ხაზს უსვამენ იმას, რომ საბოლოო პროდუქცია მხოლოდ ახალი ნედლეულისგან მზადდება.

მომსახურების წარმოებისა და მოხმარების დროს ფირმის პერსონალსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთქმედების პროცესს მარკეტოლოგები ზოგჯერ ახასიათებენ, როგორც „შეხების წერტილის" კონცეფციას. ამ მეთოდის არსი ძალიან მარტივია. მარკეტინგის მენეჯერმა უნდა დააფიქსიროს და ჩამოთვალოს ყველა მომენტი, როცა მომხმარებელი ეკონტაქტება ფირმის პერსონალს მომსახურების მოხმარების პროცესში. მენეჯერს, შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, შეუძლია შეხების წერტილების რიცხვის შემცირება ან გაზრდა, მითითებების მიცემა საკონტაქტო პერსონალისადმი (რა აკეთოს, როგორ მოიქცეს, რა ამოცანები შეასრულოს, როგორ შეასრულოს და რა დრო უნდა მოანდომოს ამოცანების შესრულებას კლიენტთან კომუნიკაციისას). შეხების წერტილების მეთოდის დახმარებით, შესაძლებელია, მომსახურების პროცესის ხარისხის მოდელირება. შეხების ყოველი წერტილისთვის შეიძლება მომსახურების ხარისხის პრიორიტეტული კრიტერიუმების (საიმედოობა, გამოხმაურება, დარწმუნება, თანაგრძნობა, მატერიალურობა) ნაკრების შემუშავება. შეხების

წერტილების მეთოდის გამოყენება გართობის ინდუსტრიის, კერძოდ, ღამის კლუბის მაგალითზე აჩვენებს, რომ ოფიციანტი შეიძლება არაჩვეულებრივად მოემსახუროს კლიენტს, მაგრამ თუ კერძების ხარისხი ან სასმელების არჩევანი აღმოჩნდება არაადეკვატური, მაშინ მომხმარებელი, დიდი ალბათობით, იქნება უკმაყოფილო. ამიტომ მომსახურების მარკეტინგში უნდა მონაწილეობდეს ფირმის ყველა სამსახური უკლებლივ და შეხების წერტილების მარკეტინგული ანალიზი უნდა განხორციელდეს ყველა სტრუქტურის ხელმძღვანელებთან ერთად.

სამომხმარებლო „სარგებლის კალათის" იდენტიფიკაციის, აგრეთვე მყიდველისა და გამყიდველის ურთიერთობის პროცესის ფორმირების კიდევ ერთი მიდგომა ცნობილია, სამომხმარებლო სცენარის მეთოდის ან „სამომხმარებლო პროტოკოლის" სახელწოდებით. ამ დროს მომხმარებლებს (ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფების სახით) სთხოვენ ჯერ მომსახურების პროცესის აღწერას ან მისი „სცენარის" შედგენას, რომლის დოკუმენტირება ხდება პროტოკოლის ფორმით, შემდეგ მომსახურების პროცესის შეფასებას და რეკომენდაციების გამოთქმას მისი სრულყოფის მიზნით. ასეთი პროტოკოლის საფუძველზე შესაძლებელია, მომსახურების პროცესის ძლიერი და სუსტი ასპექტების გამოვლენა, აგრეთვე მომსახურების ახალი სცენარის ან ახალი მომსახურების იდეის შემუშავება. აღნიშნული მეთოდი ორგანულად ერწყმის მარკეტინგის ფილოსოფიას, რამდენადაც, სწორედ მომხმარებლები (და არა ფირმა) იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორი მომსახურება სჭირდებათ. სცენარის ანალიზისას, ფირმას უჩნდება მომხმარებელთა ქცევაზე ზემოქმედების და მომსახურების პროცესის ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდის სტრატეგიული შესაძლებლობები. მაგალითად, პრაქტიკულად „მაკდონალდსის" რესტორნების ქსელის ყოველ კლიენტს შეუძლია ამ რესტორნებში დანერგილი მომსახურების პროცესის ხილული ნაწილის სცენარის „გადმოცემა". იგივე რესტორნებში, თხოვნა ნაგვის დამოუკიდებლად სპეციალურ კალათებში გადაყრის შესახებ, ასევე მიუთითებს იმაზე, რომ საწარმოო ძალების შემცირების ან პერსონალის „ზედმეტი" ამოცანების შესრულებისგან განთავისუფლების გზით, კომპანია ეწევა მომსახურების პროცესის თვითღირებულების ეკონომიას.

მართალია, ეკონომიკურ ლიტერატურაში ძალიან ბევრი იწერება ურთიერთობათა მარკეტინგის შესახებ, მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე მკაფიო და ზოგადი ალგორითმი იმისა, თუ როგორ აიგოს გრძელვადიანი ურთიერთობები კლიენტებთან. მიუხედავად ამისა, ურთიერთობათა მარკეტინგის კონცეფციის მიღება და მი-

სი დანერგვა ორგანიზაციის ყველა დონეზე – არის ფირმის უმაღლესი ხელისუფლების საქმიანობის ამოსავალი წერტილი, თუ ის, რასაკვირველია, დაინტერესებულია გაჯერებულ კონკურენტულ ბაზარზე თავისი ფირმის ხანგრძლივად ოპერირებით.

ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორები დ. ჰესკეტი, ე. სასერი და ლ. შლესინგერი ურთიერთობათა მარკეტინგის ფილოსოფიას განიხილავენ „ფასეულობა – მოგების" კონტექსტში, რომელიც წარმოადგენს მთლიანი ჯაჭვის – ლოიალურობა + ნდობა + კმაყოფილება = მოგება, შემადგენელ ნაწილს.

კონცეფცია „ფასეულობა – მოგება" ეფუძნება რამდენიმე დადასტურებულ მოსაზრებას:

- კლიენტების ლოიალურობა და ერთგულება წარმოადგენს ფირმის ზრდისა და მისი მოგების გადიდების ძირითად მამოძრავებელ ძალას;
- კლიენტების ლოიალურობა და ერთგულება გამომდინარეობს მათი სამომხმარებლო კმაყოფილებიდან;
- სამომხმარებლო კმაყოფილება არის იმ ფასეულობის შედეგი, რომელსაც იღებს მომხმარებელი ფირმისგან კონკურენტულ ბაზარზე;

გარეშე კლიენტისთვის გადაცემული ფასეულობა იქმნება კმაყოფილი, ლოიალური, ერთგული და პროდუქტიული შიდა კლიენტის (პერსონალის) მიერ.

კლიენტის ლოიალურობა და ერთგულება არის ფირმის და კლიენტის ურთიერთობათა უმაღლესი სასურველი ტიპი, რომელიც გადის რიგ ეტაპებს, კმაყოფილების მარტივი მდგომარეობიდან ამ ურთიერთობათა განსაკუთრებულ დონემდე. თუმცა, კონცეფციის არსებობისთვის თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის მეოთხე პირობას ანუ ფირმისა და პერსონალის ურთიერთობათა ეფექტიანობას. ამიტომ ხშირად მთელ კონსტრუქციას განიხილავენ, როგორც ურთიერთობათა სამკუთხედს „უმაღლესი მენეჯმენტი – პერსონალი – კლიენტი" ან „უმაღლესი მენეჯმენტი – შიდა მომხმარებელი – გარეშე კლიენტი". აღსანიშნავია, რომ პირველ რიგში, მმართველობითი ყურადღების ფოკუსში ექცევა „საკონტაქტო პერსონალი", რომელიც უშუალო კონტაქტში იმყოფება გარეშე კლიენტთან. იმისთვის, რომ კონსტრუქციამ იმუშაოს, აუცილებელია 3 ქვესისტემის არსებობა. „უმაღლესი მენეჯმენტი – გარეშე მომხმარებელი" ამ დონეზე აუცილებელია შეიქმნას კლიენტისთვის მისაწოდებელი ფასეულობის ეფექტიანი წარმოების ქვესისტემა, რომელიც გამოიხატება ხარისხიანი მომსახურების შექმნით. მას ხშირად უწოდებენ მომხმარებელთან ურთიერთობების მენე-

ჯმენტს.

მომსახურების სფეროში პოპულარულია Five gaqs (gaqs model of service quality) ურთიერთობათა კონცეფცია, როცა კლიენტს აქვს ფირმის თანამფლობლის განცდა. საწყისი დონე არის ფირმის მომსახურებით კლიენტის კმაყოფილების დონე. ეს არის კომპანიის მიერ კლიენტისთვის მიცემული დაპირებების უბრალოდ შესრულება; მეორე დონე არის კლიენტის ლოიალურობის მდგომარეობა ანუ განმეორებითი კლიენტების არსებობა. ერთგულება – ფირმისა და კლიენტის ურთიერთობათა შემდეგი დონე ხასიათდება მომხმარებლის ლოიალურობის დემონსტრაციით, რასაც ემატება „სიტყვიერი გავრცელება". კლიენტი დაახლოებით ხუთ სხვა ადამიანს უყვება თავისი დადებითი მყიდველობითი გამოცდილების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ნეგატიური გამოცდილების თაობაზე კლიენტებს სჩვევიათ, ორჯერ მეტს ანუ დაახლოებით ათ ადამიანს აცნობონ. კლიენტი ახდენს მაღალი დონის ლოიალურობის, და სხვა მომხმარებლის დასარწმუნებლად – იყიდოს ეს პროდუქტი, მაღალი დონის ძალისხმევის დემონსტრირებას. ფირმის და კლიენტის ურთიერთობების უმაღლესი დონე – ეს არის კლიენტის მიერ ფირმის „თანამესაკუთრეობის" განცდის აღქმა. ის, თავის მოვალეობად მიიჩნევს ხელმძღვანელობისთვის რეკომენდაციების მიცემით, დაეხმაროს კომპანიას უკეთესი პროდუქტის შექმნაში. ეს სტადია მიიღწევა კლიენტისა და ფირმის ურთიერთობიდან არანაკლებ 5 წლის თავზე. [Новаторов, 2001, 4]

აღწერილი მიდგომები არ არის სრული და ერთადერთი შესაძლებელი „სცენარები," ცხოვრება, რეალური პრაქტიკა ბევრად უფრო რთულია. ისინი მარკეტოლოგებს უყენებენ არასტანდარტულ ამოცანებს და სპეციალისტებს უწევთ შესაბამისად არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. МАРКЕТИНГ ОТНОШЕНИЙ: http://crmonline.ru/phparticles/show_news_one.php?n_id=794 (25.06.2021)
2. Гронрус Христиан, МАРКЕТИНГ ОТНОШЕНИЙ В СФЕРЕ УСЛУГ: МАРКЕТИНГ И ПОВЕДЕНИЕ ОРГАНИЗАЦИИ: http://www.webstarstudio.com/marketing/articles/art23.htm (25.06.2021)
3. Маркетинг отношений с потребителями: https://buklib.net/books/31344/ (25.06.2021)
4. Новаторов Э.В. 2001. „Методы разработки и анализа процесса обслуживания в маркетинге услуг“, Маркетинг в России и за рубежом №1. https://www.cfin.ru›press›marketing›novatorov (25.06.2021)

# CRISIS AS AN OPPORTUNITY FOR GEORGIA'S DEVELOPMENT

**მაია გუნცაძე**

*ეკონომიკის დოქტორი, ალტე უნივერსიტეტი*

*საერთაშორისო პროექტების განვითარების მრჩეველი*

**Maia Guntsadze**

*PhD in in Economics, Alte University*

*Advisor at international development projects*

m_guncadze@yahoo.com

## Abstract

The present article discusses the impact of the Coronavirus/COVID-19 crisis on the global development, and challenges and opportunities which can be translated into a second chance for government to accelerate development, if they take advantage of new opportunities or bring fresh attention to previously neglected issues. The above topics are analyzed on the example of Georgia.

The article shows the main effects of the outbreak. The study identifies several unique opportunities offered by the post-crisis era to the Government, such as:

- **Fast Changing Geography** – Following the crisis, there will be fundamental changes to how people across the globe interact and trade.
- **Modernized Trade & supply chains** – The COVID-19 pandemic exposed several gaps in the supply and demand chains.
- **New Market opportunities** – The country needs to do more to bolster trade with its existing partners and move into new markets.
- **Innovative approaches** – The near global lockdown in response to COVID-19 has stimulated sectors to embrace technology and innovation at an unprecedented level.
- **Importance of resilient international cooperation** – International assistance will be equally important in the crises and post-crisis period.

**Keywords:** Georgia, COVID-19 Pandemic, Fast Changing Geography, Strong International Cooperation, Trade & Supply Chains, New Markets, Innovative Approaches, Key Economic Sectors.

* * *

The COVID-19 pandemic is an unprecedented global development crisis. The challenges and disruptions caused by the pandemic can translate into a second chance for governments to accelerate development, however, if they take advantage of new opportunities or bring fresh attention to previously neglected issues.

**№1 – Impact on global economy from the coronavirus**




*Source: Moody's Investors Service*[1]

The post-crisis era offers several unique opportunities for the Government of Georgia (GOG):

**Fast Changing Geography** – Following the crisis, there will be fundamental changes to how people across the globe interact and trade.

For instance, prior to the pandemic, people in Georgia had been increasingly moving to urban areas. During the crisis, however, people sought refuge in rural communities. While

[1] Moody's Investors Service – Impact on global economy from the coronavirus

that trend could be short-lived, it offers the GOG an opportunity to prioritize regions outside of capital Tbilisi in the country’s long-term economy recovery.

Currently, regional and local governments suffer from a lack of resources and technical capacity. With the proper support, however, they can play an important role in sustainable economic development policies, starting with improving the skills of the local labor force and job creation. Georgia should prioritize implementing the Decentralization Strategy and support development activities at local level.

To meet the new economic challenges and reduce poverty and inequality in Georgia should develop new strategy for economic development, with an ambitious effort to improve business environment conditions for small and medium size enterprise (SME) development and therefore tackle market failures that make it harder for entrepreneurs and managers of small and medium-sized companies to start, run and grow their businesses.

**Trade & supply chains** – The COVID-19 pandemic exposed several gaps in the supply and demand chains.

The World Trade Organization expects global trade to „fall by between 13 percent and 32 percent in 2020 as the COVID 19 pandemic disrupts normal economic activity and life around the world.“[1]

The impact will be even greater for trade in commercial services. WTO Director- General Roberto Azevêdo said: „We need to lay the foundations for a strong, sustained and socially inclusive recovery. Trade will be an important ingredient here, along with fiscal and monetary policy. Keeping markets open and predictable, as well as fostering a more generally favorable business environment, will be critical to spur the renewed investment we will need.“[2]

Georgia can use its favorable trade regimes with the European Union (EU), the European Free Trade Association (EFTA), the Commonwealth of Independent States (CIS) countries, Turkey, China, and Hong Kong as well as the Generalized System of Preferences (GSP) with Japan, Switzerland and USA.[3] The feasibility study of free trade with India is complete and the feasibility study of free trade with Israel is in its final stage.

The country needs to do more to bolster trade with its existing partners and move into new markets, however.

For instance, while Georgian companies have access to the EU market, local entrepreneurs struggle to access the market as they lack information and trading partners. While the

---

[1] Source: World Trade Organization (WTO), https://www.wto.org/english/news_e/pres20_e/pr855_e.htm

[2] Source: World Trade Organization (WTO), https://www.wto.org/english/news_e/pres20_e/pr855_e.htm

[3] Source: Invest in Georgia, https://www.investingeorgia.org/en/georgia/free-trade-regimes

Ministry of Sustainable Economy and Development has some programs to address these issues, the pandemic provides an opportunity for the GOG to do more.

Georgia could learn from the experience of other countries, which are establishing new regional trade unions to increase trade flow. A group of Asia-Pacific economies recently committed to not impose export controls, tariffs or non-tariff measures to foster stronger trade relations.[1]

The country could also invest more in its service sector. Globally, trade in services has been growing faster than trade in goods.[2] Increased trade in services could help the Georgian economy recover faster, improve domestic firms' competitiveness, and promote inclusiveness in terms of skills, gender and the location of economic activity.

In addition, the GOG and firms will need to re-think resilience in global supply chains. Georgian has not made full use of its highly strategic location as a gateway to the Caucasus and Central Asia. The country has untapped potential to expand its role in existing trade routes and attract new investments. There are several existing resources that could be better utilized, including:

- The new Baku-Tbilisi-Kars railway line, which provides a modernized link between Georgian, Azerbaijani and Turkish railways and has a capacity of 5-15 million tons of cargo per year;[3]
- The Georgian Railway, which provides vital freight and passenger transportation services across Georgia and connections with bordering countries. With 1,342 km of railways, an efficient network of connections, plenty of rolling stock, and a capacity of 28 million tons/year, it is the most effective connection between Europe and Asia.[4]

There are also major infrastructure projects that should be finalized, including:

- The construction of the East-West highway, as well as local roads;
- The building of a new deep Black Sea port in Anaklia – the port will be able to receive vessels with a capacity of at least 6,500 TEU, bringing Georgia's logistical capabilities to a new level;[5]
- The expansion of the country's existing ports in Batumi and Poti.

**New Markets** – In addition to new and expanded trade routes, the pandemic has

---

[1] Source: World Economic Forum (WEF), http://www3.weforum.org/docs/WEF_Challenges_and_Opportunities_Post_COVID_19.pdf

[2] Source: World Trade Report (WTO), https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/01_wtr19_0_e.pdf

[3] Source: Trade with Georgia, http://www.tradewithgeorgia.com/about-georgia

[4] Source: Trade with Georgia, http://www.tradewithgeorgia.com/about-georgia

[5] Source: Trade with Georgia, http://www.tradewithgeorgia.com/about-georgia

opened opportunities for Georgia to attract new investors.

The fact that the virus originated in China has raised questions about whether the country can sustain its position at the center of global manufacturing and supply chains. Some countries including USA, EU,[1] and Japan[2] as well as several big companies[3] already expressed interest in alternative production bases elsewhere.

The GOG needs to act quickly to interest multinational companies and investors. The country's history of successful reforms, its favorable business climate can help attract new investors to the country.

Domestic and international private sector actors can play a key role in supporting the government to respond quickly and effectively to the opportunities and expedite economic recovery.

**Innovative approaches** – The near global lockdown in response to COVID-19 has stimulated sectors to embrace technology and innovation at an unprecedented level.

Startups and innovators around the world, including Georgia, reacted quickly to meet new and growing needs for everything from oxygen masks and digital health services to no-contact food delivery and learning platforms.

Governments can bolster innovation by lowering barriers to finances for innovative entrepreneurs, increasing their capacity to react fast and help speed up economic recovery. For example, the European Commission called on start-ups with technologies related to treating, testing, monitoring or other aspects of the COVID-19 outbreak to apply for fast-track funding under the EIC Accelerator program.[4]

Georgia embraced innovation in government services before the pandemic – the country was recognized as a pioneer in adapting Blockchain technology for different projects – so it should be well positioned to take advantage of new opportunities.

Implementing the vision of the country's digital strategy can also stimulate new opportunities for the public, private, and civil society sectors.[5]

---

[1] Source: Euro news, https://www.euronews.com/2020/04/13/european-countries-need-to- protect-their-companies-from-chinese-takeovers-says-eu- commis-si?utm_medium=Social&utm_source=Facebook&fbclid=IwAR08q_VmrYYFTDY7eEx4UyBVy7 DU1Djt3IH-mFqlAxSAjkICExQ41DN_6nw#Echobox=1586799172

[2] Source: Daily wire, https://www.dailywire.com/news/it-begins-japan-pays-billions-to-firms-to-leave-china-relocate-production- elsewhere?utm_source=facebook&utm_medium=social&utm_campaign=benshapiro

[3] Source: Notes from Poland, https://notesfrompoland.com/2020/05/05/microsoft-announces-1-billion-investment-in-poland/?fbclid=IwAR0ALwBsRaLtRejYiQcbUiavnc002as84bmn6F5uMyXx1sbwd04nbMb_o8M

[4] Source: EU Commission, https://ec.europa.eu/info/news/startups-and-smes-innovative- solutions-welcome-2020-mar-13_en

[5] Source: DEA, https://dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy.pdf

**Strong International Cooperation** – International and multilateral cooperation are critical for Georgia: the quick response from the country's allies and international financial institutions helped the GOG design a rapid response to the crisis during the first stages of the pandemic. International assistance will be equally important in the post-crisis period.

Donors and allies can use financial and technical assistance to help the GOG meet its development priorities and address social and economic shortcomings. International cooperation can also be used as a tool for Georgia to meet its goals under Agenda 2030 and its 17 Sustainable Development Goals (SDGs).

Finally, international assistance and multilateral cooperation play a fundamental role in Georgia's geopolitical strategy. The National Security Concept highlights the importance of high long-term economic growth and the continued partnership with allies, including the European Union, the United States, and countries in the region.[1]

## Literature:

1. Daily wire, https://www.dailywire.com/news/it-begins-japan-pays-billions-to-firms-to-leave-china-relocate-production-elsewhere?utm_source=facebook&utm_medium=social&utm_campaign=benshapiro
2. DEA, https://dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy.pdf
3. Euro news, https://www.euronews.com/2020/04/13/european-countries-need-to-protect-their-companies-from-chinese-takeovers-says-eu-commissi?utm_medium=Social&utm_source=Facebook&fbclid=IwAR08q_VmrYYFTDY7eE%20x4UyBVy7DU1Djt3IH-mFqlAxSAjkICExQ41DN_6nw#Echobox=1586799172
4. EU Commission, https://ec.europa.eu/info/news/startups-and-smes-innovative-solutions-welcome-2020-mar-13_en
5. Invest in Georgia, https://www.investingeorgia.org/en/georgia/free-trade-regimes
6. National Security Concept of Georgia, https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx?lang=en-US
7. Notes from Poland, https://notesfrompoland.com/2020/05/05/microsoft-announces-1-billion-investment-in-po-

[1] Source: National Security Concept of Georgia, https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx?lang=en-US

land/?fbclid=IwAR0ALwBsRaLtRejYiQcbUiavnc002as84bmn6F5uMyXx1sbwd04nbMb_%20o8M

8. Trade with Georgia, http://www.tradewithgeorgia.com/about-georgia
9. World Economic Forum (WEF), Moody's Investors Service – Impact on global economy from the coronavirus.
10. World Trade Organization (WTO) https://www.wto.org/english/news_e/pres20_e/pr855_e.htm
11. http://www3.weforum.org/docs/WEF_Challenges_and_Opportunities_Post_COVID_19.pdf
12. World Trade Report (WTO), https://www.wto.org/english/res_e/booksp_e/01_wtr19_0_e.pdf

# ALGORITHMS, ACCESS TO PERSONAL DATA AND ITS CHALLENGES

**ნინო ცხოვრებაშვილი**

*ბიზნეს ადმინისტრირების დოქტორი*

*დოქტორანტი, სორბონი, პარიზ 1*

*სწავლებისა და კვლევის ატაშე*

**Nino Tskhovrebashvili**

*Doctor of Business Administration*

*University Pantheon Sorbonne*

*PhD Student The University Paris 1*

*Teaching and Research Temporary Attachée*

ntskhovrebashvili@yahoo.com

## Abstract

Artificial intelligence has in particular changed certain processes. Decisions, which impact both the organization and individuals, can be made by algorithms, including for example granting credit, recommending medical treatment, accessing a service. The implementation of AI-involves new complexity and therefore generates new needs for control and mastery. There is a wide variety of algorithms used for machine learning. They can be grouped into several distinct categories. Algorithms offer many possibilities, but remain simple sets of instructions. They are created by humans, and therefore can have flaws. According to the recommendations of the CNIL[1], the principle of loyalty must be applied to all algorithms. Any algorithm, whether or not it processes personal data, must be loyal to its users, not only as consumers, but also as citizens. Rhetorical questions: can we speak of „ethics of algorithms“ and how to apprehend these humanized robots?

**Keywords:** Artificial Intelligence, Algorithm, Data Protection, Privacy By Design.

---

[1] National Commission on Informatics and Liberty.

* * *

The algorithmic processing of information raises questions. An algorithm is an instruction for solving a problem. Algorithms can be found in many applications, in computer operations, cryptography, resource planning, image processing...

On the internet, algorithms classify information, make recommendations or put people in contact with each other. But if the advantages of algorithmic processing are indisputable, the risks must also be clearly identified. An algorithm is a general method for solving a set of problems. It is said to be correct when it solves the problem posed. Its effectiveness is measured by the precision of the results obtain.

The algorithm makes calculations from the data collected, without any verification of their veracity, accuracy, relevance, suitability for the intended purpose. In the end, the data controller does not know how the research is conducted and by what method the profiling was carried out. An important question is: How to control the machine if its reasoning escapes man?

If we take the example of Google's search engine, on the assumption that this company would like to promote its own services by algorithmic decision of its engine: human activity is encrypted to be categorized without awareness of the individuals concerned. The public and private actors behind algorithmic processing are also varied (States, commercial companies) and their purposes (fight against crime, improve knowledge of individuals). According to the authors, „algorithmic governmentality“ is defined in three stages:

- Collection of massive amounts of data (big data);
- Data processing;
- Knowledge production (data mining);

This third part is that of the use of this statistical probabilistic knowledge for purposes of anticipating individual behavior, data mining. (Rouvroy 2013 163-196)

Indeed, data mining makes it possible to aggregate knowledge about individuals and to profile them, for example to condition the obtaining of a pricing of an insurance contract, the suggestion of purchases on sales sites. online, etc.

This type of profiling of individuals risks violating fundamental rights and being a source of discrimination. In our daily life, more and more, the machine decides for the man. But how do you make sure it is relevant? A large part of our behavior is already captured and analyzed. Even if one thinks that algorithms are used simply to aid law enforcement, one has to question how checks on individuals are carried out in this way. The means are

just as important as the ends.

Companies whose policies are based on the use of algorithms may be held liable in connection with possible abuses of market rules. In the financial sector, market abuse may have been carried out in the context of high-frequency trading operations (ALGORITHMES, 2017, 92).

In the case, an algorithm was invented to achieve a market manipulation that is admittedly classic but carried out on a scale which until then was technically unthinkable. It was about the strategy of marking the close. Practice of posting and then canceling many orders for large quantities in the book, forcing other traders to waste time processing and interpreting these orders. This type of tactic is made possible by algorithmic trading.

The algorithms can be used for anti-competitive practices. This is a situation in which firms coordinate their behavior to increase their profit. A first type of agreement operating through an algorithm is given to us by an American case: Topkins. It is about a seller of posters on Amazon Market Place who used with its competitors a price algorithm allowing them to adjust instantly to any factor leading to differences between them. 'an agreement between the firms concerned but was based exclusively for its operation on a price algorithm. If all the „competitors“ increase their prices, the optimal strategy is to reduce theirs as discreetly as possible.

Through machine learning, the algorithm changes its code and parameters on its own. Machine learning refers to the algorithm's ability to change itself as part of a learning process. The specificity of these algorithms is the ability to be autonomous in their initial coding through experience. This experience is accumulated through market interactions.

Deep learning allows very large amounts of data to be analyzed and allows a machine to correct its internal parameters on its own to improve its performance (Marty, 2017, 3-8).

The use of algorithms by the creative industries can have more or less significant effects on the development of a rich and diversified offer. To preserve the individual's free choice and to allow them to contextualize personalized recommendations, it is necessary to ensure a certain degree of consumer information on the driving mechanisms of the algorithms. A few systems, like IBM Watson with the Jeopardy game, have publicized advances in artificial intelligence (AI). These large systems are complex, associating multiple algorithms, according to different technologies. For their development, especially over the past two years, the American digital greats have been investing billions in computing and storage capacities.

Statistical algorithms, as a means of profiling, create the conditions for a human- machine dialogue simulating a real dialogue between a user and an expert. Statistical algorithms only recycle information to the sphere of the user. Companies seek to create ecosys-

tems around algorithms, drawing on communities of AI developers and researchers. IBM's specialized healthcare division, the Watson Developer Cloud, is a platform that brings together 400 Watson Ecosystem partners to develop products. In January 2016, for example, Sopra Steria announced the creation of an IBM Watson cognitive skills center (Rapport – Algorithms, 2016).

To imagine the impact of AI on the work of the future, we must study the history of technological development. The research results are different. Oxford University researchers Carl Frey and Michael Osborne published a study of different types of jobs to calculate the probability of automation among them. This study concluded that 47% of American jobs were threatened by automation in the next 20 years. More recent work carried out by researchers Melanie Arntz, Terry Gregory and Ulrich Zierahn believe that Frey and Osborne's approach by professions does not give the possibility of restoring a real image. She estimates that around 9% of jobs could be lost due to robotization and the adoption of AI tools replacing human labor. (Rapport d'information, 2019)

Another study by France Stratégie estimates for France that the number of jobs that can be easily automated by 2025 would be around 3.5 million, or 15% of total employment, while those that cannot be automated at all amount to more than 9 million.

According to the latest publication from the International Federation of Robotics, in France there is a lower density of industrial robots than in its European neighbors. There were 154 robots for 10,000 employees in French industry, compared with 200 in Italy, 188 in Belgium and 168 in Spain, respectively. (Executive Summary, 2016, 13-16)

The use of algorithms in the verification system poses challenges not only for the industry in which they operate, but also for society. Above all, the impact of algorithms on the development of technology and human rights is particularly interesting. Of the many definitions, we can choose the most striking: AI is a scientific discipline (process) aimed at performing cognitive processes by machines (computers and computer programs). AI systems can only be software, (facial recognition) or be integrated into hardware devices (self-driving cars). The AI system has many advantages: speed of execution, accuracy, costs ... but it carries in itself a negative and risky effect for non-respect of privacy. According to 1,000 US business executives surveyed, more than 20% of companies use AI and their organization plans to improve this system. Most executives know that artificial intelligence (AI) has the power to change almost everything in business and could contribute up to $ 15.7 trillion to the global economy by 2030. But what many business leaders don't know is how to deploy AI, across the organization, to create maximum value. (2019 AI Predictions, 2019)




Source Pays les plus automatises au monde, secteur industriel 2018

Algorithms in the verification system and data protection

In our view, the question of the coexistence of AI with data protection is interesting. The law for a digital republic in France provides that administrations implement algorithmic processing which results in an individual decision. Algorithms occupy an important place in our daily life: results on a search engine, news on social networks, recommendations on e-commerce sites, financial procedures carried out by robots in the markets, automatic medical diagnoses ... algorithms are present in all these areas. Individual decisions should not be made on the basis of an algorithm alone.

Obviously, the opinion of the company on this subject is interesting. IN France A survey was conducted among a sample of 1001 people, representative of the French population aged 18 and over (by the CNIL): for 72%, AI is a challenge for society. (Sondage Ifop pour la CNIL, 2017) Question: In your opinion, are algorithms a social issue?




Source Sondage Ifop pour la CNIL, 2017

Question: In your opinion, algorithms today ... Are rather a source of error
Are rather reliable




Source: Sondage IFOP pour la CNIL, 2017; Privacy by design

For protection of data, we use the system of decentralization of data thus reducing the risk of invasion of privacy. In this context it is very interesting Privacy by design. According to these concepts, legislative means are not sufficient to guarantee the protection of privacy. According to the European Competition Commissioner, „What we see in Europe is that there is a large proportion of citizens who find that they are not in control. They don't trust companies to protect their data, and I think that's bad, because then there is a risk that they will take out all the benefits of our digital economy. And to build trust, I think it's very important that we enforce privacy rules, that we have „privacy by design" in new services, so that privacy is not fair. an add-on, but that it is really basic" (Business 21 sept. 2016).

For the respect of privacy and at the same time for the exchange of information between administrations, some countries use an administrative model according to which a service integrator ensures the exchange of data between the administrations concerned. Therefore, the data is recorded in a decentralized manner within the administration and is exchanged by a service integrator. The first network of its kind is the social security network, which brings together social security institutions (PRIVACY BY DESIGN, 71-86).

Using This System, It is virtually impossible for a third party to access centralized data in a single access. there is no global identification number in place. This fact reinforces the level of security. Each citizen has an identification number specific to each network, which

prevents cross-references from one network to another. In the hypothesis to access data a citizen should conduct an attempt to access each genuine source of data, which reduces the risk of access. On the other hand, each data source must provide the level of security to ensure the proper functioning of entire security. It should be noted that even users do not have central access to their own data. Such a portal would be a guarantee for the protection of privacy retaining the right to information and transparency.

The Belgian model of e-government is a good example of an administration which is both efficient and guarantees the protection of privacy. The automation of certain rights, the computerization of the fight against fraud, the access to online forms are the steps advanced in the relationship between the administration and citizens. This is a diagram illustrating a network of administrations made up of a service integrator to which several administrations are linked.

According to the Belgian government, the proliferation of vertical service integrators is creating a problem for administrations. For example, administrations must contact different service integrators depending on the type of data and each time must wait for specific procedures. To improve service and save time, so-called „horizontal" service integrators have been created which group together administrations according to their membership in the federal entity. They include a service integrator responsible for ensuring the flow of data between the administrations concerned.



## Literature:


1. Rouvroy et Th. Berns, Gouvernementalité algorithmique et perspectives d'émancipation 2013/1 - n° 177 pages 163 à 196.
2. ALGORITHMES DE PRIX, INTELLIGENCE ARTIFICIELLE ET ÉQUILIBRES COLLUSIFS1 Frédéric MARTY; „Revue internationale de droit économique“ 2017/2 t. XXXI | pages 88 à 92.
3. Frédéric Marty, Algorithmes de prix, intelligence artificielle et équilibres collusifs, Sciences Po OFCE Working Paper, n°14, 2017-05-01. Pp. 3.
4. https://www.economie.gouv.fr/files/files/directions_services/cge/Rapports/2016_05_13_Rap-%20port_Algorithmes(1).pdf
5. Rapport d'information de Mme Marie MERCIER et M. René-Paul SAVARY, fait au nom de la délégation sénatoriale à la prospective sur robotisation et emplois de service, n° 162 (2019- 2020) - 28 novembre 2019.
6. Executive Summary World Robotics 2019 Industrial Robots, pages 13-16.
7. 2019 AI Predictions,
8. https://www.pwc.com/us/en/services/consulting/library/artificial-intelligence-predictions-2019.html
9. www.numerama.com › Business 21 sept. 2016.
10. PRIVACY BY DESIGN ET E-GOUVERNEMENT: UN MODÈLE INÉDIT EN BELGIQUE1 Elise Degrave et Benoît Vanderose p. 71-86.
11. Sondage Ifop pour la CNIL, 2017.

# სამართალი
# LAW



# საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობის გაზრდის პროცესუალური ინსტრუმენტები


**თამარ ჭარბაძე**

*სამართლის მაგისტრი*

**Tamar Charbadze**

*Master of Law*

tamar_charbadze@yahoo.com


# PROCEDURAL TOOLS TO INCREASE THE EFFECTIVENESS OF THE CONSTITUTIONAL COURT DECISION


## Abstract

According to the legislation of Georgia, invalidation of the legal act by the Constitutional Court doesn`t result invalidation of judgments made on its bases and only causes suspension of their execution. Similar solution significantly decreases the role of the Constitutional Court in the process of human rights` protection. The situation may partially be improved by the way of lodging constitutional submission by the common court (which causes suspension of litigation until delivering judgment by the Constitutional Court) or suspension of impugned act by the Constitutional Court directly.

Present article will discuss the possible outcomes of the decision of the Constitutional Court and their compliance with the needs of the plaintiffs, as well as the right to fair trial. Special attention will be paid to the legal grounds and case law related to preparation of constitutional submissions and suspension of the impugned act, also relevant gaps and the ways of their solution.



**Keywords:** Legislation of Georgia, Constitutional Court, Human Rights Protection.

## 1. შესავალი

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის (შემდგომ ორგანული კანონი) თანახმად, ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ იწვევს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გაუქმებას და იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას.[1] სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის წარმოების განახლების საფუძველს არ წარმოადგენს.[2] იგივე პოზიციას იზიარებს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“[3] და „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“.[4] გამონაკლისია „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას განაჩენის გადასინჯვის საფუძვლად მიიჩნევს.[5] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ამგვარი გადაწყვეტა „განპირობებული უნდა იყოს იმ სიკეთის თავისებურებით, რომელიც სისხლის სამართლებრივი ზემოქმედების ობიექტს შეადგენს“.[6] ამდენად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სრულყოფილი შედეგის მისაღწევად, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყებაა საჭირო, შედეგის მიღწევა შეუძლებელი ხდება. შედეგის მიღწევა რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებითი კომპონენტია, მრავალ-

---

[1] იხ. მუხლი 20, ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 31 იანვარი, 1996 წელი, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996;

[2] იგულისხმება კონსტიტუციის მე-2 თავთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები. ვინაიდან, ორგანული კანონის 23-ე მუხლი განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხზე სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების განსხვავებულ თარიღებს;

[3] იხ. მუხლი 423, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, 14 ნოემბერი, 1997 წელი. პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31 დეკემბერი, 1997 წელი;

[4] იხ. მუხლი 1, საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, 23 ივლისი, 199 წელი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 39(46), 06 აგვისტო, 1999წელი;

[5] იხ. მუხლი 310-311, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი“. 09 ოქტომბერი, 2009 წელი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 31, 03 ნოემბერი, 2009 წელი;

[6] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/161 გადაწყვეტილებს საქმეზე “საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, 30 აპრილი, 2003 წელი. პარაგრაფი VI;

გზის აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა (შემდგომ ევროპული სასამართლო) და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება.“[1] აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ევროპულმა სასამართლომ კონსტიტუციური მართლმსაჯულების ქართულ მოდელს სპეციალური მსჯელობა მიუძღვნა საქმეში „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ.“[2] გადაწყვეტილების აღსრულებასთან მიმართებით კი სასამართლომ მიუთითა: „იმისათვის, რომ მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყოს, ის უნდა პასუხობდეს საჩივარს, იძლეოდეს გასაჩივრებული დარღვევის პირდაპირი და სწრაფი გამოსწორების საშუალებას და არ უნდა სთავაზობდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებების მხოლოდ უბრალო, ირიბ დაცვას“.[3] ამდენად, ნათელია, რომ კონსტიტუციური მართლმსაჯულების ქართული მოდელი აღსრულების თვალსაზრისით არა მხოლოდ მოსარჩელეთა მოლოდინს, არამედ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნებსაც ვერ პასუხობს. კანონმდებლის მიერ საკითხის დარეგულირებამდე განვიხილოთ გადაწყვეტილების ეფექტურობის გაზრდის გზები.

## 2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობის გაზრდის შესაძლო გზები და პროცესუალური ინსტრუმენტები

### 2.1. საერთო სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ერთდროულად მიმართვა

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოსარჩელე უფლებამოსილია ერთდროულად მიმართოს საერთო სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს და ვალდებული არ არის საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვამდე ამოწუ-

---

[1] იხ. იქვე, პარაგრაფი II-9;

[2] იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქმე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, 2006 წლის 28 ნოემბერი;

[3] იხ. იგივე, პარაგრაფი 44;

როს საერთო სასამართლოების სისტემა. თუმცა, პირს შეუძლია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ მაშინ, თუ მიაჩნია, რომ „დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი.“[1] შესაბამისად, უფლების დარღვევის/დარღვევის რეალური საფრთხის იდენტიფიცირებამდე პირი საკონსტიტუციო სასამართლოს ვერ მიმართავს.[2] წინმსწრებით მიმართვა გამორიცხულია იმ შემთხვევაშიც, როცა აქტის არაკონსტიტუციურობის ვარაუდი საერთო სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში ჩნდება. რაც შეეხება ერთდროულად მიმართვას, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი სამართალწარმოების ვადებია. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით, შესაძლოა საერთო სასამართლოში წარმოება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე ადრე დასრულდეს და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდეს.[3] ვინაიდან, სამოქალაქო სამართალწარმოებისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების, კონკრეტულად კი გადაწყვეტილების მიღების ვადები, კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. უფრო მეტიც, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი შეეხება იმ მიზეზებს, რომელთა გამოც საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადების ზუსტად განსაზღვრა გაუმართლებელი იქნება.[4] დასტურად, სასამართლოს პრაქტიკაში არის საქმეები, რომელთა განხილვა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.[5] ამდენად, საერთო სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ერთდროულად მიმართვა შეიძლება ერთგვარ წინდახედულება მივიჩნიოთ, თუმცა ცალკეუ-

---

[1] იხ. მუხლი 39, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“. 31 იანვარი, 1996 წელი, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996;

[2] გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელიც უფლებამოსილია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს თუ მას მიაჩნია, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი;

[3] იხ. მე-7 თავი, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. 14 ნოემბერი, 1997 წელი. პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31 დეკემბერი, 1997 წელი;

[4] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა-(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2014 წლის 24 დეკემბერი, II-12;

[5] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 17 ოქტომბერი, 2017 წელი;

ლი გარემოებების გათვალისწინებით, სრულყოფილ გარანტიას ვერ წარმოადგენს.

### 2.2. საკითხის გადაწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოს

მიერ გადაწყვეტილების შედეგთან დაკავშირებული პრობლემა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ცნობილია. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა: „[...]გადაწყვეტილებები ხშირად არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და არსებობს საფრთხე, რომ პირის უფლებაში აღდგენა არ მოხდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ“.[1] მიუხედავად ამისა, სასამართლო თავშეკავებულია საქმის წარმოების განახლების საფუძვლებთან მიმართებით, რაც შედეგის მიღწევის და პირის უფლებებში აღდგენის აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს.[2] უფრო მეტიც, ორგანული კანონის იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც საერთო სასამართლოში საქმის წარმოების განახლებას გამორიცხავს, სადავოდ „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-სა და „შპს ტელეკომპანია საქართველო“-ს №719 კონსტიტუციური სარჩელითაა (შემდგომ №719 კონსტიტუციური სარჩელი) გახდილი და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არსებითად განსახილველადაა მიღებული.[3] მოსარჩელის მტკიცებით, სადავო ნორმების არსებობის პირობებში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ არის სათანადო ეფექტის მქონე. ამგვარი მოცემულობით კი, პირი იძულებულია, შეეგუოს არაკონსტიტუციური ნორმის მოქმედების პერიოდში გამოტანილი სასამართლო აქტის შედეგებს.[4] უდავოა, რომ დასახელებული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების ქართული მოდელი არსებითად შეიცვლება. გამოირიცხება ის სარჩელებიც, რომლებიც კონკრეტული მოსარჩელისთვის მატერიალური შედეგის მიღწევის და

---

[1] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა-(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 24 დეკემბერი, პარაგრაფი II-32;

[2] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/531 გადაწყვეტილებს საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები - თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2013 წლის 05 ნოემბერი, პარაგრაფი II- 25-38;

[3] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1-1/719 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო““ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2016 წლის 25 თებერვალი, პარაგრაფი I-7;

[4] იხ. იქვე, პარაგრაფი I-9;

უფლებაში აღდგენის თვალსაზრისით ვერაფერს ცვლის, მაგრამ კანონმდებლობის დახვეწის მიზანს ემსახურება.

№719 კონსტიტუციური სარჩელის პარალელურად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება თემატურად დაკავშირებულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე აქვს მისაღები. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, ამავე სასამართლოს წევრის გიორგი კვერენჩხილაძის წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე, არსებითად განსახილველად მიიღო №1458 და №1556 კონსტიტუციური სარჩელები.[1] ფაქტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დასახელებული კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდაა გახდილი, მათ შორის, ძალადაკარგული ნორმის კონსტიტუციურობის საკითხი. მოქმედი კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად აუცილებელია მხოლოდ მოქმედი ნორმის გასაჩივრება, რადგან „ნორმატიული აქტი, რომელიც აღარ მოქმედებს, ვერ შეფასდება როგორც ადამიანის უფლებების შემზღუდველი ნორმა“[2]. აღნიშნულის საპირისპიროდ, შუამდგომლობის ავტორის პოზიციით, ადამიანის უფლებების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს როგორც კონსტიტუციური სარჩელის შეტანის დროს მოქმედმა ნორმატიულმა აქტმა, ასევე „პირობითად, კონსტიტუციური სარჩელის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანამდე ერთი ან რამდენიმე დღით ადრე ძალადაკარგულმა ნორმატიულმა აქტმაც“.[3] °გივე ეფექტი შეიძლება ჰქონდეს სადავო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის შემდეგ, მაგრამ საქმის არსებითად განსახილველად მიღებამდე.[4] ორივე შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ადამიანის უფ-

---

[1] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №3/1-2/1458,1556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

[2] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის №1/1/521 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

[3] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №3/1-2/1458,1556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

[4] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 07 ოქტომბრის №2/7/605 განჩინება შპს „STAR GROUP“ („სტარ გრუპი“) საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;

ლებათა დაცვის მექანიზმის ეფექტურობა მცირდება. გამოსავლის სახით, გიორგი კვერენჩხილაძე მიიჩნევს, რომ „საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ იმ ძალადაკარგული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე უნდა იმსჯელოს, რომლებმაც უკვე შეზღუდეს პირის რომელიმე უფლება“.[1] №719 კონსტიტუციური სარჩელის მსგავსად, მითითებულ სარჩელებზე გადაწყვეტილების მიღებაც ქართული კონსტიტუციური მართლმსაჯულების აქტუალურ შეკითხვებს პასუხს გასცემს. თუმცა, მანამდე განვიხილოთ ის პროცესუალური ინსტრუმენტები, რომლებიც არსებული რეგულირების პირობებში, შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობის გაზრდის მიზნით იყოს გამოყენებული.

### 2.3. საერთო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა[2] და ორგანული კანონის[3] მიხედვით: საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს თუ თვლის, რომ კანონი რომელიც კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, არ შეესაბამება კონსტიტუციას და საქმის წარმოება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეჩერდება. საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის კვლევა ადასტურებს, რომ საერთო სასამართლოები ამ შესაძლებლობით ნაკლებად სარგებლობენ. ოფიციალური მონაცემების შესაბამისად, 2014 წლის 01 აპრილიდან 2020 წლის 10 იანვრის ჩათვლით, საკონსტიტუციო სასამართლოში 60 კონსტიტუციური წარდგინება დარეგისტრირდა. ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: წარდგინებები, რომელიც საქმის განმხილველი სასამართლოს შეხედულებებს ეფუძნება და წარდგინებები, რომლებიც უშუალოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს. წარდგინებები, რომელიც პირველ კატეგორიაში ხვდება, თემატიკის მიხე-

[1] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №3/1-2/1458,1556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

[2] იხ. მუხლი 6, საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“. 14 ნოემბერი, 1997 წელი. პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31 დეკემბერი, 1997 წელი;

[3] იხ. მუხლი 19 პუნქტი 2, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუ- ციო სასამართლოს შესახებ“. 31 იანვარი, 1996 წელი, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996;

დვით შედარებით მრავალფეროვანი, თუმცა რაოდენობრივად მცირეა.[1] რაც შეეხება მეორე კატეგორიაში მყოფ კონსტიტუციურ წარდგინებებს, ისინი უზენაესი სასამართლოს მიერაა წარდგენილი, საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ეფუძნება და სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების კონსტიტუციურობას შეეხება.[2] აღნიშნული ცალსახად ადასტურებს სამწუხარო რეალობას, რომლის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის კონსტიტუციური წარდგინებებით მიმართვა აუცილებლობითაა ნაკარნახები და დამოუკიდებელ ინიციატივებს ნაკლებად ეფუძნება.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება საქმეებიც, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვამდე საერთო სასამართლოს განსჯადი იყო და საერთო სასამართლოს მიერ წარდგინებით მიმართვის შემთხვევაში, მოსარჩელისთვის არსებითად განსხვავებული შედეგით დასრულდებოდა.[3] პასიურობის პარალელურად, გამოწვევას წარმოადგენს საერთო სასამართლოების მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის არასათანადო გაგება და გამოყენებაზე უარი, მაშინაც კი, როცა ამაზე თავად მოსარჩელე მიუთითებს. ამის კლასიკური გამოვლინებაა ოლეგ ლაცაბიძის მიმართ ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.[4] საერთო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩე-

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №3/1/649, 25 ნოემბერი, 2015 წელი, საოქმო ჩანაწერი №3/8/684, 14 დეკემბერი, 2016 წელი, საოქმო ჩანაწერი №3/3/1341, 27 თებერვალი, 2020, საოქმო ჩანაწერი №3/4/1352, 27 თებერვალი 2020, კონსტიტუციური წარდგინება №1478 , 10 იანვარი 2020;

[2] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/633,634, 13 აპრილი, 2016 წელი); სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №3/3/ 685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820, 29 სექტემბერი 2016); სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის და 260-ე მუხლის პირველი ნაწილის (...), ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის კონკრეტული ნორმატიული შინაარსი (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №3/2/771, 775, 776, 777, 786, 787, 788 26 სექტემბერი, 2016);

[3] იხ. მუხლი 150, ნაწილი პირველი, საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი". 15 დეკემბერი, 1984 წელი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 31 დეკემბერი, 1984 წელი;

[4] იხ. მუხლი 59 პუნქტი პირველი, მუხლი 60 პუნქტი პირველი და მე-4, საქართველოს ორგანუ-

ლე ითხოვდა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკით ხელმძღვანელობას, თუმცა, საქმის განმხილველმა სასამართლომ არა მხოლოდ არ გაითვალისწინა მოსარჩელის მოთხოვნა, არამედ განაცხადა, რომ სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი არ იყო.[1] მოგვიანებით, ოლეგ ლაცაბიძემ თავად მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და მისი სარჩელი დაკმაყოფილდა. მიუხედავად ამისა, მითითებული მიზეზის გამო, მისი უფლებაში სრულად აღდგენა ვერ მოხერხდა.

მოხმობილი მაგალითები ადასტურებს, რომ ეფექტური შედეგის მისაღწევად ვარგისი ინსტრუმენტი, უფლებამოსილი სუბიექტების მიერ არ ან არაეფექტურად გამოიყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასახელებული საქმეები საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი კონსტიტუციური წარდგინების და არა კონსტიტუციური სარჩელის გზით გახდებოდა და მოსარჩელისთვის არსებითად განსხვავებული შედეგის მიმცემი იქნებოდა.

## 2.4. სადავო აქტის მოქმედების შეჩერება

სადავო აქტის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებული საკითხებიც ორგანული კანონითაა დარეგულირებული. შესაბამისი ნორმის მიხედვით, სადავო აქტის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები; სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერება შესაძლებელია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით; გადაწყვეტილება შეიძლება გადაისინჯოს თუ აღარ არსებობს ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას.[2] მოცულობითი ნორმის პარალელურად, კომპლექსურია საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი მოთხოვნები. სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მექანიზმი იცავს მოსარჩელეს უფლების აუცდენელი და შეუქცევადი დარღვევისაგან და ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი

---

ლი კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, 05 თებერვალი, 2014 წელი.საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 19 თებერვალი 2014 წელი;

[1] იხ. ო ლეგ ლაცაბიძის №626 კონსტიტუციური სარჩელი. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1378 ;

[2] იხ. მუხლი 25 პუნქტი 5, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუ- ციო სასამართლოს შესახებ“. 31 იანვარი, 1996 წელი, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996;

მიმართვის ეფექტიანობას“.[1] დამკვიდრებული პრაქტიკით, ნორმის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ შეჩერება „უზრუნველყოფს მოსარჩელის უფლებების პრევენციულ დაცვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს მისთვის გამოუსწორებელი შედეგი“,[2] პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“[3], გათვალისწინებული და შეფასებული უნდა იქნეს იმ მესამე პირთა, თუ საზოგადოების ინტერესი, რომელსაც, შესაძლოა ზიანი მიადგეს ნორმის მოქმედების შეჩერებით.[4]

ოფიციალური მონაცემების მიხედვით, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მოთხოვნით მოსარჩელეებმა სასამართლოს დაახლოებით 90-ჯერ მიმართეს, ხოლო სასამართლომ 10-მდე შუამდგომლობა დააკმაყოფილა.[5] რაოდენობრივი სიმცირის პარალელურად მცირეა იმ თემების ჩამონათვალი, რომლებსაც დაკმაყოფილებული შუამდგომლობები უკავშირდება. მათ შორისაა სიცოცხლის უფლება და შეუქცევადი (ინსტიტუციური და ფინანსური) პროცესები. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შუამდგომლობა გადაწყვეტილების აღსრულებასთან, თანამდებობაზე დანიშვნასთან ან სავალდებულო საპენსიო შენატანებთან დაკავშირებით. კვლევა ადასტურებს იმასაც, რომ სასამართლო არ აკმაყოფილებს იმ მოსარჩელეთა შუამდგომლობებსაც კი, რომელთა სარჩელებს დაკმაყოფილების რესურსი აქვს.[6]

სადავო აქტის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტთან საკონსტიტუციო სასამართ-

---

[1] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა-(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)” და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2014 წლის 24 დეკემბერი, პარაგრაფი II-31-35;

[2] იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 25 ნოემბერი, 2016 წელი, პარაგრაფი II-37;

[3] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2008 წლის 20 მაისი, პარაგრაფი II-2).

[4] იხ. იქვე, პარაგრაფი II-10;

[5] ბოლოს შემოწმებულია 10 მაისი, 2020 წელი;

[6] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/14/879 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. 8 სექტემბერი, 2017 წელი. პარაგრაფი I-11, III-3;

ლოს დამოკიდებულებას საუკეთესოდ აღწერს ლევან გვათუას კონსტიტუციური სარჩელი. მოსარჩელე, სიცოცხლისთვის საშიში შედეგების თავიდან აცილების მიზნით საჭიროებდა მოკლე ვადაში ღვიძლის ტრანსპლანტაციას, თუმცა კანონით განსაზღვრულ პირთა წრიდან, სამედიცინო თვალსაზრისით, მისთვის ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა არც ერთი დონორი. სასამართლომ განმარტა, რომ „ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს ფუნდამენტურ კონსტიტუციურ ღირებულებას, რომლის გარეშე საფუძველი ეცლება ფაქტობრივად ყველა კონსტიტუციურ უფლებას[1] და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმის კონკრეტული ნორმატიული შინაარსის მოქმედება შეაჩერა. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც კი სიფრთხილე გამოიჩინა და განიხილა სადავო აქტის შეჩერებით საჯარო წესრიგის მიმართ საფრთხეების შექმნის შესაძლებლობა და საპირწონე მექანიზმები.[2] ნათელია, რომ სასამართლოს უკიდურესი სიფრთხილე საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის ინტერესით აიხსნება. თუმცა, აღნიშნული სიფრთხილე არ უნდა გახდეს გადაწყვეტილების ეფექტურობის შემცირების მიზეზი.

## 3. ხარვეზები და დაძლევის შესაძლო გზები

როგორც უკვე აღინიშნა, №719 კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება კონსტიტუციური მართლმსაჯულების ქართულ მოდელს არსებითად შეცვლის. თუმცა, კონსტიტუციური წარდგინებისა და სადავო აქტის მოქმედების შეჩერების ინსტრუმენტები მნიშვნელობას ამ შემთხვევაშიც შეინარჩუნებენ. შესაბამისად, მიზანშეწონილია განვიხილოთ მათთან დაკავშირებული ხარვეზები, რომლებიც უფლებაში აღდგენის ერთადერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს დღეს, თუმცა დამხმარე ინსტრუმენტის სტატუსს შეინარჩუნებს ზემოთ მითითებული კონსტიტუციური სარჩელების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

საერთო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა საკმარისია იმისათვის, რომ საქმის წარმოება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეჩერდეს. შესაბამისად, სამართალწარმოების მონაწილე მხარე დაცულია მართ-

---

[1] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/9/682 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2015 წლის 25 ნოემბერი, პარაგრაფი II-14;

[2] იხ. იქვე, პარაგრაფი II-11-13;

ლმსაჯულების არაკონსტიტუციური ნორმის საფუძველზე განხორციელების საფრთხისგან და რეალური შედეგის მისაღწევად დამატებითი ძალისხმევის გამოყენება არ ჭირდება. თუმცა, განსაკუთრებული ძალისხმევის გამოყენება უწევს მოსარჩელეს იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო გამოუსწორებელი შედეგის დადგომის საშიშროებაში და სადავო აქტის მოქმედების შეჩერების აუცილებლობაში დაარწმუნოს. შესაძლოა, ამის მიზეზი ის გარემოებაა, რომ საერთო სასამართლოს მიერ წარდგინების მომზადების შემთხვევაში, საქმის წარმოების შეჩერებით გამოწვეული შედეგები მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტებზე ვრცელდება. შესაბამისად, საერთო სასამართლოს არ უწევს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვაზე ზრუნვა და გადაწყვეტილების მიღებისას მეტად თავისუფალია. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, სადავო ნორმის შეჩერების გადაწყვეტილების მიღებისას უკიდურესად ფრთხილია. პარალელურად, საინტერესოა აქვს თუ არა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა, სადავო ნორმის მოქმედება უშუალოდ მოსარჩელის მიმართ შეაჩეროს. მსგავსი გადაწყვეტა ერთი მხრივ აქტის მოქმედების შეჩერების პროცედურას გაამარტივებს, ხოლო მეორე მხრივ აქტის მოქმედების შეჩერებით გამოწვეულ საფრთხეებს შეამცირებს. ნორმა, რომელიც სასამართლოს დასახელებულ უფლებამოსილებას აძლევს, სადავო აქტის მოქმედების სრულად ან ნაწილობრივ შეჩერებაზე, მოქმედების შეჩერების ვადასა და შეჩერების ინიცირების უფლებამოსილების მქონე სუბიექტებზე მიუთითებს, თუმცა, არ აკონკრეტებს პირთა წრეს, ვის მიმართაც ნორმის მოქმედება უნდა შეჩერდეს. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა, რომ „ზემოაღნიშნულ რეგულაციის არსს და მიზანს არ წარმოადგენს სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება კონკრეტული პირების მიმართ ინდივიდუალურად, პერსონალურად".[1] თუმცა, სასამართლოს შეუძლია კვლავ იმსჯელოს ამ საკითხზე და იმგვარი გადაწყვეტილება მიიღოს, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს დაამკვიდრებს.

## დასკვნა

ვფიქრობ, შესაბამისი სამართლებრივი ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტი-

[1] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/592 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ",13 თებერვალი 2015, პარაგრაფი II-11.

ლების ეფექტურობის გაზრდის გზები და ინსტრუმენტები. ისევე, როგორც ამ ინსტრუმენტების ერთმანეთთან დამოკიდებულება, მათთან დაკავშირებული ხარვეზები და გამოსწორების გზები.

სამართალწარმოების მონაწილეთა ერთი ჯგუფის უფლებაში აღდგენას უპირობოდ უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ №719 კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო სხვა ჯგუფისთვის ასეთ ინსტრუმენტად კვლავ საერთო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის წარდგინებით მიმართვა ან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო აქტის მოქმედების შეჩერება დარჩება. თავის მხრივ, ამ ინსტრუმენტებს უფრო ეფექტურს გახდის საერთო სასამართლოს გააქტიურება. რაც შეეხება სადავო აქტის შეჩერების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს ფრთხილ მიდგომას, აღნიშნულს ობიექტური საფუძვლები გააჩნია და სადავო არ არის. თუმცა, შესაძლოა პრაქტიკის იმგვარი შეცვლა, რომელიც სადავო ნორმის მოქმედებას კონკრეტული სუბიექტის მიმართ შეაჩერებს. ვფიქრობ, ეს მიდგომა ერთი მხრივ გამორიცხავს გავლენას მესამე პირთა ინტერესებზე, ხოლო მეორე მხრივ გაზრდის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტურობას და შესაბამისად, კონსტიტუციური უფლებების დაცვის სტანდარტს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“;
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“;
3. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“;
4. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი“;
5. საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/161 გადაწყვეტილებს საქმეზე.
8. „საქართველოს მოქალაქეები – ოლღა სუმბათაშვილი და იგორ ხაპროვი საქა-

რთველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე
10. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/531 გადაწყვეტილება საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
14. საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/592 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/7/605 განჩინება შპს „STAR GROUP“ („სტარ გრუპი“) საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“;
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/633,634 გადაწყვეტილება „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“;
18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1/649 განჩინება, „თბილისის სააპელაციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება „საჯარო სამსახუ-

რის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მეორე წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“;

19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/9/682 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მოქალაქე ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 29 სექტემბერი, 2016 წელი;
20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/8/684 საოქმო ჩანაწერი, „რუსთავის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1971 მუხლის მეორე ნაწილის და ამავე მუხლის შენიშვნის კონსტიტუციურობის თაობაზე“;
21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1-1/719 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №2/14/879 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/3/1341 საოქმო ჩანაწერი „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“;
24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/4/1352 საოქმო ჩანაწერი, „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე“;
25. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს №1478 კონსტიტუციური წარდგინება;
26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №3/1-2/1458,1556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ჯემალ დუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
27. ოლეგ ლაცაბიძის №626 კონსტიტუციური სარჩელი. ხელმისაწვდომია მისამართზე: https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1378
28. www.constcourt.ge

# ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

# HUMANITIES AND SOCIAL SCIENCES



# შექსპირის „ჰამლეტის“ პოსტმოდერნიზაცია ტომ სტოპარდის პიესაში „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“

**ილია პაჭკორია**
*ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*
*ალტე უნივერსიტეტი*
**Ilia Patchkoria**
*Doctor of Philology, Associate Professor*
*Alte University*
patchkoria@gmail.com

# POSTMODERNISATION OF SHAKESPEARE’S HAMLET INTOM STOPPARD’S PLAY „ROSENCRANTZ AND GUILDENSTERN ARE DEAD“

## Abstract

In Stoppard’s play Rosencrantz and Guildenstern Are Dead the Renaissance spirit of Hamlet is substituted by the postmodern spirit. The world view reflected in the play clearly suggests that, for postmodernism, there is no objective truth. Instead, the postmodern world offers a virtual reality. Such a world completely rejects Hamlet’s high humanistic values. There is no place for Hamlet in the postmodern world, because Shakespeare’s minor characters, Rosencrantz and Guildenstern have become protagonists. This is a typical postmodern manoeuvre reflecting an equal attitude towards high and low values. Postmodernism has no sense of what is high and what is low. Hamlet and Rosencrantz/Guildenstern are on the same level, since hierarchy no longer exists. Everything is levelled, everything is made equal. As a result, there is no sense of man’s spiritual decadence, because postmodernism cannot understand what it means to fall spiritually. Since postmodern man is deaf to Prince Hamlet’s moral words, the speech is given to such nonentities as Rosencrantz and Guildenstern. Hamlet’s high humanistic ideals are as dead in the postmodern world as Rosencrantz

and Guildenstern are dead. The truth – and justice-seeking Hamlet is no longer needed, as truth and justice have no objective existence according to postmodern view. They are only artificial and conventional creations, subject to change at any time and place. In such an attitudinal environment, people, like Rosencrantz and Guildenstern, become puppets of external forces.

**Keywords:** Shakespeare, Hamlet, Stoppard, Rosencrantz and Guildenstern, Postmodern- ism, The Renaissance, Truth.

* * *

შექსპირის „ჰამლეტის" რენესანსულ სულისკვეთებას სტოპარდის პიესაში პოსტმოდერნული ეპოქის სული ენაცვლება. სტოპარდის როზენკრანცი და გილდენსტერნი გარკვეულწილად ექვემდებარებიან პოსტმოდერნულ ჰამლეტებად მოაზრებას. ამის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ სტოპარდის პიესაში:

1. მათ „ჰამლეტის" პროტაგონისტის, ანუ შექსპირის ჰამლეტის ადგილი უკავიათ;
2. ისინი თავიანთ პირველსახეებთან, ანუ შექსპირის როზენკრანცთან და გილდენსტერნთან ერთად მის ჰამლეტთანაც ბევრ საერთოს ავლენენ;
3. რაც განასხვავებთ მათ შექსპირის ჰამლეტისგან, ძირითადად, უკავშირდება იმ განსხვავებას, რაც რეალურად არსებობს პოსტმოდერნულ და რენესანსულ მსოფლმხედველობებს შორის.

ამიტომ, სავსებით ლოგიკურია სტოპარდის როზენკრანცსა და გილდენსტერნში პოსტმოდერნიზებული ჰამლეტის სახის ძიება.

როგორც ჯიმ ჰანტერი შენიშნავს, „თავად ჰამლეტი, შექსპირთან, ჩაფიქრებული ინტელექტუალია, რომელიც ყოველივეს ეჭვქვეშ აყენებს... სტოპარდი ეფექტურად გადასცემს ასეთ ეჭვებს როზენკრანცსა და გილდენსტერნს: ამ თანამედროვე ხედვაში, კარისკაცებს უკვე გააჩნიათ გონება და გრძნობებიც კი"[1] (Hunter, 2000, 23). თუ სტოპარდის როზენკრანცი და გილდენსტერნი პოსტმოდერნიზებული ჰამლეტები არიან, მაშინ მისი „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან" პოსტმოდერნიზებულ „ჰამლეტად" შეგვიძლია მოვიაზროთ.

[1] აქ და შემდგომ ინგლისურენოვანი სამეცნიერო-კრიტიკული ლიტერატურიდან მოყვანილი ციტატების თარგმანი ჩემია – ი.პ.

სტოპარდი თავისი პიესის პროტაგონისტებს, როზენკრანცსა და გილდენსტერნს, გვაცნობს, როგორც ორ ელიზაბეტიანელს. ეს აშკარა ანაქრონიზმია, რადგან დანიური ლეგენდა ამლეთზე, რომელსაც დიდწილად ეფუძნება შექსპირის „ჰამლეტის“ სიუჟეტი, აღწერილია საქსონ გრამატიკოსის მიერ XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე და ეხება საუკუნეებით უფრო ადრეულ ამბავს თუ გადმოცემას. შესაბამისად, ქრონოლოგიური ლოგიკა დარღვეულია როზენკრანცისა და გილდენსტერნის ელიზაბეტ I-ის ეპოქისადმი მიკუთვნებით. თუმცა ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან სტოპარდის და შექსპირის ტექსტი მხატვრული ნაწარმოებია და არა ისტორიული ქრონიკა. თავად შექსპირის პიესებსაც ახასიათებთ ხშირი ანაქრონიზმი. იმავე „ჰამლეტში“ წარმოდგენილი ელსინორის ციხესიმაგრის ისტორიული პირველსახე ააგეს მხოლოდ და მხოლოდ XV საუკუნის პირველ ნახევარში, ე.ი. საქსონ გრამატიკოსის გარდაცვალებიდან დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ. შესაბამისად, ელსინორის ციხესიმაგრის არსებობა შეუსაბამოა დროის თვალსაზრისით „ჰამლეტში“ ნაგულისხმევ ისტორიულ პერიოდთან, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ „ჰამლეტში“ წარმოდგენილი პერსონაჟები შექსპირის თანამედროვე, სწორედ ელიზაბეტ I-ის ეპოქის რენესანსული სულის მატარებელი პერსონაჟები არიან და სავსებით ბუნებრივია, რომ სტოპარდი შექსპირის როზენკრანცსა და გილდენსტერნს ელიზაბეტიანელებად წარმოგვიდგენს და არა შუა საუკუნეების ვიკინგური ეპოქის გმირებად. თუმცა, როგორც შექსპირის ეს მეორეხარისხოვანი პერსონაჟები არ წარმოადგენენ დანიელ ვიკინგებს თავიანთი სულით, ასევე სტოპარდის გაპირველხარისხოვნებული პერსონაჟები არ ატარებენ რენესანსულ სულს. ელიზაბეტიანელობა აქ მხოლოდ ფორმალობაა, რომელიც აუცილებელია შექსპირის რენესანსულ და სტოპარდის პოსტმოდერნისტულ ტექსტებს შორის კავშირის დასამყარებლად. როგორც თავის დროზე შექსპირმა, ისე სტოპარდმაც მისი თანამედროვეობის სული შთაბერა საკუთარ გმირებს მას მერე, რაც ისესხა მათი ვინაობა შექსპირის „ჰამლეტიდან“. „მიუხედავად იმისა, რომ ისინი ელიზაბეტის დროინდელ ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი, სტოპარდი მეოცე საუკუნისეულ ინტელექტს ანიჭებს მათ“ (Hunter, 2000, 20).

სტოპარდის მიერ შექსპირის უფერული, მეორეხარისხოვანი პერსონაჟების, კლავდიუსის კარისკაცების, როზენკრანცისა და გილდენსტერნის აყვანა პროტაგონისტის ხარისხში, ხოლო „ჰამლეტის“ პროტაგონისტის, დანიის უფლისწულის, ჰამლეტის დაყვანა მეორეხარისხოვან პერსონაჟამდე უდავოდ პოსტმოდერნულ ხედვას გამოხატავს, რომლისთვისაც მაღალ და დაბალ ფასეულობებს შორის არსებუ-

ლი მიჯნა, ფაქტობრივად, გაუჩინარებულია. პოსტმოდერნულ სამყაროში როზენკ-რანცსა და გილდენსტერნს ისეთივე უფლება აქვთ იყონ პიესის პროტაგონისტები, როგორც უფლისწულ ჰამლეტს, რადგან ეს ეპოქა არ ცნობს და ვერც ხედავს ჰამლე-ტური ღირებულებების აღმატებულებას როზენკრანც-გილდენსტერნისაზე, რასაც ჯერ კიდევ ამჩნევს მოდერნიზმი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როზენკრანცისა და გი-ლდენსტერნის მსგავსად, შექსპირის მეორეხარისხოვანი პერსონაჟი – პირველი მსა-ხიობი (პირველი აქტორი) – პროტაგონისტების შემდეგ, სტოპარდის პიესაში ყველა-ზე მნიშვნელოვანი პერსონაჟია და თვით შექსპირსაც კი ემსგავსება.

სტოპარდის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან" შექსპირის „ჰამლეტის" თავისებური ასლია, რაც პოსტმოდერნისტული შემოქმედებითი მეთო-დის კიდევ ერთი გამოვლინებაა. სტოპარდი „ჰამლეტის" სიუჟეტის, პერსონაჟებისა და თვით პიესის ტექსტის გარკვეული ნაწილის კოპირებას ახდენს და შემდეგ უმატებს მას თავის მიერ შეთხზულ ორიგინალურ ტექსტს, რითაც პოსტმოდერნისტული გაგე-ბით ქმნის ახალ დედანს. დედნის შექმნის ამგვარი მხატვრული სიმულაცია ეხმიანება პოსტმოდერნული ეპოქის სიმულაკრულ სულისკვეთებას, რომელიც მიისწრაფვის, წაშალოს ზღვარი დედანსა და ასლს შორის, სინამდვილესა და წარმოსახვას შორის, ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის, ზნეობასა და უზნეობას შორის, რითაც, ბუნებრი-ვია, ვეშვებით იქამდეც, რომ იშლება ზღვარი ჰამლეტსა და როზენკრანც-გილდენს-ტერნს შორის.

სიმულაციის საკითხს ეხება ჰამლეტი, ფაქტობრივად, თავის პირველივე ვრცელ რეპლიკაში (იხ. Shakespeare, 2003, 1.2.84-6; შექსპირი, 1987, 327), როდესაც იგი გრძ-ნობების თამაშისა და გაყალბების შესაძლებლობაზე ამახვილებს ყურადღებას გერ-ტრუდისა და კლავდიუსის წინაშე. ჰამლეტური ამბოხიც ხომ სიყალბესთან და ფარი-სევლობასთან ბრძოლის ჰუმანისტური სულისკვეთებაა. სიყალბეს კი მოცემულ შემ-თხვევაში კლავდიუსი და მისი პირმოთნე გარემოცვა განასახიერებს თავისი პოლო-ნიუსებით, როზენკრანც-გილდენსტერნებითა თუ ოსრიკებით. დავით მაზიაშვილი (მა-ზიაშვილი, 2014, 15) პარალელს ავლებს კლავდიუსის ამ უსამართლო და სიცრუეზე აგებულ პოლიტიკურ ძალაუფლებასა და პოსტმოდერნულ ეპოქაში სიმულაკრული სინამდვილის გაბატონებას შორის. ცხადია, ნებისმიერი ყალბი რეჟიმი თავის თავში მოიცავს სიმულაკრების გარკვეულ ერთობლიობას, რითაც ცდილობს გააყალბოს სინამდვილე. ასეთ რეჟიმებს კი როზენკრანც-გილდენსტერნები ერგებიან და არა ჰა-მლეტი. იოლად სამართავი, პირად გამორჩენაზე ორიენტირებული უფერული მედ-

როვეების ნაკლებობას არც ერთი ეპოქა არ განიცდის. ამდენად, როზენკრანცი და გილდენსტერნი არა მხოლოდ პოსტმოდერნული ტიპაჟები არიან, არამედ – ნებისმიერი ეპოქისთვის (მათ შორის, შექსპირის რენესანსული ეპოქისთვის) დამახასიათებელი უსახური კაცუნები, პიროვნული არარაობები. შესაბამისად, სტოპარდთან ისინი თან არიან პოსტმოდერნული პერსონაჟები და თან არც არიან. რაც ცალსახად პოსტმოდერნულია მის პიესაში – ეს არის მათი პროტაგონისტობა. ამგვარი როლის ღირსს არავინ გახდიდა მათ წინა ეპოქებში.

გარდა სტოპარდის პიესის ზოგადი პოსტმოდერნისტული ორიენტაციისა, მის ცალკეულ ეპიზოდებში ვლინდება პოსტმოდერნული ეპოქისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ელემენტი, რაზეც მართებულია ყურადღება გამახვილდეს.

პირველი შეხვედრისას, ჰამლეტი ეუბნება როზენკრანცსა და გილდენსტერნს: „I am but mad north-north west. When the wind is southerly, I know a hawk from a handsaw“ (Shakespeare, 2003, 2.2.347-8) [„მე ჭკუიდამ შეშლილი მხოლოდ მაშინა ვარ, როცა ქარი ჩრდილო-დასავლეთით უბერავს; სამხრეთის ქარში კი ბაყაყიყლაპიას და ქორს ერთმანეთში კარგად ვარჩევ“[1] (შექსპირი, 1987, 345)]. ჰამლეტის ფიგურალურ სიტყვებს სტოპარდის პროტაგონისტები პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ და ჰგონიათ, რომ მისი სულიერი მდგომარეობა მართლა ქარის მიმართულებაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, გილდენსტერნი მთელი გულმოდგინებით ცდილობს დაადგინოს საიდან უბერავს ქარი, თუმცა კი – უშედეგოდ.

ამ ეპიზოდში კიდევ ერთხელ ჩანს გილდენსტერნის განსაკუთრებული მიდრეკილება მეცნიერული მსჯელობისადმი. იგი ისეთი აზარტით შეჰყვება ქარის მიმართულებაზე აბსტრაქტულ მსჯელობას, რომ შეწუხებული როზენკრანცი ეტყვის: „Why don't you go and have a look?“ (Stoppard, 1967, 41) [„რატომ გარეთ არ გახვალ და არ გადაამოწმებ?“[2]]. გილდენსტერნი კი აპროტესტებს: „Pragmatism?! – is that all you have to offer?“ (41) [„პრაგმატიზმი?! – მხოლოდ ამის შემოთავაზება შეგიძლია?“]. და ესეც პოსტმოდერნული ეპოქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: პრაგმატისტული ხედვა.

სრულებით არ არის გასაკვირი, სტოპარდის როზენკრანცსა და გილდენსტერნს

---

[1] აქ და შემდგომ „ჰამლეტიდან“ მოყვანილი ქართული ტექსტის ინგლისურიდან თარგმანი ეკუთვნის ივანე მაჩაბელს.

[2] აქ და შემდგომ, პიესიდან „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“ მოყვანილი ქართული ტექსტის ინგლისურიდან თარგმანი ჩემია – ი.პ.

ჰამლეტის სულიერი მდგომარეობა, ბუნების ძალებზე დამოკიდებული რომ ჰგონიათ. სწორედ პოსტმოდერნული ეპოქის გამოძახილია, გილდენსტერნი მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ცივი გონებით რომ ცდილობს დაადგინოს, რა ხდება ჰამლეტის სულში, მისი პიროვნების არა მხოლოდ შემეცნებით, არამედ ემოციურ სამყაროშიც. ბუნებრივია, გილდენსტერნის ცივი გონება ჰამლეტის მხურვალე გულის საიდუმლოს ვერ სწვდება.

აქ აშკარად იჩენს თავს ქრისტიანულ რელიგიასა და მეცნიერებას შორის არსებული ერთგვარი დაპირისპირება. ქრისტიანობისთვის უპირველესია ადამიანის გულის მორალური მდგომარეობა; მეცნიერებისთვის კი – მისი გონების ინტელექტუალური მდგომარეობა. ჰამლეტი რომ ინტელექტით ყველაზე გამორჩეული პერსონაჟია შექსპირის დრამატურგიაში, ამაზე უმრავლესობა თანხმდება, მაგრამ მისთვის რომ ადამიანის გულია პირველი და უმთავრესი, ესეც ცხადია: ჰამლეტს სულაც არ ადარდებს მის გარშემო მყოფთა შემეცნებითი შესაძლებლობების ხარისხი (მას შეუძლია შეიყვაროს ინტელექტით არაფრით გამორჩეული ოფელია, შეუძლია ძმასავით იმეგობროს ერთგულ, თუმც გონებრივად ისევ არაფრით გამორჩეულ ჰორაციოსთან), მაგრამ მისი ტრაგიკული განცდის უმთავრესი მიზეზი, უდავოდ, ადამიანში უსიყვარულობის, უსინდისობისა და გარყვნილების დანახვაა, ანუ სწორედ ის, რაც ადამიანის გულის შინაარსს გამოხატავს და არა მის ინტელექტუალურ პოტენციალს.

გარდა ზემოთქმულისა, სტოპარდის როზენკრანცისა და გილდენსტერნის წარუმატებელ საუბარს ჰამლეტთან შეგვიძლია შევხედოთ პოსტმოდერნული მასობრივი კულტურისა და რენესანსული მაღალი კულტურის ურთიერთგანსხვავებისა თუ ურთიერთდაპირისპირების ჭრილში. პიესის პროტაგონისტებს როგორც პოპულარული, დაბალი კულტურის წარმომადგენლებს არ შესწევთ უნარი ჩასწვდნენ ჰამლეტის როგორც კლასიკური, მაღალი კულტურის წარმომადგენლის საიდუმლოს. ამავე დროს, რაკი ისინი მასას და მასობრიობას განასახიერებენ, იოლად მართვასა და ზემოქმედებასაც ექვემდებარებიან. შესაბამისად, მაღალკულტურული ჰამლეტისათვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს მათი გაპამპულება. და საერთოდ, სტოპარდის მთელი პიესის დეტერმინისტული სცენარი თავის ნებაზე ატარებს როზენკრანცსა და გილდენსტერნს, ხოლო სცენარის დეტერმინირებას სწორედ რენესანსული მაღალი კულტურის წარმომადგენელი, შექსპირი ახდენს თავისი „ჰამლეტით“. ასეთ პირობებში როზენკრანცისა და გილდენსტერნის თავისუფლება ხალხთა მასებისათვის შეთავაზებულ პოსტმოდერნულ ფსევდოთავისუფლებამდე დაიყვანება. ამიტომაც, გასაკ-

ვირი არაა, სტოპარდის შემოქმედების ერთ-ერთი მკვლევარი, ნეილ სამელზი (Kelly, 2001, 109-112), ინდივიდუალიზმსა და კოლექტივიზმს შორის დაპირისპირებას რომ ხედავს განხილულ პიესაში. ამ შემთხვევაში, ინდივიდებად როზენკრანცი და გილდენსტერნი გვევლინებიან, რომლებსაც ელსინორის სასახლის კოლექტივი ინდივიდუალიზმის დაკარგვას უქადის და ახერხებს კიდეც. სამელზი თვლის, რომ სტოპარდი ამ ჭიდილში საკუთარი უფლებების დასაცავად მებრძოლი ინდივიდის ამხედრებას გულისხმობს კოლექტივიზმის პოლიტიკური ზეწოლის მიმართ. მკვლევარი კითხვას სვამს: „ვინ ვართ ჩვენ ყველა? მხოლოდ მსახიობები ვიღაცის სცენარში – განსაზღვრულნი არა ინდივიდუალური, ჭეშმარიტი არსით, არამედ კოლექტივიზმის ზეწოლით?“ (Kelly, 2001, 110). მისივე თქმით, „როზენკრანცი და გილდენსტერნი იბრძვიან მსახიობსა და მოქმედს შორის განსხვავების შესანარჩუნებლად, რათა ჩაეჭიდონ მიზანმიმართულების ხანმოკლე განცდას და ამით მიეცეს მათ მოქმედებებს საზრისი“ (110).

გილდენსტერნს მოჰყავს დაოიზმის ფილოსოფიის წარმომადგენლის, ანტიკური ეპოქის ჩინელი ფილოსოფოსის, ჩუანგ ტსუს ცნობილი სიზმარი (Stoppard, 1967, 43), რომლის მიხედვითაც მას ესიზმრა, ვითომ პეპელა იყო, მაგრამ გაღვიძების შემდეგ უკვე აღარ იყო დარწმუნებული იმაში, რომ არ იყო პეპელა, რომელსაც ესიზმრებოდა, თითქოს ჩინელი ფილოსოფოსი იყო.[1] და აქ გილდენსტერნი საკუთარ პოზიციას აფიქსირებს ჩუანგ ტსუს მიმართ, მისი ორაზროვანი მდგომარეობის შესაფასებლად: „Envy him; in his two-fold security“ (43) [„მშურს მისი, თავისი ორმაგი დაცულობის გამო“]. გილდენსტერნი ორმაგ დაცულობად მიიჩნევს იმ გაუგებარ მდგომარეობას, რომელშიც ჩუანგ ტსუ წარმოიდგენს საკუთარ თავს, რადგან გილდენსტერნისთვის, როგორც პოსტმოდერნისტული პერსონაჟისთვის, რეალობა და სიზმარი ერთმანეთის ტოლფასია, ერთი ღირებულებისაა. შესაბამისად, ის თავს კომფორტულად იგრძნობდა ასეთ გაუგებრობაში: სინამდვილისა და ილუზიის ზღვარზე. ჰამლეტისეული „ყოფნა-არყოფნაც“ გილდენსტერნისთვის ალბათ ასევე ორმაგი დაცვაა, რადგან ყოფნა და არყოფნა მისთვის უსათუოდ ერთი მონეტის ორი მხარე უნდა იყოს და არა ჰამლეტისეული დილემა. პიესაში მონეტების თამაში ამ დილემის პაროდიადაც

[1] ჩუანგ ტსუს სიზმარზე VIII საუკუნის ჩინელი პოეტი ლი ბო ქმნის ლექსს „ჩუანგ ტსუ და პეპელა“, რომელსაც, თავის მხრივ, ეფუძნება ეზრა პაუნდის ლექსი Ancient Wisdom, RatherCosmic [„ანტიკური სიბრძნე, ცოტათი კოსმიური“], რაც წარმოადგენს ჩუანგ ტსუს სიზმრის თავისებურ გადაკეთებას: იხ. Ruthven 1969: 36.

შეგვეძლო გაგვეაზრებინა, მით უფრო, თუ შევნიშნავთ, რომ მონეტაზე „თავის“ მხარე სტოპარდის პროტაგონისტების მოსალოდნელ სიკვდილს განასახიერებს, ხოლო „კუდის“ მხარე ირიბად მათ სიცოცხლეს უკავშირდება, განასახიერებს რა ჯაშუშობას, ანუ იმ ძირითად ფუნქციას, რაც როზენკრანცსა და გილდენსტერნს აკისრიათ შესასრულებლად და რომლის გარეშეც მათი შემოყვანა ვერც შექსპირისა და ვერც სტოპარდის პიესაში ვერ მოხდებოდა.[1]

ერთ მომენტში როზენკრანცი წამოხტება და აუდიტორიის წინაშე დაიღრიალებს: „Fire!“ (Stoppard, 1967, 43) [„ცეცხლი!“]. გილდენსტერნიც წამოვარდება და იკითხავს: „Where?“ (43) [„სად?“]. როზენკრანცი კი დაამშვიდებს: „It’s all right – I’m demonstrating the misuse of free speech. To prove that it exists“ (43) [„არაფერია – სიტყვის თავისუფლების ბოროტად გამოყენების დემონსტრირებას ვახდენ, რათა დავამტკიცო მისი არსებობა“]. როზენკრანცს ამით სურს თქვას, რომ თუ ადამიანს სიცრუის თქმის საშუალება აქვს, მხოლოდ მაშინ დასტურდება, რომ მას სიტყვის თავისუფლებაც ჰქონია. სიტყვის თავისუფლება კი პოსტმოდერნული რეალობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ერთი მხრივ, ის ხშირად იზღუდება, მაგრამ, მეორე მხრივ, მართალ და ცრუ სიტყვებს თანაბარ უფლებებს ანიჭებს.

საინტერესოა მსახიობის შემდეგი სიტყვები გილდენსტერნის მიმართ, სადაც მკაფიოდ ირეკლება პოსტმოდერნისტული ხედვა ჭეშმარიტების საკითხისადმი: „Everything has to be taken on trust; truth is only that which is taken to be true. It’s the currency of living. There may be nothing behind it, but it doesn’t make any difference so long as it is honoured. One acts on assumptions“ (Stoppard, 1967, 48) [„ყველაფერი ნდობას ეფუძნება; ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რასაც ჩათვლიან ჭეშმარიტებად. ასეთია ცხოვრების მოთხოვნა. შესაძლოა არაფერი იდგეს ამ ყველაფრის უკან, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია პატივდებული იყოს ის, რაც მიღებულია ჭეშმარიტებად. ადამიანი დაშვებების საფუძველზე მოქმედებს“]. ამ სიტყვებით მსახიობი გილდენსტერნს ჭეშმარიტების პოსტმოდერნულ ვარიანტს სთავაზობს, რომელიც გულისხმობს არა ერთ, უცვლელ და რეალურ ჭეშმარიტებას, არამედ იმ „ჭეშმარიტებას“, რომლის გარშემოც თანხმდება საზოგადოება მოცემულ დროსა და ადგილას, თუნდაც ეს არ იყოს ნამდვილი ჭეშმარიტება. ამგვარი ხედვა ეხმიანება როზენკრანცთან და გილდენსტერნთან გამოთქმულ ჰამლეტის ცნობილ მოსაზრებას: „...there is nothing either good or bad but thinking makes it so“ (Shakespeare, 2003, 2.2.239-40) [„კარ-

[1] მონეტების სიმბოლიკაზე სტოპარდის განხილულ პიესაში იხ. პაჭკორია 2018: 196-199.

გი და ცუდი თავისთავად როდი სადმეა, მას მხოლოდ კაცის გონება შექმნის ხოლმე“ (შექსპირი, 1987: 343)]. პოსტმოდერნულ ეპოქაში კი „კარგსა“ და „ცუდს“ ძალაუფლების მქონე გავლენიანი ჯგუფები ადგენენ და ცდილობენ ამ დადგენილების აღიარება მასობრივად აიძულონ ადამიანებს.

როზენკრანცი იმედს ამყარებს მსახიობზე, რომ იგი გაართობს ჰამლეტს, მაგრამ იმავდროულად აფრთხილებს მას: „...by that I don't mean your usual filth; you can't treat royalty like people with normal perverted desires“ (Stoppard, 1967, 46) [„...ამით არ ვგულისხმობ თქვენს ჩვეულ უხამსობას; არ შეიძლება სამეფო ოჯახის წევრებს ისე მიუდგე, როგორც ჩვეულებრივი გაუკუღმართებული მიდრეკილებების მქონე ხალხს“]. აქ რამდენიმე საკითხი იყრის თავს. პირველი უკავშირდება პოსტმოდერნულ რეალობას, სადაც სხვადასხვა გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობების ნორმად გამოცხადება და დამკვიდრება ხდება. გავიხსენოთ, რომ 1960-იანი წლების შუაში, როცა სტოპარდმა განხილული პიესა დაწერა, სექსუალური რევოლუციის ეპოქა უკვე დაწყებული იყო. მეორე საკითხი უკავშირდება ელიზაბეტის დროინდელი თეატრის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტადრამატულ ერთსქესიანობას, ანუ იმ ფაქტს, რომ ქალების როლს ქალად გადაცმული ახალგაზრდა ვაჟები ასრულებდნენ. მსახიობი ბიჭის, ალფრედის მეშვეობით, სტოპარდის პიესაში მთავარი მსახიობის მიერ დემონსტრირებული ჰომოეროტიციზმი სწორედ შექსპირის დროინდელი თეატრის ნახსენებ თავისებურებას ასახავს და ამავე დროს აკავშირებს მას ჰომოსექსუალიზმის პოსტმოდერნულ პროპაგანდასთან. მესამე საკითხი ალბათ ისევ და ისევ მასკულტურისა და მაღალი კულტურის დაპირისპირებას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით, როზენკრანცის ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ მაღალი კულტურის ჰამლეტი და მისი გარემოცვა ვერ გაიგებს იმ სიბილწეს და უკუღმართობას, რაც ახასიათებს მდაბიო კულტურის მასას.

ამრიგად, სტოპარდის მიერ „ჰამლეტის“ მეორეხარისხოვანი პერსონაჟების აყვანა პროტაგონისტის ხარისხში და ჰამლეტის დაქვეითება მეორეხარისხოვან პერსონაჟამდე ტიპური პოსტმოდერნისტული ილეთია, რომელიც გამოხატავს ამ ეპოქის ერთგვაროვან დამოკიდებულებას მაღალი და დაბალი ფასეულობების მიმართ. რაკი უფლისწული ჰამლეტის მაღალზნეობრივი სიტყვებისთვის ყრუა პოსტმოდერნული ეპოქის ადამიანი, სიტყვა ეძლევათ როზენკრანცსა და გილდენსტერნს, რომელთა ლაყბობა უფრო მისაღები გახდა. ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მაძიებელი ჰამლეტი აღარ არის საჭირო. პოსტმოდერნისტული ხედვით, ჭეშმარიტებასა და

სამართლიანობას ობიექტური არსი არ გააჩნია და მხოლოდ ხელოვნურ, პირობით ქმნილებას წარმოადგენს, რომელიც ექვემდებარება შეცვლას ნებისმიერ დროსა და სივრცეში. რახან პოსტმოდერნიზმისთვის არ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება, მისი ადგილი ვირტუალურმა სინამდვილემ დაიკავა. ასეთი სამყარო არათუ მოდერნიზმივით გაუცხოებულია ჰამლეტის მაღალი ჰუმანისტური ხედვისგან, არამედ სრულიად უარყოფს მას და მის სიმაღლეს, როგორც ასეთს. როზენკრანცისა და გილდენსტერნის პროტაგონისტობა ალბათ ყველაზე ნათელი დასტურია ამისა. ასეთ მსოფლმხედველობრივ გარემოში კი ადამიანები სწორედ როზენკრანცსა და გილდენსტერნს ემსგავსებიან, იმ უსახურ არარაობებს, რომელთაც სტოპარდის პიესაში საკუთარი თავებიც ვერ განურჩევიათ ერთმანეთისგან და რომელთაც გარეშე ძალები მარიონეტებივით ათამაშებენ თავიანთ ნებაზე. ამდენად, ჰამლეტური მაღალი ღირებულებები ზუსტად ისევე მკვდარია პოსტმოდერნიზმისთვის, როგორც როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მაზიაშვილი დ.; ტომ სტოპარდი და პოსტმოდერნიზმი, გამომცემლობა „24 საათი“, თბილისი, 2014.
2. პაჭკორია ი.; ჰამლეტი, მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018.
3. შექსპირი უ;. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ნიკო ყიასაშვილის საერთო რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. ტ. III.; გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1987.
4. Hunter J.; Tom Stoppard: Rosencrantz and Guildenstern Are Dead, Jumpers, Travesties, Arcadia. London: Faber and Faber, 2000.
5. Kelly K. E. The Cambridge Companion to Tom Stoppard. Cambridge: Cambridge University Press, 2001.
6. Ruthven K. K. A Guide to Ezra Pound’s Personae, 1926. Berkeley: University of California Press, 1969.
7. Shakespeare, W. Hamlet, Prince of Denmark. Ed. Philip Edwards. 2nd ed. New Cambridge Shakespeare. Cambridge: Cambridge University Press, 2003.
8. Stoppard, T. Rosencrantz and Guildenstern Are Dead. London: Faber and Faber, 1967.

# ფსიქოლოგის როლი ზოგადი განათლების სისტემაში კარიერის მართვის პროცესში

**ნელი მერაბიშვილი**

*ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი*

*ალტე უნივერსიტეტი*

**Neli Merabishvili**

*Doctor of Psychology, Associated Professor*

*Alte University*

likamerabisshvili@yahoo.com

# THE ROLE OF PSYCHOLOGIST IN THE CAREER MANAGEMENT PROCESS AT THE ELEMENTARY EDUCATION SYSTEM

## Abstract

The career management is very crucial in the modern educational and labor market. In Georgia, the young people choose a profession under the influence of others, which has the negative impact on their future employment. Career consulting gathers the people from several professions, in particular, a psychologist, a sociologist, a teacher and an employer, who will guide the young people to choose the appropriate profession, which further determines the development of their skills and the growth of employment. The paper emphasizes the importance of a career management center, which should be established based on the foreign best practices. The center should be staffed with the qualified career consultants. Their qualifications even require the extensive and specific knowledge. The activity of a career specialist consists of several functions, these are: a) the role of a psychologist; B) the role of a teacher; C) the role of a labor market surveyor. In the process of profession and career planning, a psychologist helps students individually and/or in groups to find out who they are, what they like and what they do best; to learn about their own metacognitive

skills; to explore their own behavioral patterns; to make a psychological assessment of themselves; and to make a decision about the profession they want.

**Keywords:** Career Management, Career Planning, General Education, Psychologist.

* * *

ადრეულ წლებში, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამდე, პროფესიის შერჩევა და კარიერის მართვა ბევრად მარტივად ხდებოდა. შრომითი ბაზარი ბევრად სტაბილური იყო. დღეს, სწრაფადცვალებად სამყაროში, სადაც საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე საკმაოდ მაღალკონკურენტული გარემოა, რთულია პროფესიის სწორად შერჩევა. საკითხი განსაკუთრებით პრობლემატურია სკოლის ასაკის ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც შესაბამისი ცნობიერება და ინფორმაცია არ გააჩნიათ. პროფესიის შერჩევა, კარიერული მრავალფეროვნება და კარიერის მართვა ყოველდღიურად მნიშვნელოვანი და მოთხოვნადი სფერო ხდება. რამდენიმე წლის წინ პროფესიული დაგეგმვა განჭვრეტადი, დაცული და სწორხაზოვანი იყო. დღესდღეობით კი, ორგანიზაციული მოთხოვნა შრომით ბაზარზე ბევრად დინამიკური და რთულად პროგნოზირებადია (Baruch, 2006).

არასწორად შერჩეული პროფესია ხელს უწყობს ქვეყანაში უმუშევრობის ზრდას, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს. უმუშევრობის დონე მაღალია 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებში – 2019 წლის მონაცემებით, 27.8%-ს შეადგენს. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ საქართველოში ახალგაზრდები, უმეტესწილად, იღებენ უმაღლეს განათლებას, თუმცა სწავლის დასრულების შემდეგ ისინი აწყდებიან მინიმუმ ორი სახის პრობლემას:

1. შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე ან/და
2. მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

საქართველოს დღევანდელ რეალობაში ახალგაზრდების ცნობიერება კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ დაბალია, პროფესიის შერჩევა ხშირად ხდება გარე ზემოქმედების შედეგად (მშობელი, ტრენდული პროფესია,

ა.შ.) და არ მონაწილეობს შესაბამისი სპეციალისტი. სწორედ ამიტომაც ნაშრომში შესწავლილია ზოგადი განათლების სისტემაში კარიერის მართვის ინტეგრაციის ფაქტორები და აღნიშნულ პროცესში ფსიქოლოგის როლი.

## კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული საკითხის შესასწავლად, ჩატარდა თვისებრივი კვლევა სამ ეტაპად: I. სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა არსებული საკანონმდებლო ბაზები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტები, საერთაშორისო გამოცდილება და სკოლაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის მართვის საუკეთესო მაგალითები; II. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები პირველად წყაროებთან – დარგის ექსპერტებთან, ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან, რომელთა საფუძველზეც გაანალიზდა საქართველოში არსებული შესაბამისი პოლიტიკა. ჯამში ჩატარდა ათი ინტერვიუ; III. ფოკუს ჯგუფის ფორმატის დისკუსიები გაიმართა საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველკურსელებთან, რომლებსაც მოუწიათ პროფესიის შერჩევა და განათლებასა და კარიერასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება (2020 წელს ჩააბარეს უმაღლეს სასწავლებელში). კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს ჯგუფის ოთხი შეხვედრა, თითოეულში მონაწილეობას იღებდა ოცი სტუდენტი (ჯამში 80 რესპონდენტი, 48 ქალი, 32 მამაკაცი). შედეგად, შესწავლილი იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გატარებული პოლიტიკის პრაქტიკული მხარე.

## კარიერის მართვა ზოგადი განათლების სისტემაში

კარიერის მართვის მთავარი ფუნქციაა კარიერული დახმარება და კონსულტაცია. აღნიშნული საქმიანობის მიზანია კარიერული შესწავლა და განვითარება, რაც მოიცავს მოსწავლისთვის ინფორმაციის მიწოდებას, სწავლებას, სწავლას, შეფასებას, დახმარებასა და რჩევის მიცემას (OECD (Organization for Economic Co-Operation and Development) 2004). კარიერის მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან დამაკავშირებელ რგოლს განათლების სფეროსა და შრომის ბაზარს შორის. კარიერის მართვის მომსახურების არსებობას ფუნდამენტური როლი ენიჭება განათლების ნებისმიერ საფეხურზე, რადგანაც იგი უზრუნველყოფს განათლების უწყვეტობას, აუმჯობესებს შრომის ბაზრის შედეგებს, ხელს უწყობს განათლებისა და დასაქმების სისტემებს შო-

რის კავშირის განმტკიცებას და ა.შ. თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზო და საშუალო განათლების დასრულების ბოლოს მოსწავლეს გაეწიოს კარიერული ხელმძღვანელობა/დახმარება, როდესაც სკოლის მოსწავლე ირჩევს პროფესიასა და მომავალ კარიერულ გზას. მნიშვნელოვანია, სხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად, მოსწავლესთან პროფესიის ირგვლივ კონსულტაციის პროცესში, ჩართული იყოს ფსიქოლოგი, რომელიც მოსწავლეს დაეხმარება მათი უნარებისა და შესაძლებლობების განსაზღვრაში.

კარიერის მართვა ორი ძირითადი ელემენტისგან შედგება, ესენია:

1. კარიერული განათლება, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეები სწავლობენ შრომის ბაზარს, ახდენენ თვითშეფასებას, განივითარებენ კარიერის დაგეგმვის უნარებს საკლასო გაკვეთილებისა და სხვადასხვა აქტივობებით, მაგალითად, როგორიცაა სამუშაო პრაქტიკა, ადგილზე ვიზიტი სამუშაოს სპეციფიკის გასაცნობად და სხვ.
2. ინდივიდუალური კარიერული რჩევა: სკოლის შესაბამისი დეპარტამენტის მხრიდან ხდება კონკრეტული კარიერული რჩევის გაცემა პირისპირ შეხვედრის დროს (OECD (Organization for Economic Co-Operation and Development) 2010). სწორედ აღნიშნულ პროცესში უნდა იყო ფსიქოლოგის ფუნქცია ინტეგრირებული.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ კვლევის რესპოდენტებს სკოლაში სწავლის პერიოდში, არ მიუღიათ შესაბამისი ცოდნა თუ ინფორმაცია, რაც მათ დაეხმარებოდათ პროფესიის არჩევისა თუ კარიერის მართვის პროცესში (რასაც ფორმალურად სასკოლო საგანი „სამოქალაქო განათლება" ითვალისწინებს); არც სკოლის ფსიქოლოგს გაუწევია კარიერული კონსულტაცია, რაც სხვა ქვეყნის გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა მათი პროფესიის შერჩევის პროცესში.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმარებასა და პროფესიულ ორიენტაციაში დახმარება გულისხმობს, როგორც ინდივიდუალურ დონეზე მოსწავლისთვის კონსულტაციის გაწევას, ისე ჯგუფურ სამუშაოებს, სადაც თანაბრად ჩართული იქნებიან ფსიქოლოგები, მრჩევლები, მასწავლებლები, სოციალური მუშაკები, დამსაქმებლები და სხვ.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული მართვის პროცესში ფსიქოლოგს (კარიერულ მრჩეველთან ერთად) შეუძლია სკოლის მოსწავლეებს დაეხმაროს:

- აღმოაჩინონ ვინ არიან, რა მოსწონთ და რა გამოსდით ყველაზე უკეთ;
- არ იყვნენ ფრუსტრირებულნი სწავლის პროცესში, რადგანაც ახალგაზრდების საკმაოდ დიდ ნაწილს უჭირს დააკავშიროს სწავლა და მისი პრაქტიკული გამოყენება მომავალ სამსახურში;
- აღმოაჩინონ საკუთარი პროფესიული ინტერესები უნარებისა და სამუშაო ფასეულობებიდან გამომდინარე.

სკოლის ფსიქოლოგს მნიშვნელოვანი პოზიტიური როლი აქვს სკოლის მოსწავლეების მიერ პროფესიის შერჩევის პროცესში, რამაც შეიძლება ხანგრძლივი გავლენა იქონიოს მათ ცხოვრებაზე. ფსიქოლოგი ეხმარება მოსწავლეს აღმოაჩინოს და განავითაროს საკუთარი პოტენციალი და უნარები, რომელიც მისი წარმატების მიღწევის წინაპირობას შეიძლება წარმოადგენდეს. დღეს ახალგაზრდებს მომავალი პროფესიის შერჩევის ფართო არჩევანი აქვთ. ეს კი ხშირად იწვევს მათ მიერ ირაციონალური გადაწყვეტილების მიღებას. საშუალო განათლების ეტაპიდან – სკოლიდან გადასვლა სამუშაო ადგილზე, კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში მოზარდის ცხოვრებაში კრიტიკული ნაწილია. ხშირად სკოლის მოსწავლე სწავლას აგრძელებს ან პროფესიას ირჩევს მშობლების, მეგობრების, გარემოს ზემოქმედებით; შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, მოსწავლემ არ იცის, რატომ ან რა უნდა ისწავლოს. ფსიქოლოგის როლია მოსწავლეს დაეხმაროს საკუთარი შესაძლებლობების პოვნაში, პროფესიის გაურკვეველი კომპონენტების ანალიზსა და გადაწყვეტაში. იგი ხელს უწყობს პროფესიის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებთა ქცევითი პატერნების ცვლილებას, რაც მოსწავლეებს უფრო პროდუქტიული არჩევანის გაკეთებაში ეხმარება.

მოსწავლეების კარიერული დაგეგმარების პროცესში, თანაბრად უნდა იყოს ჩართული კარიერის კონსულტანტი და ფსიქოლოგი, როგორც ინდივიდუალურ დონეზე, ისე ჯგუფური სამუშაოებით. პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების პროცესში ფსიქოლოგი მოსწავლეებს ეხმარება ინდივიდუალურად ან/და ჯგუფურად, რათა:

- იპოვონ საკუთარი თავი და ინტერესები
- გაეცნონ საკუთარ მეტაკოგნიტურ უნარებს
- შეისწავლონ საკუთარი ქცევითი პატერნები
- მოახდინონ ფსიქოლოგიური შეფასება
- მიიღონ გადაწყვეტილება მათთვის სასურველი (უნარებიდან გამომდინარე) პროფესიის შესახებ

## საერთაშორისო გამოცდილება

საინტერესოა საფრანგეთის მაგალითი, რადგანაც ფრანგული განათლების სისტემა ერთ-ერთია, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საორიენტაციოდ იყენებს. ფრანგული სისტემა ხასიათდება ინფორმაციისა და კარიერული სერვისების მრავალფეროვნებით. სერვისები მორგებულია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს, როგორიცაა მოსწავლეები, მოზრდილები, უმუშევრები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; იგი მოიცავს სხვადასხვა ტიპის დახმარებას: ინდივიდუალური კონსულტაცია, უნარების შეფასება, ტრენინგი, ინფორმაცია; აერთიანებს სხვადასხვა კვალიფიკაციის კადრებს, ესენია: ფსიქოლოგები, მრჩევლები, მასწავლებლები, სოციალური მუშაკები. ევროპული წამყვანი ქვეყნების (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ფინეთი, საფრანგეთი, ა.შ.) სისტემაში, კარიერული სერვისების უზრუნველყოფის პროცესში ფსიქოლოგს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აქვს ზოგადი განათლების დონეზე.

## დასკვნა

სკოლამ ფსიქოლოგების დახმარებით უნდა გამოიკვლიოს კონკრეტული მოსწავლეების განვითარების დონე, დაეხმაროს მათ საკუთარი უნარების განსაზღვრაში და მიაწოდოს ინფორმაცია შესაძლებლობების, საჭიროებების, ღირებულებების, უნარებისა და ცოდნის შესახებ. მათი მოვალეობაა მოსწავლეების ემოციური მხარდა-

ჭერა კარიერული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში, კარიერული გეგმებისა და მიზნების დასახვაში კარიერული კონსულტაციის გაწევა, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება.

მნიშვნელოვანია, შეიქმნას კარიერული ხელმძღვანელობის/დაგეგმარების ცენტრი უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, რომელიც დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური კარიერული კონსულტანტებით. მათი კვალიფიკაცია კი მოითხოვს ფართო და სპეციფიკურ ცოდნას. კარიერული კონსულტანტის სპეციალისტის საქმიანობა შედგება რამდენიმე ფუნქციისგან, ესენია: ა) ფსიქოლოგის როლი; ბ) მასწავლებლის როლი; გ) შრომის ბაზრის ადმინისტრატორის როლი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს თითოეული ადამიანის პიროვნული მახასიათებლების, ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენას, რაც მათ დაეხმარება პროფესიის შესახებ გონივრული და ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში, სადაც ფსიქოლოგს საკუთარი განსაზღვრული მნიშვნელოვანი როლი ექნება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მერაბიშვილი ნ.; „რატომ უნდა ინტეგრირდეს კარიერის მართვა ზოგადი განათლების სისტემაში“, თბილისი, 2021.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, „პროფესიული განათლება სკოლაში.“ თბილისი, 2020.
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „დასაქმება და უმუშევრობა“, 2020. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
4. Baruch, Y. 2006. „Career development in organizations and beyond: Balancing traditional and contemporary viewpoints.“ Human Resource Management Review, 125-138.
5. European Training Foundation. 2009. „IN DEMAND: CAREER GUIDANCE IN EU NEIGHBOURING COUNTRIES.“ Luxembourg.
6. European Union. 2020. „Career guidance policy and practice in the pandemic.“ Luxembourg.
7. European Union. 2018. „EU Youth Strategy.“

8. Holland, J.L. 1997. Making Vocational Choices: A Theory of Vocational Personalities and Work Environments. Odessa.
9. Noyes, A. 2005. „Pupil voice: purpose, power and the possibilities for democratic schooling.“ British Educational Research Journal (31(4)): 533-540.
10. OECD (Organization for Economic Co-Operation and Development). 2010. „Career Guidance and Public Policy.“ Paris, 76.
11. OECD (Organization for Economic Co-Operation and Development). 2004. „Career Guidance and Public Policy.“ Paris.
12. Save the Children. 2018. „ახალგაზრდებზე ორიენტირებული შრომის ბაზრის შეფასება.“ თბილისი.
13. Thomson, P. & Holdsworth, R. 2003. „heorizing change in the educational „field‟: re-readings of „student participation“ projects.“ International Journal of Leadership in (6(4)): 371-391.

alte UNIVERSITY

# კოლექტიური ინტელექტი

**კონსტანტინე ვეკუა**

*დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**Konstantine Vekua**

*Phd student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

k.vekua@openuni.edu.ge

## COLLECTIVE INTELLECT

### Abstract

The concept of collective intelligence is already from the near future. It encompasses orientations, which on the one hand, help to counter authoritarian principles in society and, on the other hand, contribute to its development. The work provides a more complete picture of the evolution of Pierre Levy's notion and reconsiders it from the perspective of political philosophy.

**Keywords:** Collective Intelligence, Political Philosophy, Pierre Lévy.

*„არავინ იცის ყველაფერი. ყველამ იცის რაღაც. მთელი ცოდნა კაცობრიობაშია“* [1]

***პიერ ლევი***

[1] „No one knows everything, everyone knows something, all knowledge resides in humanity". Lévy, Pierre (1999) – Collective Intelligence: Mankind's Emerging World in Cyberspace, Helix Books, p. 14.

## შესავალი

### პრობლემის აქტუალურობა და კვლევის მნიშვნელობა

III ათასწლეულის დასაწყისში კაცობრიობა თავისი განვითარების შემდეგ ეტაპზე გადავიდა; საინფორმაციო საზოგადოების დამკვიდრებით შემზადდა ის საფუძვლები, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების გავრცელებისთვისაა აუცილებელი. ეს უკანასკნელი ტოტალიტარული სოციუმის ანტიპოდს წარმოადგენს და იმისათვის, რომ აწმყოსა თუ მომავალში თავიდან ავირიდოთ ავტორიტარული ტენდენციების მომრავლება, შეგვიძლია გამოვიყენოთ ტორონტოს კომუნიკაციური თეორიის სკოლის პრინციპების მიხედვით შემუშავებული კონცეპტი „კოლექტიური ინტელექტი“. ეს არის ინტელექტის ისეთი საზოგადოებრივი ფორმა, რომელიც განაწილებულია ყველგან და რომლის მნიშვნელობაც მუდმივად იზრდება ურთიერთშეთანხმებული მოქმედებებით. მისი მეშვეობით ხდება კომპეტენციების ეფექტური კოორდინირება, რაც პიროვნებათა ურთიერთგამდიდრების, ურთიერთგანვითარებისა და ზოგადად, სოციუმის წინსვლის წინაპირობას წარმოადგენს. იგი არ უნდა აგვერიოს ინდივიდთა დასამორჩილებელ საშუალებაში, რომლისკენაც ისწრაფვიან ოდენ იერარქიულ პრინციპზე აგებული ტრანსცენდენტური და ფეტიშისტური ხასიათის საზოგადოებები. ასევე, იგი არ წარმოადგენს ისეთი მოქმედების სფეროს, რომლის უმთავრესი მიზანიც ცხოვრების წესის ინსტიტუციონალიზირებაა და არა აზროვნებისა, თუ სიცოცხლის სამყაროს განვითარება – გაფართოება. ესაა ის განზომილება, სადაც ინტელექტი, შემეცნების პროცესი და შესამეცნებელი საგანი ხდება ერთი მთლიანობა. კოლექტიური ინტელექტის შემთხვევაში შემეცნება თითოეული წევრის გამოცდილებასა და ქცევაში მდგომარეობს, ხოლო მის ფუნქციას საზოგადოებრივი განვითარება და ცოდნის ერთმანეთში გაცვლა-გამრავლება წარმოადგენს. კოლექტიური ინტელექტი მუდმივმოქმედი, განახლებადი პროცესია, სადაც პირდაპირ დროში ხდება ინდივიდების ცოდნისა და დადებითი მხარეების მობილიზება, წინ წამოწევა, გაძლიერება და კოორდინირება. მისი მთავარი იდეა პირდაპირ კავშირშია ბედნიერებასთან, რადგან ზრდის ინდივიდებისა და ჯგუფების თავისუფლების ხარისხს, ამკვიდრებს ყოველი მხარისათვის წაუგებელ სტრატეგიებს, ქმნის სინერგიას ცოდნასა და მცოდნეს შორის. მას არ გააჩნია მტრები, რადგან არ იბრძვის ძალაუფლებისათვის და არ ებრ-

ძვის მას.

## კვლევის მიზანი და საკვლევი საკითხები

1994 წელს კანადაში მოღვაწე ტუნისელი წარმოშობის ფრანგი ფილოსოფოსი, პიერ ლევი გამოსცემს თავის გახმაურებულ წიგნს კოლექტიური ინტელექტის შესახებ, სადაც ის მიმოიხილავს ცოდნის სამყაროს ანთროპოლოგიური, იდენტობის, სემიოტიკური, ეპისტემოლოგიური კუთხით, რითაც ამზადებს წინაპირობებს, კოლექტიური ინტელექტი პოლიტიკური ფილოსოფიის მხრივ იქნეს გააზრებული. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი წიგნი არ ვითარდება მოცემული მიმართულებით. ასევე, ისტორიული რაკურსის მიხედვით, ხსენებული კონცეპტი მას შესწავლილი აქვს მხოლოდ მუსლიმი ფილოსოფოსის, ალ-ფარაბის შემოქმედების მაგალითზე.

სწორედ ამიტომ, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ დანაკლისის შევსება, რომელიც პიერ ლევის ნაშრომს გააჩნია. ეს არის:

1. კოლექტიური ინტელექტის ისტორიული განვითარების უფრო სრული სურათის გადმოცემა, რომელთან დაკავშირებითაც არისტოტელედან და ნეოპლატონური ტრადიციებიდან მოყოლებული გამოვიკვლიეთ, მიმოვიხილეთ და ანალიზის საფუძველზე, ერთმანეთს შევადარეთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის არაერთ გამოჩენილ მოაზროვნეს შორის მსგავსება-განსხვავებები ინტელექტისა და მისი ნაირსახეობების წარმოშობის შესახებ;
2. კოლექტიური ინტელექტის პოლიტიკური ფილოსოფიის ჭრილში განხილვა. კვლევა წარმოადგენს სიახლეს და მოკრძალებულ წვლილს თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკური აზროვნებისა და ზოგადად, საქართველოში პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროს წინ წაწევის საქმეში.

## კოლექტიური ინტელექტის განვითარების გზა

კოლექტიური ინტელექტის განვითარების გზაზე პიერ ლევი გამოყოფს, ერთი მხრივ, საკუთრივ ინტელექტის ჩამოყალიბებისა და განსხვავებული სახეების ტრანსცენდენტურ მიმართულებას და მეორე მხრივ, პოლიტიკურ ჭრილში შემოთავაზებულ მის თანამედროვე, იმანენტურ ალტერნატივას, რომელზედაც ოდნავ ქვევით ვისაუბრებთ.

არისტოტელესეული ტრადიცია ინტელექტის შესახებ ნეოპლატონიზმის მეშვეობით წარმატებით გაგრძელდა აღმოსავლეთში, კერძოდ, ისლამურ სამყაროში, სადაც თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია და არაბულიდან ლათინურ ენაზე თარგმანების სახით კვლავ დაუბრუნდა დასავლურ კულტურულ სამყაროს. შესაბამისად, გავადევნოთ თვალი, თუ რა ბედი ხვდა წილად ინტელექტის შუასაუკუნეობრივ და შემდგომი პერიოდის ტრანსცენდენტალურ ინტერპრეტაციებს.

ზემოაღნიშნული მიმართულებით მუსლიმ პერიპათეტიკოსებს შორის აღსანიშნავია ალ-ქინდის მიერ დაწყებული მოღვაწეობა, რომელიც ანტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის მემკვიდრეობასთან ისლამური თეოლოგიური ტრადიციის შეხამებას ცდილობდა. ნეოპლატონური ემანაციის საფეხურთაგან ყველაზე ქვედა და ადამიანებთან მიახლოებული რგოლია აქტიური/მოქმედი ინტელექტი (intellectus agens), რომელსაც ასევე ფორმების მიმცემი (dator formarum) ფუნქცია გააჩნია. ადამიანი მოაზრებულია, როგორც პასიური/პოტენციური ინტელექტი (passive/potential intellect), რომელსაც ავიცენა მატერიალურ ინტელექტსაც უწოდებს და რომელიც აქტიურ ინტელექტთან შეერთებით გადაიქცევა მიღებულ/მჭვრეტელობით ინტელექტად (acquired/speculative intellect). არაბი მოაზროვნეები უფრო შორსაც მიდიოდნენ და ადამიანის მოქმედ ინტელექტთან შერწყმას წმინდა ინტელექტსაც უწოდებდნენ, რომელ განვითარების საფეხურსაც მხოლოდ წინასწარმეტყველები აღწევდნენ. აღსანიშნავია, რომ ისლამურ ფილოსოფიურ აზროვნებაში აქტიური ინტელექტი იგივე იყო, რაც ყურანული ტრადიციის გამოცხადების ანგელოზი. (Adorno 2002,291)

ალ-ქინდის კურსი გააგრძელა კიდევ უფრო ცნობილმა ალ-ფარაბიმ, ვისაც „მეორე მოძღვარს“ უწოდებდნენ (პირველი მოძღვრის, არისტოტელეს შემდგომ). შუააზიელმა ფილოსოფოსმა პლატონის მეფე-ფილოსოფოსის გვერდით დააყენა არისტოტელესეული ინტელექტის ტრადიციის ჭრილში გამოტარებული ამ უკანასკნელის გამუსლიმებული ვერსია: წინასწარმეტყველი-ფილოსოფოსი. მისთვის მოქმედი ინტელექტი ტრანსცენდენტური კოლექტიური ინტელექტის განზომილებას წარმოადგენს. (Levy 1999, 97) იგივე ტრადიციის გამგრძელებელია ავიცენაც, რომელმაც მის დროს არსებული მთელი ცოდნის სისტემატიზაცია მოახერხა.

შუა საუკუნეების მუსლიმ ფილოსოფოსებს შორის ინტელექტთან დაკავშირებული გადმოცემის ორიგინალური განმარტებით გამოირჩევა ავეროესი. მასთან მოქმედი ინტელექტი ერთიანი და უნივერსალურია ისევე, როგორც პოტენციური ინტელექ-

ტის სამყარო, მაგრამ ინდივიდუალურია აღქმის აქტი და მას ანდალუსიელი ფილოსოფოსი მჭვრეტელობით ინტელექტს უწოდებს (ასევე, შექმნილ ინტელექტს). მისთვის პირველი ორი მარადიულია, ხოლო მესამე ერთის მხრივ წარმავალი და ხრწნადი, რადგან გრძნობად სახეებთანაა დაკავშირებული, ხოლო მეორეს მხრივ კი სამარადისოა, რამეთუ ფლობს ინტელიგიბელურ ხატებებს. აქედან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ავეროესი უზენაესი ცოდნის მიღწევას შესაძლებლად ერთიანი, საკაცობრიო ინტელექტუალური თანამშრომლობით მიიჩნევდა და ბედნიერებაც მისთვის ხანგრძლივი კეთილგონიერი ცხოვრების შედეგს წარმოადგენდა. (Adorno, 2002, 299-300)

„ბნელი საუკუნეების" დადგომამდე დასავლეთ ევროპაში ნეტარი ავგუსტინეც შეეხო არისტოტელური მემკვიდრეობის ინტელექტთან დაკავშირებულ საკითხებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მასთან მოქმედი ინტელექტი პირდაპირ ღმერთთანაა დაკავშირებული და არა ნეოპლატონური ემანაციის, თუ ანგელოზთა ერთ-ერთ, თუნდაც უდარეს საფეხურთან.

ავეროიზმის სახით დასავლეთში დაბრუნებულ პერიპათეტიკურ ტრადიციას კარგად იცნობდა დანტე ალიგიერი. მიუხედავად გავლენებისა, განსხვავებაც შეინიშნება იტალიელი პოეტისა და მოაზროვნის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში. იგი არ ეთანხმება ავეროესს იმაში, რომ როგორც *მოქმედი,* ასევე *პოტენციური ინტელექტები* თავიანთი არსით უნივერსალურები არიან. გამორიცხავს რა განცალკევებული *პასიური ინტელექტის* ერთიან და განუყოფელ ფორმას, ორიგინალური და ავეროესამდე მცხოვრებ არაბ ფილოსოფოსებთან მეტ შესაბამისობაში მყოფი მოდიფიკაციით ხაზს უსვამს კაცობრიობაში, როგორც ერთ მთლიანობაში, (Alighieri, 1904, 13) ერთიანი ინტელექტუალური თანამშრომლობის გადამწყვეტ მნიშვნელობას უზენაესი ცოდნის მიღების პროცესში, რითაც ხდება პოტენციური ინტელექტის მოქმედებაში მოყვანა. აღნიშნული მიმართულება ფლორენციელი გენიოსისთვის უნივერსალური მშვიდობის, ნეტარებისა და ბედნიერების წინაპირობაა. (Adorno, 2002, 424)

სწორედ, დანტე ალიგიერი შეგვიძლია მივიჩნიოთ ალ-ფარაბის კურსის გამგრძელებლად და თანამედროვე კოლექტიური ინტელექტისა და ცოდნის მიღების ფორმის იმანენტური ტრადიციის ფუძემდებლად ევროპულ ცივილიზაციაში. თუკი მანამდე უზენაეს ცოდნასთან შერწყმის ინიციატივა თეოლოგიური ხასიათისა იყო და ზევიდან ქვევით მოდიოდა (ანგელოზების მეშვეობით ღმერთიდან კაცობრიობისაკენ მომდინარე ინტელექტუალური ნათელი), ჰუმანიზმიდან მოყოლებული წამოიწია ადამიანის როლი და პასუხისმგებლობა (ადამიანებსა და კაცობრიობაში არსებული პო-

ტენციური ინტელექტის მოქმედებაში მოყვანა), რომლის მიხედვითაც, *პასიური ინტელექტის* მქონე პიროვნებებს საზოგადოებრივ-ინტელექტუალური ინტერაქციის მეშვეობით არსებითი წვლილის შეტანა შეუძლიათ სულიერი და ზნეობრივი განვითარების საქმეში როგორც კერძო, ასევე სოციალურ დონეზე.

როგორც ჩანს, ქართული და აღმოსავლური რენესანსის უდიდესი წარმომადგენელი, შოთა რუსთაველი კარგად იცნობდა მაშინდელ კულტურულ მსოფლიოში გავრცელებულ ინტელექტისა და მისი პრაქტიკული გამოვლინების პრობლემასთან დაკავშირებულ ტენდენციებს. ავთანდილის პერსონაჟი სახისმეტყველურად წარმოადგენს კიდეც მოქმედებაში მოყვანილი პოტენციური ინტელექტის განსახიერებას, რაც მისსავე ანდერძსა, თუ ცხოვრების კრედოშია გამოხატული და სადაც შემეცნებისა და პრაქსისის ურთიერთკავშირი წარმოადგენს როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი განვითარების მომდევნო ხარისხზე გადასვლის წინაპირობას. ეს უკანასკნელი კი პლატონური, არისტოტელური, ნეოპლატონური და არეოპაგიტიკული ტრადიციის ეპოპეაა. (გამსახურდია 1991, 284)

*„არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს, ფილოსოფოსთა ბრძნობისა!*
*მით ვისწავლებით, მოგვეცეს, შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“.*

(რუსთაველი 1992, 175)

შესაბამისად, საფუძველი ეყრება ტრადიციას, რომლის მიხედვითაც პიროვნებებში არსებული ნათლის ამოქმედება დაკავშირებულია ისევ და ისევ კოლექტიური ინტელექტის პრინციპებით ორიენტირებულ ადამიანთაგან წარმოქმნილ საზოგადოებებთან. ამიერიდან, ცოდნის მიღების მნიშვნელობა მხოლოდ მისი ტრანსცენდენტური წარმოშობით კი არ იზომება (ღმერთი, ეკლესია, პარტია, სექტა, უნივერსიტეტი, სკოლა, ექსპერტები, უფროსები, ტელევიზია და ა.შ.), არამედ ადამიანების მიერ მისი რეალობის განხორციელებითაც. (Levy, 1999,100) პიერ ლევი აბრუნებს ინტელექტის შესახებ ტრანსცენდენტური მემკვიდრეობის პოსტულატებს და თავის ნაშრომში გვთავაზობს ახალი ჰუმანიზმის იმანენტურ პერსპექტივას, სადაც ნაგულისხმევია არა მხოლოდ ადამიანთა პოტენციურობების განხორციელება, არამედ ურთიერთკოორდინირებული ინტელექტუალური მოქმედებით ახალი შესაძლებლობების შექმნა. (ibid, 102)

*„შუა საუკუნეების ფილოსოფოსებს შორის სიყვარული სულიდან ამოიზარდა ზემდგომ გონებათა მისამართით. ჩვენ ჰუმანისტურ სისტემაში კი ეს მათი ვირტუალურ სამყაროში გადასვლით, ანგელოზური სხეულის მიღებით ხდება, რომლის მი-*

*ხედვითაც სულებს უკეთ შეუძლიათ წარმოიდგინონ კაცობრიობა, საიდანაც სწავლების სურვილთან ერთად სავარაუდოდ გამომდინარეობს ადამიანთა შორის მეგობრობის ზრდა. როცა საქმე მათ ეხებათ, ვინც წყვეტს სწავლას, ჩვენ უკვე არ ვსაუბრობთ უვიცობის შესახებ, არამედ ჩაკეტილობაზე, შენელებულ ცხოვრებაზე, სიხისტეზე, რომლისთვისაც შეუღწევადია სიძლიერის გამრავლება, შეხვედრა სხვასთან, როგორიცაა ანგელოზი, შიშზე იდუმალებისა და სურვილისადმი".*[1]

## კოლექტიური ინტელექტის პოლიტიკური ფილოსოფია

*აქტიური* და *პასიური ინტელექტების* ტრანსცენდენტურ და იმანენტურ მოდელებს საკუთარი პოლიტიკური კონოტაციები გააჩნიათ. ალ-ფარაბისთან შესაბამისადაა გაწყობილი საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული მეცნიერებები: ალ-მადანია (სამოქალაქო მეცნიერება), ფიქჰი (ისლამური იურისპრუდენცია) და კალამი (მუსლიმური სქოლასტიკური ღვთისმეტყველება). (Хайруллаев, 1975, 297) თავად ფილოსოფია თეორიულ ნაწილადაა დაყოფილი, რომელიც თეორიულ, ზოგად ცოდნაზეა დაფუძნებული, ხოლო პრაქტიკული ნაწილი კი მშვენიერების განხორციელების ცოდნას ემყარება. სამოქალაქო საქმეების შემსწავლელ ფილოსოფიაში მოცემულია ერთის მხრივ, ცოდნა ბედნიერებისა და ცრუ ბედნიერების შესახებ, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ცოდნის ორგანიზების გზები საზოგადოების სათნო ცხოვრებისათვის, რაც პერიპათეტიკურ ტრადიციას ეხმიანება და საზოგადოებრივი ბედნიერების მიღწევის საშუალებას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ალ-ფარაბისთან უკვე ვხვდებით ჰობსის ბუნებრივ მდგომარეობასთან მიახლოებულ განმარტებას, როდესაც ცხოველურ საზოგადოებაში ბედნიერებას აღწევს ის, ვინც სხვებზე იმარჯვებს. (ibid, 302)

პოლიტიკის ალ-ფარაბისეულ ტრანსცენდენტურ მოდელშიც საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი წარმოქმნის ფაქტორები უპირისპირდებიან ყველანაირ ძალადობას. არაბი ფილოსოფოსის მიხედვითაც, ადამიანისთვის ძნელია სრულყოფილების მარტო მიღწევა. არისტოტელეს მსგავსად, მისთვისაც ბედნიერების, ზნეობრივი და

---

[1] „Among the medieval philosophers love rose from the soul toward the superior intelligences. In our humanist system it is by their passage through virtual worlds, by acquiring an angelic body,that souls can best imagine humanity, from which perhaps follows, along with the desire of learn-ing, the growth of friendship among men. When referring to those who cease learning, we no longer speak of ignorance but closure, a delayed life, a rigidity that is impermeable to the prolifer-ation of strength, a refusal to encoun-ter the other as angel, a fear of enigma and desire" - Lévy, Pierre (1999) - დასახ. ნაშრ, p. 103.

ინტელექტუალური განვითარების მიღწევა საზოგადოებრივ ბედნიერების შექმნაში მონაწილეობის მიღებითაა შესაძლებელი. ასეთ სათნო ქალაქში პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები სულიერ განვითარებასაა დაქვემდებარებული, რადგან ისეთ სახელმწიფოს, სადაც პირიქითაა, ალ-ფარაბი უმეცართა ქვეყანას უწოდებს. (ibid, 311)

პიერ ლევის პოლიტიკის სფეროში გადმოაქვს ნანოტექნოლოგიების, დიგიტალიზირებისა და ინფორმაციის „მოლეკულურ" დონეზე დამუშავების მოდელი, რითაც ახდენს კოლექტიური ინტელექტის პოლიტიკური ფილოსოფიის ჭრილში გააზრებას. შესაბამისად, ხდება პოლიტიკის „მიკროსკოპულ" დონეზე გადმოთარგმანება, საიდანაც ფრანგ მოაზროვნეს შემოაქვს ისეთი ტერმინი, როგორიცაა მიკროპოლიტიკა. ამ უკანასკნელის სინონიმად, კოლექტიური ინტელექტის კონტექსტში, ლევი მოლეკულურ პოლიტიკასაც იყენებს და ნანოპოლიტიკასაც.

პოლიტიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ ერთეულს წარმოადგენს ჯგუფი. თავისი განვითარების დონის მიხედვით იგი სხვადასხვა სახის იყო კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. პოლიტიკური ტექნოლოგიების თვალსაზრისით, პიერ ლევი გამოყოფს სამ იდეალურ ტიპს: ორგანული ჯგუფი, რომელიც მოიცავს ოჯახს, კლანს, ტომს; ორგანიზებული ჯგუფი, რომლებიც უფრო დიდ მასშტაბებზე მოქმედებს და სადაც შედიან მასები, ერები, ინსტიტუციები, რელიგიები, ხოლო ჯგუფის განვითარების საუკეთესო ფორმად მიიჩნევს თვითორგანიზებულ ჯგუფებს (Levy, 1999, 51)– ეს პირდაპირი დემოკრატიის შემქმნელ ადამიანთა ერთობაა, რომელიც კლასიკური ანტიკური ტრადიციისაგან განსხვავებით, დღეს შეიძლება ცვლად და დეტერიორიზებულ ხასიათს ატარებდეს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიკროპოლიტიკაში ჯგუფები არ წარმოადგენენ ექსპლუატაციის ისეთ წყაროს, რომელსაც მხოლოდ სოციალური და ეკონომიკური ენერგიის მისაღები ფუნქცია აქვს შეტოვებული, არამედ – კოლექტიურ ინტელექტის პრინციპით მოქმედ და მასზე დაფუძნებულ გაერთიანებებს. ისინი მუდმივად და განუწყვეტლივ სრულყოფენ თავიანთ უნარებს, ავითარებენ საკუთარ რესურსებსა და აქტივობებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ მათი ტრანსფორმაცია. ამ შემთხვევაში არ ჩნდება არც ძალადობის გამოყენების და არც რაიმე რევოლუციური გარდატეხის საჭიროება, არამედ რეალურ დროში ხდება თვითორგანიზება ხარვეზებისა და გადავადებების შესამცირებლად, თუ აღმოსაფხვრელად.

კოლექტიურ ინტელექტში ნანოპოლიტიკის მეშვეობით საზოგადოებრივ ურთი-

ერთობათა განმტკიცება დეტალურ დონეზე ხდება, რაც განაპირობებს მასში მონაწილე თითოეული წევრის ინდივიდუალურ ღირსებათა განვითარებას. ამგვარად, ხორციელდება საზოგადოებრივი კავშირის შექმნა, რაც აერთიანებს და ქმნის სინერგიას ადამიანებისა და ჯგუფების შემოქმედებითობას, საინიციატივო შესაძლებლობებსა და ნაირგვარ უნარებს შორის:

*„ზუსტად ისევე, როგორც ნანოტექნოლოგიას შეუძლია მოლეკულების ატომების დონეზე აგება, ნანოპოლიტიკა დეტალისადმი უდიდესი ყურადღების მიქცევით ავითარებს საკუთარ საკომუნიკაციო ჰიპერკორტექსს, უკიდურეს სიზუსტესა და ინდივიდუალიზაციას შემეცნებითი უნარების კომპლექსური ურთიერთქმედების წახალისებით, ინიციატივისა და წარმოსახვის მგრძნობიარე წყაროს, ხარისხს ხარისხით, ადამიანური საგანძურის რაიმე დანაკარგის გარეშე“.* (levy, 1999, 55)

კოლექტიური ინტელექტის იმ მთავარ პრინციპებს შორის, რომელზედაც დგას ნანოპოლიტიკა, აღსანიშნავია მოსმენის, გაგებისა და ურთიერთგაგების უნარები და საზოგადოებრივ ურთიერთობებში მათი განვითარების მექანიზმები. მაშინ, როდესაც კომუნიკაციისა და ინფორმაციის ტანდემში წამყვანი როლი ინფორმაციის გადაცემას ენიჭება და უფრო მასობრივი გავრცელების მასშტაბებზეა გათვლილი, მოსმენა საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და შეთავაზებებზეა ორიენტირებული, მეტ ყურადღებას აქცევს მის საჭიროებებს და პლურალიზმს, არ დაიყვანება ოდენ ჯგუფების წარმომადგენელთა მიერ გამოსაყენებელ საშუალებამდე. მოსმენის კულტურა იწვევს ქვევიდან ზევით მიმართული ხედვის ჩამოყალიბებას, რომელიც შეხვედრების, კონტაქტებისა და ურთიერთქმედებების საფუძველზე წარმოიქმნება. ეს კი დემოკრატიას ისეთ პოლიტიკურ რეჟიმად აქცევს, სადაც აწმყო მომავლის სამსახურშია ჩამდგარი. (ibid, 79)

არახალია, რომ კლასიკურ და თანამედროვე დემოკრატიებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი განსხვავება მათ მასშტაბებსა და ფორმებშიც მდგომარეობს. თავისი გავრცელებიდან გამომდინარე, თუკი ძველბერძნული წარმოშობის დემოკრატია პირდაპირი ხასიათის იყო, ახალ დროში მის დომინანტურ ვარიაციას წარმომადგენლობითი სახით ვხვდებით. დღევანდელ მსოფლიოში პირდაპირი დემოკრატია იშვიათი გამონაკლისია მაშინ, როდესაც უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული ხარვეზებიდან გამომდინარე, რეპრეზენტაციული დემოკრატია უკეთეს ალტერნატივას საჭიროებს. გამოსავალი დემოკრატიული იდეალის შეცვლაა, რომელიც წარმომადგენლების არჩევაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, არამედ პრიორი-

ტეტული უნდა გახდეს ხალხისათვის საჯარო სივრცეში მონაწილეობის შეძლებისდაგვარად მეტი შესაძლებლობის შექმნა. მართლაც, თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემას ძალაუფლების მიღება კი არ წარმოადგენს, არამედ ხალხისათვის, თუ ხალხიდან წარმოქმნილი ჯგუფების მეტად მოძლიერება. ეს საშუალებაა, რათა მიკროპოლიტიკურ დონეზე მოხდეს უმრავლესობებისა და უმცირესობების არა ურთიერთმოქიშპე დაჯგუფებებად, არამედ პლურალობებად განხილვა.

პირდაპირი დემოკრატიის მიზანს წარმოადგენს:

*„...იდეების, არგუმენტების, პროექტების, ინიციატივების, კომპეტენციებისა და რესურსებისათვის სრულიად გამჭვირვალე ასპარეზის შექმნა, ისეთის, რომელშიც სათანადო კავშირების დამყარება შეძლებისდაგვარად სწრაფად და იაფად ხდება“. (levy, 1999, 82)*

მოცემულ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის ნანოპოლიტიკურ ჭრილში გააზრებას. ინტერნეტმა შეამცირა მანძილის ფაქტორი და კომუნიკაციების გადაცემის ხანგრძლივობა, მაგრამ დროთა განმავლობაში, ასევე უფრო მეტად გაუსვა ხაზი არა მხოლოდ დროის შემოკლების, არამედ დროის გამდიდრების საჭიროებას. თუკი კომუნიკაციის გამალებული სიჩქარე ცივილიზაციისა და ტექნიკური პროგრესის ნიშანია, ამ უკანასკნელის ხარისხზე მეტყველებს კოლექტიური ინტელექტის შესაბამისად გამოყენებული დრო. პიერ ლევი გვეუბნება, რომ მიკროპოლიტიკა ესაა დროის ხელოვნება, სადაც პირდაპირ რეჟიმში განხორციელებული პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ადამიანურ ღირებულებებზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებაა. (ibid, 82)

უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლექტიურ ინტელექტის მიხედვით, დრო უკვე აღარ არის და ვერც იქნება სწორხაზოვანი, არამედ იგი მრავალგვარია, სპირალური და ჩვენ გარშემო ხორციელდება. (ibid, 252)

პირდაპირ დემოკრატიაში ორგანიზება თვითორგანიზების ფორმად გარდაიქმნება, სადაც აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს არა ძალაუფლების ირგვლივ, რომელიც საზოგადოებაზე ბატონობს (ტოტალიტარიზმი) და არც მაყურებელთა საზოგადოებაში გამეფებული ძალაუფლების (მედია) ირგვლივ, არამედ იმ კომუნიკაციის გარშემო, რომლითაც სოციუმი საკუთარ თავთან ურთიერთობს; და ესაა, საზოგადოების ცოდნა თავისი თავის შესახებ. (ibid, 83)

როგორია განათლების ფუნქცია პირდაპირ დროში განხორციელებულ დემოკრატიაში? იგი კოლექტიური ინტელექტს ემყარება და აძლიერებს, მობილიზებას უკე-

თებს, მოქმედებაში მოჰყავს, აუმჯობესებს და ავითარებს ადამიანურ ღირებულებებს. შესაბამისად, კაცობრიობის რაოდენობრივი მატების, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ხარვეზების გათვალისწინებით, ტექნოლოგიური პროგრესის გამოყენებითა და კოლექტიური ინტელექტის პრინციპების საჯარო სივრცეში იმპლემენტაციით მიკროპოლიტიკა XXI საუკუნის ყველაზე ეფექტურ პოლიტიკურ ფორმად შეიძლება იქცეს. (ibid, 87)

დღევანდელი განვითარებული მსოფლიოს აკადემიურ წრეებში უკვე მიდის საუბარი იმ ტენდენციაზე, რომლის მიხედვითაც კოლექტიური ინტელექტის პრინციპების შესაბამისად და ტექნიკური ინოვაციების მეშვეობით მიმდინარეობს მეორე რენესანსის ეპოქის ჩამოყალიბება.

*„ჰომო საპიენსმა შექმნა კულტურა, რომელიც ბიოლოგიურ ევოლუციაზე უფრო სწრაფად ვითარდება. ზოგადად, ტექნიკა, ენა, აზროვნება მისი ამაჩქარებლებია. სწორედ, ამ მიზეზითაა, რომ კოლექტიური ინტელექტი შეძლებისდაგვარად კატალიზატორივით მოქმედებს სწავლების პროცესზე, ამრავლებს მისი რეორგანიზების თვისებას, ზრდის ინოვაციას, გამომგონებლობის ძალას“.*[1] *(ibid, 78)*

სრულიად ინოვაციურია ისეთი ულტრათანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც მოგვცემენ პირდაპირი დემოკრატიის ნიშნების კიბერსივრცეში შექმნილი ვირტუალური აგორას განვითარებისა და გავრცელების საშუალებას, სადაც ეს უკანასკნელი მოცემული იქნება, როგორც საჯარო მომსახურების ფორმა. მაგრამ მანამდე ჯერ კიბერსივრცის წარმოშობას გავაყოლოთ თვალი.

XX საუკუნის 80-იან წლებში უილიამ გიბსონის (William Gibson) მიერ შემოტანილი ტერმინი კიბერ-სივრცე (Cyberspace) შემდეგ ათწლეულში უკვე პრაქტიკად იქცა. ვირტუალური სამყარო გახდა ის განზომილება, რომლის მეშვეობითაც ერთმანეთს დაუკავშირდა დედამიწის სხვა და სხვა ტერიტორიაზე მოსახლე პიროვნება. ამგვარად მოხდა ადამიანთა განსხვავებულ კომპეტენციათა შეკავშირება, რითაც ვირტუალური სამყარო ჩამოყალიბდა როგორც არა მხოლოდ გარესამყაროზე გავლენის გამტარებელი საშუალება, არამედ მასში მონაწილეთა შორის ინტერაქტიული კომუნიკაციის გამაადვილებელი კატალიზატორი. ამ სფეროს უახლესი ტექნიკური მიღწევები აჩ-

---

[1] „Homo sapiens created culture, which advances much more rapidly than biological evolution. Technology, language, thought in general, are accelerators. It is for this reason that collective in- telligence works as hard as possible to hasten the apprenticeship process, augments its capacity forreorganization, hastens innovations, multiples the powers of invention“. - Lévy, Pierre (1999) - დასახ. ნაშრ, p. 78.

ქარებენ და აძლიერებენ მოცემულ პროცესს. აღსანიშნავია, რომ ამგვარ ინტერაქტიულ ჩართულობას გააჩნია როგორც ეკონომიკურ-ტექნიკური, ასევე პოლიტიკური და ეთიკური რეზონანსი – პიროვნება ხდება უფრო მოტივირებული, კოლექტივში პოულობს საკუთარ თავს და უფრო რწმუნდება თავის შესაძლებლობებში, იზრდება ამა თუ იმ ინდივიდის აღიარებისადმი დადებითი დამოკიდებულება. (ibid, 35)

რაც არ უნდა განვითარებული იყოს ინდივიდუალური ინტელექტი, კოლექტიურ ინტელექტთან შედარებით იგი გაცილებით უფრო პასიურია. ვირტუალური სამყარო კი ხდება ის მედიუმი, რომელიც ამრავლებს და დინამიურს ხდის ამ უკანასკნელს. ამავე დროს, ესაა ის განზომილება, სადაც ინტელექტი, შემეცნების პროცესი და შესამეცნებელი საგანი ხდება ერთი მთლიანობა. კოლექტიური ინტელექტის შემთხვევაში შემეცნება თითოეული წევრის გამოცდილებასა და ქცევაში მდგომარეობს, ხოლო მის ფუნქციას საზოგადოებრივი განვითარება და ცოდნის ერთმანეთში გაცვლა-გამრავლება წარმოადგენს.

შესაბამისად, მოიაზრება თანამშრომლობით პრინციპებზე აგებული კიბერსივრცის პირდაპირი დემოკრატიის განზომილებად გადაქცევა, რომელიც პოლიტიკური პოლიფონიის რეალიზაციის ადგილად ჩამოყალიბდება და კომპიუტერული მედიაციის მეშვეობით განხორციელებული ცივილურობის ფორმას მიიღებს.

*„პოლიტიკის კანონიკური ფორმა ცოდნის სივრცეში ერთგვარი პირდაპირი, კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით განხორციელებული დემოკრატიაა, რომელიც უკვე აღარ ემყარება სტატისტიკური უმრავლესობის წარმომადგენლობითობას, არამედ ჭკვიანი კოლექტივების თვითორგანიზებას, სადაც უმცირესობებს ინიციატივების გატარებისა და მიღების შესაძლებლობა გააჩნიათ“.*[1] *(ibid, 229)*

დემოკრატიული პრაქტიკის ამოქმედებაში კიბერსივრცეს უზარმაზარი რესურსი აქვს. იმისათვის, რომ კოლექტიური ინტელექტის გავრცელების არეალი მასშტაბური გახდეს, საჭიროა შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურის აგება, სადაც შემოქმედებითობის სისტემატური განახლების, განსხვავებულობების თანაზიარობად გადაქცევის, სინგულარულობის გამოხატვის განუწყვეტელი პროცესი ხელს შეუწყობს დემოკრატიის ისეთი ტექნოპოლიტიკური პრობლემის მოგვარებას, როგორიცაა საზოგა-

[1] The canonical form of politics in the knowledge space is a kind of direct, computer-assisted democracy no longer based on the representation of statistical majorities but on the self-organiza- tion of intelligent collectives, in which minorities have an opportunity to experiment and take in- itiatives“ - Lévy, Pierre (1999) - დასახ. ნაშრ, p. 229.

დოების მოთხოვნებისა და ხმის პირდაპირი გამოვლენა ყოველგვარი წარმომადგენლობითობის გარეშე. (ibid, 66)

ზემოაღნიშნული სახის ვირტუალურ სამყაროში ხდება კოლექტიური ინტელექტის წევრთა ერთმანეთს შორის კომუნიკაცია და კოლექტიურ ცოდნაში ინდივიდთა და ჯგუფების გადაადგილება. იგი მოქმედებს, როგორც ერთგვარი თანამშრომლობითი მეხსიერების, გაცოცხლებული ნიშნების, კომუნიკაციისა და ნავიგაციის, გაგების ურთიერთგაზიარებული ორგანოს საჯარო სივრცე და საზოგადოება. კოლექტიური ინტელექტის ტრანსცენდენტური და იმანენტური ტრადიციების გადაკვეთით იკვეთება კიბერსივრცის განვითარების შემდგომი მიმართულება:

*„რაც უფრო მეტად ხდება ინტელიგიბელურის გრძნობადი ენით აღქმა, მით უფრო იზრდება ნიშანი-გამოსახულების სიღრმე და კომპლექსურობა და მით უფრო მცირდება მანძილი ადამიანსა და ღმერთს შორის".*[1] *(ibid, 111)*

პერიკლეს დროს ისეთი სივრცე შეიქმნა ათენში, რომლის აგორაზეც საკუთარი ეპოქის საუკეთესო შვილები იყრიდნენ თავს. მათმა ინტერაქციამ კლასიკური ძველბერძნული ცივილიზაციის ოქროს ხანას დაუდო საფუძველი. იგივე განმეორდა მედიჩების ეპოქის ფლორენციაშიც, რომელიც ასევე თავს უყრიდა თავისი დროის საუკეთესო წარმომადგენლებს და რამაც დასავლურ-ევროპული რენესანსი მისცა კაცობრიობას. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს კოლექტიური ინტელექტის ჩანასახოვან მდგომარეობას, რომლის ეფექტურობის ზრდასაც მისთვის გარკვეული სივრცის შექმნა უწყობს ხელს. კლასიკური პირდაპირი დემოკრატიიდან მესამე ათასწლეულის პირდაპირ დემოკრატიაში გადასასვლელი საშუალებებია ჭკვიანი საზოგადოებებისა და პირდაპირ დროში მიმდინარე დემოკრატიის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სოციალური უნარების მობილიზება. ეს კი უშუალოდ ტექნიკური და პოლიტიკური ხასიათის პროცედურაა.

თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში, სადაც კოლექტიურ ინტელექტზე დამყარებული საზოგადოება დემოკრატიული საჯარო სივრცის ინოვაციურ სახეს შეიძლება წარმოადგენდეს, ათენური აგორას გლობალური მასშტაბის მქონე პროტოტიპი შეიძლება იყოს ვირტუალური აგორა. იგი, როგორც კოლექტიური ინტელექტის *locus-ი* და საჯარო მომსახურების ფორმა, გამოყენებულ იქნება პრობლემების გასაა-

[1] „The more the intelligible is understood in terms of the sensible, the more sign-image increases in scope and complexity, and the shorter becomes the distance between man and God" - Lévy, Pierre (1999) - დასახ. ნაშრ, p. 111.

ნალიზებლად, ჯგუფური განხილვებისათვის, კომპლექსურ პროცესებზე ყურადღების მისაქცევად, კოლექტიური გადაწყვეტილების მისაღებად და შესაფასებლად:

*„ვირტუალური აგორას ფუნქციას წარმოადგენს არა ხალხისათვის გადაწყვეტილებების მიღება, არამედ ცოცხალ არსებათა მიერ გაცოცხლებული კოლექტიური გამოხატვის მექანიზმის შექმნა.“[1] (ibid, 68)*

მისი მეშვეობით უმჯობესდება საკითხების ფორმულირების, მოლაპარაკებებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

ელექტრონული დემოკრატია არ უნდა აგვერიოს კოლექტიურ ინტელექტზე დამყარებულ ნანოპოლიტიკაში. რეალურ დროში მიმდინარე დემოკრატია არ ნიშნავს პირდაპირ ეთერში განხორციელებულ არჩევნებს (online voting), რომელიც მაინც უფრო მედიაპოლიტიკის სფეროს ეკუთვნის (ტელევიზია, ხმათა დათვლა, არჩევნები და ა.შ.), არამედ იგი არის:

*„კოლექტიური და ინტერაქტიული დებატების შრომატევადი და უწყვეტი შენების ქვაკუთხედი, რომელშიც ყველას შეუძლია თავისი წვლილის შეტანა კითხვების შესამუშავებლად, პოზიციების განსაზღვრისთვის, არგუმენტების შესათავაზებლად და გასააზრებლად, გადაწყვეტილებების განსახორციელებლად და შესაფასებლად“.[2] (ibid, 80)*

პიერ ლევის ასევე შემოაქვს დემოკრატიის საპირწონე ტერმინი დემოდინამიკა (ხალხის ძალა), რაც კოლექტიურ ინტელექტიდან გამომდინარე მესამე ათასწლეულის პირდაპირი დემოკრატიის პოლიტიკურ ფორმას წარმოადგენს და რომელშიც წარმმართველი იქნება არა გაფეტიშებული, ტერიტორიას მიჯაჭვული, სისხლისმიერი ნათესაობითი ურთიერთობები, არამედ თვითშემეცნებისა და თვითშემოქმედების პროცესში მუდმივად ჩართული ძლიერი საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ დაბადების ეტაპზეა.

დემოდინამიკური პოლიტიკური სისტემა არის:

*„...ნაკლებ საზიანო, არა იმიტომ რომ ის უმრავლესობას – როგორც გაერთიანებულ მასას ანიჭებს ძალაუფლებას, არამედ იმდენად, რამდენადაც ის ახდენს კოლექტიური გონების მობილიზებას საჯარო ცხოვრების მართვაში, მას უპირატესობა*

---

[1] „The role of a virtual agora is not to make decisions for people but to help produce a mechanismfor collective utterance animated by living beings“ - Lévy, Pierre (1999) - დასახ. ნაშრ, p. 68.

[2] building block in the laborious but continous construction of the collective and interactive debate, in which everyone can contribute to formulating questions, establishing positions, proposing and weighing arguments, making and evaluating decisions“ - Lévy, Pierre (1999) - დასახ. ნაშრ, p. 80.

*ენიჭება არა იმიტომ, რომ ის ადგენს უმრავლესობის ბატონობას უმცირესობაზე, არამედ იმიტომ, რომ ის ზღუდავს მთავრობის ძალაუფლებას და იძლევა დაცვის საშუალებებს ძალაუფლების თვითნებური გამოყენების წინააღმდეგ“*[1]. (ibid, 88)

კოლექტიური ინტელექტით შექმნილი ვირტუალური აგორას განვითარების შემდგომი ეტაპია მიკროპოლისი, რომელიც კეთილგონიერი ქალაქის (*Intelligent city*, რომელიც განსხვავდება ჭკვიანი, *smart city-სგან* და ამ უკანასკნელის კიდევ უფრო პროგრესულ ვარიაციას წარმოადგენს) განსახიერებაა. ამ მომავლის სარკმლებში პოლიტიკურ ამინდს ინიციატივათა დემოკრატია და პირდაპირი გამოცდილება ქმნის. (ibid, 230) მსგავს ქალაქებში პოლიტიკური სისტემა არც ეკონომიკაზეა დმოკიდებული და არც მედიაზე. მათთვის ყველაზე დიდ საფრთხეს ინტელექტუალური უნარების დაკარგვა შეადგენს, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს მოსახლეობის გადინებით, კოლექტიური ინტელექტისა და წარმოსახვის მოკლებით. (ibid, 238)

მიკროპოლისის მიზანია, რომ არ შეუწყოს ხელი საზოგადოების შექმნას წინდაწინ განსაზღვრული გეგმის მიხედვით, რაც კოლექტიური ინტელექტის პრინციპებთან შედარებით უკუსვლა იქნებოდა და მასობრივ ტექნოლოგიებთან დაბრუნებას მოასწავებდა. მიკროპოლიტიკაზე დამყარებული დემოდინამიკური ხასიათის კეთილგონიერი ქალაქი უზრუნველყოფს იმანენტური საზოგადოებრივი კავშირის განხორციელებას. (ibid, 54) იგი საკუთარი თავის ზრდაზე, შემჭიდროებასა და ღიაობაზეა ორიენტირებული.

პიერ ლევი უძველესი დროის ცივილიზაციებსა და არქიტექტურაში პოულობს მომავლის საზოგადოებებისა და ქალაქების წინასახეს. მისთვის ასეთია ინდოევროპული მოდგმის ხალხთა მიერ დემონიზებული ირენული ხასიათის მინოსური ცივილიზაცია, რომელიც კულტურული კომპლექსურობის განსახიერების – ლაბირინთის გამომგონებელი კულტურაა. სხვა ხალხებთან იგი კომერციისა და ხელოვნების მეშვეობით ურთიერთობდა.

ამ კონტექსტში კოლექტიური ინტელექტი მშვიდობის განზომილებაა. კაცობრიობა მომავალი არჩევანის წინაშე დგას: ან ძალაუფლების ციხე-სიმაგრეები ვაშენოთ, ან გავაუმჯობესოთ კიბერსივრცის დახვეწილი არქიტექტურა, რომელიც უმაღლესი

[1] „...less harmful, not because it gives power to a majority viewed as a unified mass, but to the extent that it mobilizes collective thought in governing public life. It is favored not because it es- tablishes the domination of a majority over a minority, but because it limits the power of govern- ment and provides remedies against the arbitrary use of power“- Lévy, Pierre (1999) - დასახ. ნაშრ,p. 88.

დონის ლაბირინთის განსახიერებაა და პატივმოყვარე, სიცოცხლის მკვლელ, ძალაუფლებაზე ორიენტირებულ პრინციპებს კი არ ეფუძნება, არამედ სიცოცხლის, თანამშრომლობის, ურთიერთგაზიარების, კონსტრუქციული მიმართულებით ვითარდება. კოლექტიური ინტელექტისათვის დამახასიათებელი თვითორგანიზების მეშვეობით შესაძლებელია საზოგადოებრივი პრობლემების გაცილებით უფრო ეფექტურად გადაჭრა; მისი დადებითი მხარეებია: სიტყვის თავისუფლება, შემოქმედებითი სტიმული, თანასწორობა, ელიტური მედიისაგან თავისუფლება, კომბინირებული ცოდნა.

კოლექტიური ინტელექტის ყველაზე ცნობილი ფორმაა სოციალური ქსელები: ბლოგოსფერო, Google, Facebook, Youtube, Wikipedia, Amazon, Ebay და ა.შ.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოლექტიური ინტელექტის გზა არის საზოგადოებაში ავტორიტარული ტენდენციების გავრცელების საუკეთესო ალტერნატივა, ხოლო პარალელების გავლება კაცობრიობის პოლიტიკური აზროვნების მდიდარ მემკვიდრეობასთან გვაძლევს შეცდომებისა, თუ საფრთხეების თავიდან არიდების მეტად საჭირო შესაძლებლობას. კოლექტიური ინტელექტის სახით შეგვიძლია ვისაუბროთ ახალ ჰუმანიზმზე ოცდამეერთე საუკუნეში, რომლის მიზანიცაა თვითშემეცნების კოლექტიურ ცოდნად და კოლექტიურ აზროვნებად გადაქცევა, გაფართოება. აქ ვაზროვნებ (cogito) ხდება ვაზროვნებთ (cogitamus).

კოლექტიური ინტელექტის პოლიტიკური ფილოსოფიის ჭრილში განხილვა საზოგადოებას აძლევს დამატებით ბერკეტს იმისათვის, რომ უფრო ეფექტური იყოს მისი გავლენა პოლიტიკაზე და თავადაც უფრო მეტად ჩაერთოს მასში. ეს კი კარდინალურად მნიშვნელოვანია თავისი განვითარების ისეთ გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველოა.

alte UNIVERSITY

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. Adorno, F. Gregory, T, Verra. V.; Manuale di storia della filosofia, 1, Editori Laterza, Roma- Bari, 2002.
2. Dante Alighieri; De Monarchia, The Riverside Press, Cambridge, 1904.
3. Levy, Pierre; Collective Intelligence: Mankind's Emerging World in Cyberspace, Helix Books, 1999.
4. Хайруллаев, М.; Фараби, Издательство „Узбекистан", Ташкент, 1975.
5. გამსახურდია, ზვიად; ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, „მეცნიერება", თბ. 1991.
6. რუსთაველი, შოთა; ვეფხისტყაოსანი, „მერანი", თბ. 1992.

# კინოსა და ტექსტის ურთიერთქმედების სემიოტიკა XX საუკუნის 20-იან წლებში

**ლევან გელაშვილი**

*ფილოლოგიის დოქტორი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**Levan Gelashvili**

*Doctor of Philology*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

levangelashvili111@gmail.com

# SEMIOTICS OF THE INTERACTION OF FILM AND TEXT IN THE 20S OF THE XX CENTURY

## Abstract

The rituals performed by the fire: narrations, singing or dancing were the visual- verbal expressing forms. This was the distance of the open space and of the portrayal picture vision as well mobilization of the spectator on the center of the light (fire) in darkness, which consolidated emotions of the spectator and listener.

It was exactly the same that would be happening in the cinemas since centuries. Thus, during the age's rituals, collective walking to the churches was replaced by attending cinema theatres and clubs in the twentieth century's communism epoch. Fire, as a universal mean of reincarnation was replaced by cinema in the twentieth century.

In the twenties of the twentieth century the fire mythologemes in the interaction of the cinema and the text were very well exposed not only in the works of Georgian futurists, but also in the creations of some proletarian writers that were carried away by futurism.

**Keywords:** Futurism, Fire, Cinema, Narrative.

* * *

ის ხანა, როდესაც ლიტერატურის ქმნადობა ზეპირი მონათხრობის, მოყოლილი ამბების, ნამღერის და ცეკვის ფორმით არსებობდა, ზეპირსიტყვიერი პოლიფილიაციური განვითარების ეტაპებს მოიცავდა. ლიტერატურის ამ სახით არსებობა საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობაში, სმენისა და თხრობის კულტურას აყალიბებდა, რომელიც ბუნებრივად დამკვიდრებულ სტანდარტებს ექვემდებარებოდა. ამბების თხრობა ე. წ. „სთორი თელინგი" (story telling) ხვეწდა ენობრივ ქსოვილს, გამოხატვის სიზუსტეს და ლექსიკურ მარაგს. ლიტერატურის ფორმაციის ამ უძველეს სტადიაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაფორმირებელი სტიქია იყო ცეცხლი, რადგან სწორედ ცეცხლის პირას ხდებოდა ლიტერატურის რიტუალური შესრულება. ჩერვინსკი სცენარის წერის სახელმძღვანელოში, ცეცხლის გარშემო ლიტერატურულ კოლექტიურ შემოქმედებას განიხილავს, როგორც შემოქმედებით აქტს, რომელიც უნდა წარმოიდგინო ცეცხლის ყურების დროს ნათქვამი ტექსტის მიხედვით.

არსებობს ცნობები სხვადასხვა ხალხში ცეცხლის გარშემო, მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებების შესრულების რიტუალური ტრადიციის შესახებ. (მაგალითად პოეზია მუსიკის თანმხლებით სრულდებოდა) ცეცხლის სინათლისა და ჩრდილის თამაშისთვის თვალყურის დევნება საშუალებას იძლეოდა მოყოლით გაეცოცხლებინათ მითები. სიბნელეში მსუბუქი ციმციმი წარმოსახვას აღვიძებს და ცეცხლიდან მიღებული შთაბეჭდილებებით სიტყვა-ხატთა მონაწილეობით ცოცხლდება მოყოლილი ამბები; ცეცხლთან შესრულებული ლიტერატურული ნარატივი პოლისემანტიკური მოვლენაა, სადაც ამბების თხრობა ერთდროულად შეიცავს ვერბალურ, აუდიოვიზუალურ ნიშნებს.

ცეცხლთან შესრულებული ლიტერატურული ამბების ქმნადობა ვიზუალურის აღქმის აქტიც იყო, რომელიც იწვევდა ასოციაციას, ქმნიდა ფერის აღმნიშვნელ სიტყვებს ენაში, მეტყველება მდიდრდებოდა პოეტური და მეტაფორული საშუალებებით. ამგვარად, ცეცხლთან კავშირი გამოსახულების ისტორიული ეტაპიცაა.

ნათურის გამოგონებასთან ერთად დაიკარგა ცეცხლთან პირველყოფილი კავშირი. მხოლოდ ასანთის, გაზქურის ან სანთლის ანთების დროს თუ ვიხსენებთ ცეცხლთან პირდაპირ კონტაქტს (ეკო). ხელოვნებამ დაკარგა პირველყოფილი მაგიური და საკრალური მნიშვნელობა. ნათურის გამოგონებას მოჰყვა ინდუსტრიული რევო-

ლუცია, დროთა ფორმაციამ და ახალი ტექნოლოგიების ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვამ ადამიანის ყოფითი პირობები შეცვალა. ახალი ინოვაციური სახელოვნებო დარგი კინო, რომელიც ყალიბდებოდა და უშუალოდ ტექნოლოგიების გამოგონებასთან იყო დაკავშირებული სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. ოციან წლებში დაიწყო კინოცენტრიზმის პროცესი, კინო გახდა ხელოვნების ყველაზე ინოვაციური და პოპულარული დარგი მთელ მსოფლიოში.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების პირველი ნახევრის ქართული კინოთაობა, ქართველი მწერლების (მოდერნისტების და ფუტურისტების) მსგავსად არ გამოირჩეოდნენ მრავალფეროვანი ექსპერიმენტული ძიებებით და ავანგარდული ბუნებით. ეს იყო ჩამოყალიბების, თვითგამორკვევის და რეგულარულ კინოწარმოებაზე გადასვლის, ასევე მძლავრი საბჭოთა იდეოლოგიზირების პერიოდი. ოციანი წლების ყოველდღიური კინოცხოვრება კარგად აისახა იმ პერიოდის პრესაში. საბჭოთა ხელისუფლება პირდაპირ აცხადებდა, რომ **„დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ დასაწყისი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში“** (გაზ. კომ. 1921 წ.). ახალი საბჭოთა ადამიანის შექმნა ბევრ სხვა პროექტებთან ერთად, მოიცავდა კინოს გამოყენებას პროპაგანდის საშუალებად. ლენინის რუსეთის განათლების კომისარიატისადმი (1922 წ. 1 იანვარის) გაგზავნილი სადირექტივო შენიშვნაში წერია: **„კინოწარმოდგენის თითოეული პროგრამისათვის დაწესებული უნდა იქნეს განსაზღვრული პროპორცია: – ა) გასართობი სურათები სპეციალურად რეკლამისათვის და შემოსავლისათვის (რასაკვირველია ეს სურათები გარყვნილობასა და კონტრრევოლიუციას არ უნდა შეიცავდნენ). ბ) სახელწოდებით „სხვადასხვა ქვეყნების ხალხების ცხოვრებიდან“ სურათები პროპაგანდისტული შინაარსის, როგორიც არის მაგალითად: ინგლისის კოლონიალური პოლიტიკა ინდოეთში, ერთა ლიგის მუშაობა, დამშეულები ბერლინში და სხვ. ნაჩვენები უნდა იქნას არა მარტო კინოსურათები, არამედ პროპაგანდის მხრივ საინტერესო ფოტოგრაფიები შესაფერი წარწერებით.“**

ლენინის ამ დირექტივებს გაზეთ „კომუნისტი“ ასე განიხილავდა: **„ეს ამონაწერი გვიმტკიცებს, რომ როცა ლენინმა სთქვა: რუსეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვნება არის კინო“-ო, მას მხედველობაში ჰქონდა უმთავრესად კინო, როგორც მასიური პროპაგანდის იარაღი“.** (1926 გაზ. №105). ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ბროშურებშიც კი გატარებული იყო პოლიტიკური თვალსაზრისი და ცხადია, კინოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ოციან წლებში საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოად-

გენდა წერა-კითხვის უცოდინარი საზოგადოების იდეოლოგიურად გარდაქმნა, ამ შემთხვევაში ეს მისია კინოსაც ეკისრებოდა, რადგან ფილმის გააზრება არ მოითხოვდა რომელიმე ენის ცოდნას და წინასწარ ინტელექტუალურ მომზადებას. ამგვარად, კინოს, ცოდნის გადაცემის გარდა, იდეოლოგიურად გარდაქმნის როლიც უნდა შეესრულებინა, რაც უპირველეს ყოვლისა, სწორედ წერა-კითხვის უცოდინარ აუდიტორიაზე იყო გათვლილი.

ამგვარად, პოლიტიკური უცოდინრობის ლიკვიდაციის საქმე ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იყო მიჩნეული. **„ჩვენ უნდა დავიპყროთ კინო, რომელსაც უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს“** – წერდა გაზეთი „კომუნისტი“. „საქართველოს კინო“ 1924 წელს: **„ახალ დროს ქარიშხალივით მოჰყვა ახალი ხელოვნება – კინო. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ კულტურულად ჩამორჩენილ გლეხობაში კინოს შეუძლია შეასრულოს ფრიად მნიშვნელოვანი როლი. კინოს აქვს მაგიური საშუალება უეცრად შეანათოს იქ, სადაც წიგნი ან სრულებით ვერ შედის, ან ძალიან ნელი ნაბიჯით მიიკვლევს გზას. კინოს აუდიტორიისათვის გამოდგება წერა-კითხვის უცოდინარიც, თუ სურათები შერჩეული იქნება შესაფერად. არის მთელი რიგი საკითხების, რომლის გაშუქებას სოფლის წინაშე ექნება ნაყოფიერი შედეგები სწორედ კინოს საშუალებით. ანტი-სარწმუნოებრივი პროპაგანდის გარდა, რომლისთვისაც შესაძლოა გამოყენებულ იქმნას შესაფერად შესრულებული სურათები, კინოს ექნება უდიდესი მნიშვნელობა ათასგვარი ცრუმორწმუნეობის ბურუსის გასაფანტავად“.**

მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმი თავისი არსით ძირშივე გამორიცხავს, საზოგადოდ, რელიგიურ რწმენას და ეკლესიისადმი მტრულადაა განწყობილი, იგი სწორედ ფუნდამენტური რელიგიურობის სუროგატულ ფუნქციურ როლს ითავსებს გასაკუთრებით ქრისტიანობის მიმართ.

ოციან წლებში თითქმის მასიური ხასიათი ჰქონდა ეკლესიების კლუბებად გადაკეთებას: **„28 მაისს არსენალის მუშების – კრებამ გააუქმა წმინდა ნიკოლოზის – ეკლესია, სადაც მათი დადგენილებით ეწყობა კლუბი და ბიბლიოთეკა, განზრახულია აგრეთვე კინოს მოწყობა და სხვადასხვა რევოლუციური პიესების დადგმა“ (1923, №125). „ალავერდში კ. მარქსის სახელობის კლუბთან მოეწყო სამხედრო ორკესტრი. ამავე კლუბში ახლო ხანში მოეწყობა კინო-ლექციები და წარმოდგენები გაიმართება სისტემატიურად“** (1924, №55).

ახალი კაცობრიობის დასაწყისი და ახალი საბჭოთა ცხოვრების განმტკიცება, ბავშვების კომუნისტურ მონათვლასაც გულისხმობდა. ზუსტად ასეთი ფორმულირე-

ბით; „კომუნისტური ნათლობა“, არაერთი პუბლიკაციაა იმდროინდელ პრესაში: **„ამ დღეებში მეოთხე სტამბაში მოინათლა 12 ბავშვი. ნათლობას დიდძალი ხალხი დაესწრო. მუსიკამ დაუკრა ინტერნაციონალი. საყურადღებო და სასიამოვნო ის – იყო, რომ ინტერნაციონალთან ერთად უშველებელ საბეჭდავ მანქანებმაც დაიწყეს მუშაობა. ეს სურათი მაყურებლებს რაღაც არაჩვეულებრივ სიამოვნების ჟრუანტელს ჰგვრიდა. მონათლული ბავშვებისათვის გამოგზავნილი იყო ცინკოგრაფიის სახელოსნოს პატრონ სოღომონიანის მხრით ბლომად ხილი პატარა ტომრებით და ყველა ესენი წითელი ლენტებით შეკრული, რაც სათითაოდ მონათლულ ბავშვებს დაურიგდა. შემდეგ დადგმულ იქნა ერთმოქმედებიანი, ქართული სარევოლიუციო პიესა და ვოდევილი „კირთ-კირთ“. ბავშვებს უწოდეს შემდეგი სახელები. ვაჟებს,– ილიჩი, გივი, სტეფან (შაუმიანის სახელი), ენგელსი, სპარტაკი, კიმ, ორს კამოს სახელი. სამ ქალს უწოდეს – კლარა და ერთს ორჯონიკა. ნათლობა დასრულდა ღამის 10 საათზე“.** (გაზ. კომ. 1924, №268).

ამ „ნათლობისგან“ თითქოს ბევრით არაფრით განსხვავდება მაგალითად ერთი რიგითი საბავშვო კლუბის გახსნა, რომელიც 1921 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა: **„15 დეკემბერს ლამაზად მოწყობილ და მცენარეულობით და პლაკატებით მორთულ ც.მ.კ. საბავშვო კლუბის დარბაზში შეიკრიბა იმავე ორივე სქესის სხვადასხვა ეროვნების 4-16 წლამდე 800-ზე მეტი ბავშვი. იყვნენ კლუბის წევრთა მუშების შვილები, კლუბის კულუარებში უკრავდა სამხედრო ორკესტრი. კლუბის გახსნის წინ ორკესტრისა და ყველა ბავშვის მიერ შესრულებულ იქნა ინტერნაციონალი. კლუბის გამგეობის ერთი წევრის მიერ ბავშვების მიმართ წარმოითქვა სათანადო სიტყვა. ამხ. ედელსონმა მიჰმართა ბავშვებს სიტყვით, რომელშიც განმარტა მიზანი და ბავშვებისათვის კლუბის მნიშვნელობა და მოუწოდებდა მათ ნაყოფიერ მუშაობისაკენ. კლუბის სათვითმართველობის გასაძღოლად. შემდეგ დაიწყო საკონცერტო განყოფილება, რომელშიც მონაწილეობდნენ 9-15 წლის ბავშვები. კონცერტის შესრულების შემდეგ ბავშვებს მიეცათ ჩაი და თეთრი პური.“**

საგაზეთო ამონარიდები კარგად და მკაფიოდ წარმოაჩენს მაშინდელ მდგომარეობას. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ასწლეულების წინ, კაცობრიობის ადრეულ ეტაპზე ხალხური ზეპირსიტყვიერება თავიდანვე განუყოფელი იყო ხალხური შემოქმედების სხვა დარგებისგან, მუსიკის, ცეკვა-სიმღერისაგან და სხვა. ცეცხლის გარშემო ვითარდება ყოველი სახელოვნებო სფერო. ამ დროს ხალხური ნაწარმოების შესრულება, როგორც წესი, ცეცხლთან გუნდურად ხდებოდა. ცეცხლთან ამბების თხრობა,

ძლიერი რიტუალური ტრადიცია იყო. ლიტერატურის განვითარების ადრეულ ეტაპზე ცეცხლთან შესრულებული ზეპირსიტყვიერი ლიტერატურული ნიმუშები, გონებაში წარმოსახული ხატების გაცოცხლება, მითიური საკრალური დანიშნულების მოვლენა იყო, სადაც ცეცხლი, როგორც ყველაზე ძლიერი საკრალობა ერთგვარი ტექსტის ჰერმენევტია. შეიძლება ითქვას ცეცხლურ ენერგიასთან პირდაპირი ურთიერთობა და თანაარსებობა იმდროინდელი ადამიანური არსებობის ნაწილია, რომელსაც მომდევნო საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობაშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა (რელიგიური რიტუალები ცეცხლის კომპონენტის გამოყენებით). გარკვეული წარმოდგენები მოძრავი გამოსახულების ენის შესახებ ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობა, თუმცა ეს შესაძლებლობები არასდროს ისე არ განვითარებულა, როგორც კინოს დაბადების შემდეგ მოხდა.

მეოცე საუკუნის ადამიანმა ცეცხლი ტექნოლოგიური კომფორტის ჩარჩოში მოაქცია. სინათლის დამორჩილებად ნათურის გამოგონება შეგვიძლია მივიჩნიოთ. საპროექციო აპარატი ნათურისგან მიღებული სინათლის წყაროსგან იკვებება. კინოფირზე „რეალობის ანაბეჭდი" სინათლის შედეგად მიღებული გამოსახულებაა. სინათლე ობიექტივის გავლით ემულსირებულ ცელულოიდის ფირზე ეცემა და ფოტოქიმიური რეაქციის შედეგად იქმნება გამოსახულება. სწორედ სინათლის ნაკადის შედეგად მიღებული გამოსახულება, თანამედროვე ადამიანის არაპირდაპირი კავშირია ცეცხლთან, როგორც სინათლესთან. ცეცხლთან შესრულებული რიტუალები: ამბების თხრობა, სიმღერა, თუ ცეკვა ხედვით-ვერბალური გამომსახველობითი ფორმები იყო. ეს გახლდათ, გახსნილი სივრცის, ასევე გამოსახულების სასურათე ცქერის მანძილი – სიბნელეში მაყურებლის მობილიზება ერთი სინათლის (ცეცხლის) წერტილის ცენტრზე, რომელიც აერთიანებდა მაყურებლის და მსმენელის ემოციებს. ზუსტად ისე, როგორც საუკუნეების შემდეგ კინოთეატრში ხდება. ამგვარად, საუკუნეების განმავლობაში ეკლესიაში რიტუალური, კოლექტიური სიარული, მეოცე საუკუნის კომუნიზმის ეპოქაში შეიცვალა კინოთეატრებსა და კინოკლუბებში სიარულით. ცეცხლი, როგორც უნივერსალური გარდასახვის საშუალება მეოცე საუკუნეში შეიძლება ითქვას, კინოს სახით გამოვლინდა.

კინომცოდნე ამოს ვოგელი წერდა: „დაქვემდებარებულობა კინოში კინოთეატრის დაბნელებისა და კინოეკრანის განათებისას იწყება. კინოს მაგიურ ადგილად გადაქცევისას, სადაც ფსიქოლოგიური და გარემო ფაქტორები ერთიანდება მიმღებლობის განცდის შესაქმნელად, გაკვირვებისა და ვარაუდისათვის, არაცნობიერის გა-

ნსაბლოკად. კინოს სალოცავში თანამედროვე რიტუალები დაკავშირებულია ძალიან ძველ მოგონებებთან და ქვეცნობიერ სურვილებთან, რომელიც მოქმედებს სიბნელეში და გვყოფს გარე სამყაროსგან. გამოსახულების ძალა, შიში მის მიმართ, მღელვარება, რომელიც გვიბიძგებს მისკენ, რეალურია. თვალის დახუჭვის უმოკლესი წამი კინოში, რომლისგანაც შეუძლებელია თავის დახსნა, რთული და უპრეცედენტოა.“ (Vogel, 1974, 10).

ამგვარად, კომუნიზმმა, რომელიც ღმერთის სუროგატული ფუნქციის შეთავსებას ცდილობდა კინოს მისი პოლიტიზაციით უპასუხა. თუმცა თანამედროვე ტექნიცისტურ გარემოში ადამიანის ცეცხლთან ურთიერთობის თავდაპირველი ტრადიცია დაიკარგა, მაგრამ ცეცხლთან ურთიერთობის პირველყოფილი ფორმები გაქრობას არ დანებდა და ახალ კულტურულ ფორმებს შეეგუა.

ქართველ ხელოვანებს საბჭოთა ხელისფლების პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა. მეოცე საუკუნის ოციან წლებში კინო, როგორც ახალი ხელოვნება, რომელიც ეკრანიზაციების ხარჯზე ვითარდებოდა და თავის სინთეზურ ენას აყალიბებდა საბჭოთა ხელისუფლების გარდა უდიდეს ინტერეს იწვევდა სახელოვნებო სფეროს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებში. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენება საბჭოთა ხელისუფლების გარდა ფუტურისტების ინტერესის სფეროშიც შედიოდა, ცხადია, არასაბჭოური კონცეფციის მიხედვით. მეოცე საუკუნის დასაწყისში ოციან წლებში ეს განსაკუთრებული მოვლენა იყო. ამ პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციის შესახებ. ოციან წლებში კინოთი დაინტერესებული იყო მხატვარი დავით კაკაბაძეც, რომელმაც სტერეო კინო შექმნა. აღსანიშნავია რომ კაკაბაძე ქართველ ფუტურისტებთან თანამშრომლობდა. ჟურნალ „მემარცხენეობაში“ 1928 წელს გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „დღევანდელი ჩვენი არხიტექტურა“. სწორედ ფუტურისტები იყვნენ პირველები ვინც სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლებიდან პირველებმა მიაქციეს ყურადღება კინოს.

ცეცხლის მითოლოგემა ქართველი ფუტურისტების შემოქმედებაშიც აისახა. ჟურნალ „$H_2SO_4$“-ის ფურცლებზე წერია: „პირველყოფილი ადამიანისთვის განყენებული სქემები უცნობი იყო: ის აზროვნებდა სახეებით. იმაჟუნიზმიც აზროვნებს სახეებით.

„$H_2SO_4$ “-მა პირველყოფილი ადამიანის აზროვნების სისტემასთან მიახლოება, ახალი სპეციფიკური ენის შექმნით სცადეს. ქართველმა ფუტურისტებმა ცეცხლი და მაცხოვარი ერთმანეთს დაუკავშირეს და ფუტურუსიტულ პრიზმაში გაიაზრეს. ცეცხლური ენერგიის პირველყოფილ მნიშვნელობაზე ვხვდებით ფუტურისტულ კონცეპტს:



„რეცხლი ეცხლურია
ნათელი აცეცხლური
მაცხოვარ
აცხონე ერი
ერიჰაა“ („H2SO4“, 1924, 7).

ფუტურისტული სტილით დიდი გამუქებული ასოებით დაწერილია **რ, ცხ, ა** და **თ** ასოები, როგორც სიტყვის ძირი, რომელიც ცეცხლურ ნათებას გამოხატავს.

თუ ლიტერატურის განვითარების ადრეულ ეტაპზე ცეცხლთან შესრულებული ზეპირსიტყვიერი ლიტერატურული ნიმუშები, გონებაში წარმოსახული ხატების გაცოცხლება, მითიური საკრალური დანიშნულების მოვლენაა, სადაც ცეცხლი, როგორც ყველაზე ძლიერი საკრალობა ერთგვარი ტექსტის ჰერმენევტიაა. ფუტურისტები დადას მეშვეობით ხალხურ მეტყველებას დაუკავშირდნენ. მათი ვიზუალურად შესრულებული ლექსები საწყისთან მიბრუნება არის, ხოლო ვიზუალური და აუდიო შთაბეჭდილებით მიღებული ემოცია სიტყვაში კოდირებული პოლისემიურ დანიშნულების აღდგენას ემსახურება.

„სტრუქტურა იმ ფსიხიკის, რომლის ნივთების კინემატოგრაფიულ რხევას თან ექნება დამოკიდებულება, გამოსარკვევი არის როგორც წარმოდგენა მაინც, როგორც ფოტოგრაფიული მიღება მყოფადერში“ (ჩიქოვანი, 2021, 567). აქ არის ნივთების და აშენების პროპაგანდა. ჩვენმა ფრონტმა ქართულ ხელოვნებაში პირველად აღმოაჩინა. ფუტურისტული ლექსები, არის ლაბორატორიული ნამუშევარი, ხალხური ხმების მოსაცემათ. მომავალი ქალაქი, შექმნილ ხმებს გაუკეთებს საკუთარ ფორმას (ჩიქოვანი, 2021, 568).

ხალხურობა და კინემატოგრაფიული თხრობის სიჩქარე ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ქართულ ფუტურიზმში. ფუტურისტები თავად მსჯელობდნენ და გან-

მარტავდნენ თავიანთ შემოქმედებას. მემარცხენე პერიოდულ ორგანოში „ლიტერატურა და სხვაში" აკაკი ბელიაშვლის წერილში ალხაზიშვილი დახასიათებულია, როგორც მწერალი, რომელიც კინემატოგრაფიული სისწრაფით აღწერს მოვლენებს (ბელიაშვილი, 2021, 136).

შალვა ალხაზიშვილი, რომელიც კინოთი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული, თეორიული მოსაზრებების გარდ,ა პრაქტიკულად ცდილობდა კინონარატივის შექმნას. მისი ლექსი „100", ლიტერატურულ საზღვრებში ცეცხლური ენერგიისგან ეკრანის შექმნის ისტორიული ექსკურსის და კინონარატივის შექმნის წარმატებული მცდელობაა.

„33 დარეს-სალამეს

34 კონრად ფეიდტ

35 ჰიპნოზი ეკრანის.

36 ქვესკნელის ცეცხლი.

37 ტროკადერო" (ალხაზიშვილი, 2021, 83).

(კონრად ფეიდტი თეატრის გერმანელი მსახიობი იყო, რომელმაც კარიერა 1916 წლიდან კინოში გააგრძელა, შალვა ალხაზიშვილი ამ მსახიობს თავის ცნობილ წერილშიც ახსენებს „კინოაპოლოგია": „კონრად ფეიდტ იღებს კინოს როგორც სტიქიონს. თეატრიდან მას არაფერი მოაქვს. იგი გათავისუფლებულია თეატრისაგან" „H2SO4" 1924, 45). გარდა იმისა რომ ალხაზიშვილი ამ ლექსში ორჯერ ახსენებს სერიას და პირდაპირ კავშირს გამოხატავს კინოსთან, ლექსში ეკრანი ცეცხლთან არის შედარებული. ცეცხლური ენერგია, როგორც პირველყოფილი გამოსახულება – ქვესკნელის ცეცხლი ჰიპნოზური ზემოქმედების ეკრანია. თუ კონდრატ ფეიდტს მოვიაზრებთ ეკრანის ჰიპნოზად, ამ შემთხვევაშიც გაგრძელება ქვესკნელის ცეცხლი – ასოციაციურ კავშირს შექმნის ცეცხლსა და ეკრანს შორის.

ალხაზიშვილი მოგვიანებით კიდევ უბრუნდება ცეცხლის სიმბოლოს.

68 დღეს სერიებად

69 იზმორება

70 ჩვენი ცხოვრება.

71 მანიფესტებად

72 დაიფანტება

73 მზე ცეცხლიანი (ალხაზიშვილი, 2021, 83).

მანიფესტის „მზე ცეცხლიან“-თან’ დაკავშირება შემთხვევითი არ არის. აქ პირდაპირ გაცხადებულია შემოქმედებითი პრინციპების ცეცხლთან დაკავშირებული ძირები. გარდა ამისა ლექსის ამ ამონარიდიდან კარგად ჩანს კინემატოგრაფიული სტრუქტურა, როგორც ლექსიკის შემცველობაში: ეკრანი და კონრად ფეიდტი, ასევე სტროფიკის დანომვრის პრინციპში, სადაც დანომვრა კინოსამონტაჟო ფურცლების დანომვრის ანალოგიურია. საინტერესოა, რომ ლექსში დანომრილი ტაეპების თანმიმდევრობა კინოკადრების მსგავსად მოძრავ დინამიკას ქმნის. „ნუმერაცია განსაკუთრებით ცხადყოფს ვერბალური ტექსტის დანაწევრებას ფილმის თხრობითი

სტრუქტურის მსგავსად, სადაც გადასვლა ერთი კადრიდან მეორეზე ცხადად და თვალსაჩინოდ არის მარკირებული; მით უმეტეს მუნჯი ფილმის ხანაში, როდესაც პლანის, ხედის კადრის კომპოზიციის, მისი ნივთიერი შემადგენლობის, თუ დანახვის კუთხის მონაცვლეობა უმალვე შეინიშნებოდა. „ალხაზიშვილი პოეტურ ტექსტს „სქრის“ კადრთა შეერთების ნაწიბურებს ნომრებით გამოჰყოფს. სტრიქონების სიმოკლე კი ლიტერატურულ ახლო ხედს წარმოადგენს“ (კიზირია, 1992, 4).

საინტერესოა, რომ ფუტურიზმით გატაცებული იყო ზოგი ისეთი ავტორი ვინც პროლეტარიატის მხარეს იდგა. ალიო მირცხულავა 1924 წლის მოდერნისტულ და რიგ შემთხვევაში აშკარა ფუტურისტულ კრებულში „მერრეხი“, (მოგვიანებით ცენზურამ ამ წიგნიდან არასასურველი ფურცლები ამოხია). ლექსში „კინო,“ რომელიც გაერთიანებულია ციკლში „კინოლოზუნგები“ ავტორი ცეცხლის, კინოს (ელექტრონის) და ფუტირზმის ურთიერთმიმართების სწორედ აღნიშნულ პოეტურ კონტექსტს ქმნის:

„მე მიყვარს კინო
და გაქანება,
ტილოზე
ცოცხალ ლანდების
რხევა.
სული იშლება
ცეცხლის ქარებათ
და დედამიწის
სუნთქვას ეხვევა“ („კინო“, 1924, 93).

კინო ასოცირებულია გაქანებასთან, მოძრაობასთან, რომელიც შუქ-ჩრდილებს ქმნის ტილოზე, ეკრანზე განვითარებული მოვლენები სულში ჩამწვდომია და ცეცხ-

ლის ქარებად იშლება ემოციურ ველში, იმდენად ძლიერია ეს განცდა, იმდენად ჩართულია სულიც ეკრანულ ამბებში (ტილოზე ცოცხალი ლანდების რხევა), რომ ის მთელი დედამიწის სუნთქვას ეხვევა.

სხვაგან:

„ის ჟინიანია, ვით მუნჯი
და უყვარს ელექტრონული
გაქანება ეკვატორის
გარშემო!
ეკვატორის ირგვლივ,
დარბის ცეცხლის ფიქრი!“ („აწეწილი ფიქრები“ ბუმერანგი, 1924, 107).

ჟინიანში და მუნჯში იგლუსხმება უხმო კინო, რომელიც თავის მაშტაბურობით (კინოს, ლიტერატურისგან განსხვავებით, არ სჭირდება რომელიმე უცხო ენის ცოდნა, ჩაპლინის ფილმი ნებისმიერ ადამიანს ესმის, მიუხედავად ეროვნებისა), „გაქანებით“ დედამიწის ნებისმიერ წერტილშია გასაგები („ეკვადორის გარშემოა და დარბის“), როგორც „ცეცხლის ფიქრი“. სიტყვათ შეთანხმება „ცეცხლის ფიქრი“ აქ მის ვიზუალურ მნიშვნელობასაც უსვამს ხაზს. რადგან ოციან წლებში კინო მუნჯი იყო, ამიტომ ის არის ფიქრი და გაქანება ე. ი. მრავლის მომცველი, მაგრამ ის, ასევე არის ელექტრონული ანუ „ცეცხლის“, რადგან ის ვიზუალურიც არის. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი პლანეტარული მაშტაბი.

ალიო მირცხულავას ლექსში ციკლი: „ცეცხლის ძარღვები“ ცეცხლს – კინოს და 410 უკავშირებს.

ქვემოთ მოყვანილი ალიო მირცხულავას ლექსებიდან ამონარიდები ლოგიკურად უკავშირდება ფუტურისტული გაქანების 41 გრადუსს, სწორედ ცეცხლის და ეკრანული გამომსახველობის თეზისს („გაქანების ისარი 41 გრადუსი“).

„ჩემს გონებას ნიადაგათ ცეცხლის ასო უძევს,
ცეცხლში ლექსს ვრთავ,
ცეცხლში – რითმას“ („მდინარდენა“, ბუმერანგი, 1924: 131-132) ან:
მაჯის ცემა: საათის
ნორმალობა გადალახა
და $41^0$ სიცხე მიჭერს.

დავგმე რომანები. თეატრები

**და გაჭენების მარში**

შევიტანე ცხოვრებაში.

მე მიყვარს კინო, როცა

შავ-კანიანი ამერიკა

მოლიპულ სარკეში ბანაობს.

ჩემი სული ჩქარია და ბევრი

გაყინული სიტყვები მრჩება.

მიყვარდა ანგელოზივით

ფრენა ვარსკვლავთა შორის.

მზეს სხივებს ვპარავდი.

თვით მე მსურდა მზეობა.

(„აწეწილი ფიქრები“, ბუმერანგი, 1924, 106).

ეკრანზე გამოსახულება სინათლის გამოსხივებით მიიღწევა. ალიო მირცხულა-ვა იცავს ფუტურისტულ თეზისს, რაც მოიცავს წარსულის სრულ უარყოფას – მუზეუმე-ბის თეატარების და მხატვრობის განადგურებას. ალიომ დაგმო რომანები და თეატ-რები. გაჭენების მარში შეიტანა ცხოვრებაში ანუ დაუკავშირდა კინოს, რადგან კინო მოძრაობის პლასტიკური სახეების შვილია, ამიტომ ის გაჭენებასთან, გაქანებასთან ასოცირდება. სული ჩქარია, როგორც კინემატოგრაფიული კადრების მონაცვლეო-ბა:

„მზეს სხივებს ვპარავდი. თვით მე მსურდა მზეობა“. ალეგორიულად მიანიშნებს, კინოსთან თავისებურ პაექრობას, შეჯიბრს, რომ სულსაც შეუძლია მზის მსგავსად გა-მოასხივოს სინათლე.

ან:

ქალაქი გიჟი დათვივით ღმუის.

ოფლით – მაზუთით იბერავს მუცელს.

გაუსკდა ცეცხლით დამწვარი კანი,

ელექტრო ჩიტებს ავრცელებს სოფლად!

ორთქლმავალს მოაქვს სიმძიმე შრომის.

(„მიწის დაბადებიდან 0-მდე“, ბუმერანგი, 1924, 115).).

ალიო მირცხულავას ფუტურიზმით გატაცება და ქართველი ფუტირისტების მსგავსად თეატრების დაგმობა, თავისი ჩვეული სტილისტური მანერით აქვს გადმოცემული:

„მახსოვს: სარდაფში
მუშაობის დროს
ყურში რომ ჩამჩურჩულე:
- ნუ ხარ ფუტურისტი
- როგორც ასეთი,
- აქე მანქანა.
„მდინარდენა“
და კინოებით,
მოსაწყენ რომანს
აჭენებ ლენტზე,
შენ ბუნებრივი
დაჰგმე ყოველი
და შეგნებაში
სიცოცხლეს ეძებ.
მსახიობებო,
დატოვეთ სცენა,
ნუ გამაგონებთ
ვულგარულ ძახილს:
(„კინოლოზუნგები“, ბუმერანგი. 1924, 130).

ან:

ფოლადებს თლიან,
და კაცის ნაცვლად
საუბრობს რკინა.
იქნება სხვებმა
დღეს დამაყვედრონ,
ზოგს ფურთხის
ღირსად მოვენატრები,

მაინც თამამად
მსურს დავიკივლო:
ძირს თეატრები,
სალამი კინოს!
(„კინო“ ბუმერანგი 1924, 94).

ალიო მირცხულავას ფუტურისტული ლექსები ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა გეომეტრიულ ფიგურებში ჩაწერილი ტაეპებია, კოლაჟური ტექსტები ფრაგმენტირებულია სხვადასხვა სისქის ხაზებში, რაც დრო-სივრცის მონტაჟური ბუნების ფუტურისტული და კუბისტური კოლაჟური გადაწყვეტაა. როგორც სხვა ფუტურისტების შემთხვევაში, მასთანაც კინოსადმი ზოგადად ბინოკულარული ნარატივისადმი ორგვარი მიდგომაა, ერთი – როდესაც პირდაპირი, უშუალო მიდგომაა კინოსადმი და მეორე შემთხვევა, როდესაც კინო არ არის ნახსენები. მაგრამ სტრიქონების განლაგება, ტექსტის იკონოგრაფიული გაფორმება ქმნის კინონარატივის დისკურსს.

ალიო ასე მიესალმა ახალ ცხოვრებას – კინოს საუკუნეს, როგორც ცეცხლის საოცრების საუკუნეს, სადაც სიგიჟე, სიჩქარე, ნგრევა, ძველი მოგონების დამარხვა სხვა სიმფონიით და ცეცხლის საოცრებით დასრულდა.

„ეს საუკუნე სუნთქავს ფოლადით,
ნგრევის სიგიჟე დარბის ამაყათ;
სივრცეს ეწვია სხვა სიმფონადი
და მოგონება მტვერში დამარხა.
ო, გარდატეხა მოხდა ძლიერად,
ბევრის სიცოცხლე მონათლა ცრემლით,
მოზღვავებული შურისძიება
გათავდა ცეცხლით და საოცრებით“ („ჩქარი სტრიქონები“, ბუმერანგი, 1924, 60).

ცეცხლის ალუზიას კინოსთან მიმართებაში ვხვდებით ქართული მოდერნიზმის მამამთავართან გრიგოლ რობაქიძესთან. გრიგოლ რობაქიძეს აღწერილი აქვს „გეომეტრიის ბოდვა და მექანიკის მალარია“, სწორედ ხმაურის, მუსიკის და ელექტრული ცეცხლის კინოეკრანთან დაკავშირების კონტექსტში. ავტორი რეპორტში აღწერს, კინოს ისტორიაში პირველი სამეცნიერო ფანტასტიკური ფილმის საყურებლად, კინოთეატრში წასვლას და ნახვას. რაშიც აცნაურებს თავის დამოკიდებულებას

(რობაქიძე, 2014, 421) „უნდა ვნახო სახელგანთქმული ფილმი „მეტროპოლისი“ სახელგანთქმული რეჟისორის ფრიც ლანგისა. ჩავდივარ მიწისქვეშა გადასასვლელში. ვსხდებით ელექტრული რკინიგზის ვაგონში. რაღაც შიშინებს. შიშინი სტვენაში გადადის – ოდნავ. სტვენა გადადის სიმღერაში – თითქმის. მეტალის მხეცი, ეპილეპტიკური შეტევებისაკენ მიდრეკილი. მანქანის საშინელება შეიძლება, მიწისქვეშა ელექტრული მატარებლის ამ შიშინით შეიგრძნო.

მაგრამ ჩვენ უკვე ნოლენდორფპლაცზე ვართ. შენობაზე წარწერა: Metropolis „Ein Film von Fritz Lang“ ნორენდორფის მოედანზე მხოლოდ ამ სიტყვებს ხედავ, ელექტრული ცეცხლით, რომ წერია“. ეს ბოლო ფრაზა განსაკუთრებით საინტერესოა. შეიძლება ითქვას, რომ ეკრანული გამოსახულების ცეცხლთან დაკავშირება, როგორც ცეცხლის მითოლოგემის თავისებური გამოხატულება, ოციანი წლების საზოგადოების ერთ-ერთი თვისებაა, რომელიც ფუტურისტულ მხატვრულ კონცეპტშიც გამოვლინდა.

რუმინელი რელიგიის ისტორიკოსი, მითოლოგიის მკვლევარი, მწერალი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი მირჩა ელიადე თავის ცნობილ კვლევაში: „მითები კვლავ ცოცხლობენ და ინიღბებიან“, აღწერს მითების რუდიმენტულ ფუნქციას, მითიური ფიქრის კატეგორიას, რომელიც თავს იჩენს თანამედროვე ტექნოლოგიებით გადატვირთულ რეალობაში. მითები ცოცხლობენ თანამედროვე ბლოკბასტერ ფილმებსა, თუ სამეცნიერო ჟანრის ლიტერატურულ თხზულებებში. ყველაფერი, რაც ქრება; ინსტიტუციები, ღირებულებები, აკრძალვები, იდეოლოგიური წანამძღვრები, თუ იდეები, ფარულ გავლენას ახდენენ უკვე გაქრობის შემდეგაც. ანტიკური ღმერთები ქრისტიანულ ეპოქაშიც არსებობდნენ, რომლებსაც დემონებს უწოდებდნენ (ელიადე, 1998, 156).

ფუტურისტების ვიზუალური ფორმებით გატაცებას, გარკვეულწილად ძველი მითოლოგიის გაცოცხლება უდევს საფუძვლად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცეცხლის მისტიკური, საკრალური ბუნება საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში სუბლიმირებული სახით კვლავ განაგრძობს არსებობას, მისი გადახალისება და ახალ ტექნოლოგიებში რუდიმენტული სახით წარმოდგენა კვლავწარმოებას განაგრძობს.

საბჭოთა ხელისუფლება როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კინოს, როგორც ხალხის გარდაქმნის მასობრივ საშუალებას, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ფუტურისტების მოწინააღმდეგე ბანაკშიც კინონარატოლოგიური მცდელობები შეინიშნება. პარადოქსია, მაგრამ ჟურნალი „პროლეტმაფი“, რომელიც

მწვავე კრიტიკულ წერილებს აქვეყნებდა ფუტურიზმზე, ბეჭდავდა ალიო მირცხულავას კინოლექსებს, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. 1925 წელს კი პროლემაფში (№2 (გვ. 49) დაიბეჭდა კარლო კალაძის მოთხრობა „ჩვენ", რომელსაც სათაურის ქვეშ აწერია: „კინო-რომანი საქართველოს ისტორიიდან პირველი სერიის ნატეხი სურათი სხვათაშორის". ეს არის ძალიან საინტერესო კინონარატივით გამორჩეული ტექსტი, სადაც ფილმური თხრობა თავისებურად არის ავტორის მიერ დამუშავებული: ეპიზოდები დანომრილია, როგორც სამონტაჟო ფურცლის მიზანსცენები. კადრებად ჩადგმულ სცენებში კი ჩარჩოში ჩასმული მცირე ტექსტებია, რომელიც ხსნის მთლიანად მიზანსცენას ან უბრალოდ ავტორისეულ რემარკას და გარემოს შტრიხულ მონახაზს აკეთებს. სწორკუთხოვან ჩარჩოში ჩასმული ტექსტები, სასურათე ცქერის ილუზიას ქმნის. ტექსტუალური გამოსახულება, ავტორის მიერ როგორც კინოსინამდვილის არსში წვდომის არხია ნაგულისხმევი. ტექსტის ბოლოს კი ვკითხულობთ: „გადაწყდა კინო ლენტი. ანონსი: დაუსრულებელი გაგრძელება რომანის".

ამ ტექსტს კინოსტადიებად დაყოფის გარდა ახასიათებს რიტმული პროზის ფაზებიც, მარცვლების თანაბარი გადანაწილება ე. წ. ხმოვნების სიმეტრია, როგორც კადრის კომპოზიციური გადანაწილების ტოლფასი მოვლენა. ყოველი ვრცელი წინადადების დასაწყისში უძღვის ერთი და სამსიტყვიანი წინადადება, სადაც მარცვლების რაოდენობა ყოველთვის დაცულია.

„აცოცდნენ. მთვარეს გაეცინა და მიიმალა" (კალაძე, 1925, 56).
„დაშორდნენ. ჩურჩულით ორღობეს გადაჰყვნენ". (კალაძე, 1925, 57).
„მეძინა. უეცრად მომესმა ძახილი". (კალაძე, 1925, 57).
„ბრძანა. მივყევი უთქმელად ფეხდაფეხ!" (კალაძე, 1925, 57).

კინონარატივისთვის დამახასიათებელი საგნობრივი მოხაზულობის აქცენტირების მეტაფორების ნაცვლად, გვხვდება საწინააღმდეგო არაფოტოგრაფიულ-ბინოკულარული ხედვის მონტაჟურ სტრუქტურაზე დაფუძნებული მეტაფორები: „სოფელი ამთქნარებს, ჩრდილოეთის ღრუბლები კვამლით დააწვა და მე მგონია ღმერთი ყალიონს ეწეოდა ღამიან დილით (კალაძე, 1925, 51). ღობის ნამტვრევი, – როგორც შრომით დაოფლილ დღეების მწარე მოგონება" (კალაძე, 1925, 52), „კედელს მიეყრდნობოდნენ მხურვალე ალერსით და ტუჩებს ალბობდნენ კოცნისფერ კოცნაში" (კალაძე 1925: 56). „სიჩუმე დინჯი, ჩაფიქრებული" (კალაძე, 1925, 58). ეს ტექსტი იმითაც არის საინტერესო, რომ ყველაზე ნაკლებად შეიცავს ექსპერიმენტულ გამოცდი-

ლებას, მწერალი ვერ გაყვებოდა ფუტურისტულ გამოცდილებას; არ გხვდება უზარმაზარი სასვენი ნიშნები და გრაფიკული გამოსახულება, მხოლოდ ჩარჩოში ჩასმული ტექსტებით ცდილობს ავტორი ბინოკულარული სიმეტრიული ნარატივის შექმნას.

ქართველი ფუტურისტები სილამაზის სიჩქარეს ადიდებდნენ, როგორც კინემატოგრაფიულ გამომსახველობით საშუალებას. სწორედ ამ ცვლადი გამოსახულების შექმნის მცდელობაა მოცემული „H2SO4“, სადაც კინოფირის აჩქარებული მოძრაობის სისწრაფის მეტაფორაა შექმნილი.




*ეს არის პერლოკუციური ლიტერატურული ტექსტი, რომელიც თავისთავში გამოკვეთილ კინონარატივის დიქტატს შეიცავს.*

კინოფირის საზღვრებში, კადრებად დაყოფილ ქვეხაზებში ჩაწერილი ტექსტები, აპრიორი აღიქმება, როგორც კინოფირის პროექტირებისას აღქმული ტექსტუალური გამოსახულება. ამ ტექსტს ფუტურისტების სიტყვებით რომ ვთქვათ, „კინემატოგრაფიული სამყაროს თავისებური ორიგინალური ხედვა და სმენა“ აქვს. ბერგსონის მიერ აღწერილი აღქმის შიდა მექანიზმი ამ ფუტურისტულ ტექსტში თვალსაჩინოა. ერთმანეთისგან თანაბარი ინტერვალით დაშორებული კადრები და საგნები სიბრტყეზე სხვადასხვა სივრცეში სასურათე განლაგებით მკითხველისთვის ერთიანად, მკაფიოდ, ნათლად აღსაქმელი ხდება. თითოეული დეტალი გამახვილებული ყურადღებით მსხვილი რაკურსით ახლო ხედში აღიქმება, სხვადასხვა სიშორის მანძილის მიუხედავად. ცნობილია, რომ ფუტურისტული კინემატოგრაფიული ხედვა ცალკეულ დროსივრცულ გადალახვას, ე. წ. საგანთა სივრცობრივ დაახლოებას ემყარება. ქართველი ფუტურისტი ავტორი ითვალისწინებს ადამიანის თვალის ფიზიოლოგიურ სტრუქტურას და მის მოძრაობას მკითხველის დინამიკურ ჩართვას სტატიკურ და ამავდროულად დინამიკურ პიქტოგრამულ ტექსტში (გელაშვილი, 2018, 165)

ასე შეეცადნენ ფუტურისტები შეეცვალათ მხატვრულ სიტყვათა ბმა კინემატოგრაფიული სიჩქარით. ლიტერატურას და კინოს ადრეული საწყისი პერიოდი ერთ საერთო ძირს მოიცავს, ფილმის შექმნა პროექციისა და მხატვრული ტექსტის წაკითხვიდან მიღებული იმპულსური წარმოსახვაც, ერთმანეთის მსგავს, შიდა გენეალოგიურ

სტრუქტურულ სისტემას შეიცავს. ბერგსონის აზრით, „ყოველთვის, როცა წარმოვიდგენთ ქმნადობას ჩვენ მოგვყავს მოქმედებაში რაღაც შიდა კინემატოგრაფიის მსგავსი. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ჩვენს ჩვეულებრივ შემეცნების მექანიზმს კინემატოგრაფიული ბუნება აქვს“ (ბერგსონი 1993, 298). ეიზენშტეინი აღნიშნავდა, რომ ლიტერატურისთვის კინო არის ხედვითი და ხმიერი აღქმის უშუალო მატერიალიზაცია. კინო თავიდანვე ლიტერატურული წარმოსახვების მატერიალიზაციათ აღიქმებოდა.

ბინოკულარული ნარატივი სხვა არაფუტურისტულ, მაგრამ მოდერნისტულ ტექსტებშიც შეიძლება დავინახოთ. ძიგა ვერტოვი წერდა: „ქაღალდის ფურცელზე რომ გამოვხატოთ დინამიკური ეტიუდები, საჭიროა მოძრაობის გრაფიკული ნიშნები“ (ვერტოვი, 2013, 22). „გაუმარჯოს დინამიკურ გეომეტრიას – წერტილთა, ხაზთა, სიბრტყეთა და მოცულობათა გარბენებს. გაუმარჯოს მოძრავი და მამოძრავებელი მანქანის პოეზიას, ბერკეტების, ბორბლებისა და ფოლადის ფრთების პოეზიას, მოძრაობათა რკინის ყვირილს, გავარვარებული ნაკადების თვალისმომჭრელ გრიმასებს. კინოკების პირველი საორგანიზაციო კრების სახელით“. (ვერტოვი, 2013, 23). მოყვანილი ამონარიდი ძალიან ჰგავს ქართველი და ზოგადად, ფუტურისტების ხედვას და მანიფესტურ სულისკვეთებას. ძიგა ვერტოვის და ეიზენშტეინის თეორიულმა და პრაქტიკულმა ინოვაციურმა შეხედულებებმა და კინოხერხებმა, უდიდესი გავლენა მოახდინეს არა მხოლოდ კინოს განვითარებაზე, არამედ მთელი მსოფლიოს ლიტერატურულ პროცესზე. ფუტურუსტული ტექსტები უნდა გავიგოთ ფუტურიზმის მსოფლმხედველობრივი სისტემების გავლით.

ქართული ფუტურიზმი სხვა მოდერნისტული მიმდინარეობების მსგავსად საბჭოთა დეკრეტით აიკრძალა და დასრულდა ოციან წლებში, ბევრი ხელოვანი კი 30-იანებში რეპრესირებული იქნა. ამგვარად, ცეცხლის მითოლოგემა მეოცე საუკუნის ოციან წლებში კინოტექნოლოგიების სახით სუბლიმირდა. კინოტექნოლოგიების დანერგვამ და კინოთეატრებში სიარულის რიტუალურმა კულტურამ ცეცხლის მაგიური დანიშნულება სულ სხვა კონტექსტში გააცოცხლა, ცეცხლის ალუზიამ ქართველი ფუტურისტების შემოქმედებაშიც იჩინა თავი. ფუტურისტული ტექსტში კინორიტმი და კინონარატივი თავისებურ გამოძახილს იძლევა ცეცხლის საკრალურ ბუნებასთან.

ალტე
უნივერსიტეტი

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ალხაზიშვილი 2021: შალვა ალხაზიშვილი – „დავით კაკაბაძის მხატვრობა“ წიგნში: ქართული ავანგარდიზმი.
2. ბელიაშვილი 2021: აკაკი ბელიაშვილი – „კონსტრუქციები“ წიგნში: ქართული ავანგარდიზმი.
3. 3.ბერგსონი 1993: ბერგსონი ანრი – „ცნობიერების უშუალო მონაცემები“, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი
4. გელაშვილი 2018: ლევან გელაშვილი – ფოტოგრაფიულ-ბინოკულარული ნარატივი ქართულ მოდერნისტულ ტექსტებში (დისერტაცია) თბილისი
5. გელაშვილი 2021: ლევან გელაშვილი – სტერეო კინო წიგნში: ქართული კინო 1920- 1930 წლებში. თბილისი.
6. ეიზენშტეინი 2013: ეიზენშტეინი სერგეი – „ინტელექტუალური მონტაჟი“ საზოგადოებრივი გამომცემლობა სა. გა თბილისი 2013 წ.
7. ეკო. 2015: ეკო უმბერტო – „მტრის ხატის შექმნა და სხვა ტექსტები“ გამომცემლობა დიოგენე.
8. ელიადე 1998: მირჩა ელიადე – „მითები კვლავ ცოცხლობენ და ინიღბებიან“ აფრა III.
9. ვერტოვი 2013: ვერტოვი ძიგა – „ადამიანი კინოაპარატით მანიფესტი სტატიები სასცენო ვარიანტები“ თბილისი.
10. კალაძე 1925: კალაძე კარლო – „ჩვენ“ ჟურნ. პროლემაფი წ. №2:.49-61
11. მირცხულავა 1924: „მერრეხი“: ბუმერანგი, ალ. მერრეხი: (ლექსები). – ტფ.,
12. რობაქიძე 2014: რობაქიძე გრიგოლ – „ომი და კულტურა წერილები ესეები ლიტერატურული პორტრეტები“ თბილისი
13. ჩერვინსკი 1992: ჩერვინსკი ალექსანდრე – „როგორ გავყიდოთ კარგი სცენარი სარფიანად წერის ოსტატობის სახელმძღვანელოების მიმოხილვა“ .ელექტრონული წიგნი.
14. ჩიქოვანი 2021: სიმონ ჩიქოვანი – „ახალი ხელოვნების ფაქტები“ წიგნში: „ქართული ავანგარდიზმი“.
15. Vogel 1974: Amos Vogel – film as a subversive art.
16. „$H_2SO_4$“, 1924.

# ფუტურიზმის კონცეფცია ზურა ჯიშკარიანის რომანში „საღეჭი განთიადები უშაქროდ“

**მზია ჯამაგიძე**
*ფილოლოგიის დოქტორი*
*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*
*ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
**Mzia Jamagidze**
*Doctor of Philology*
*Shota Rustaveli institute of Georgian Literature*
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
mzia.jamagidze@tsu.ge

## FUTURISM IN THE NOVEL „CHEWING DAYBREAK: SUGAR FREE“ BY ZURA JISHKARIANI

### Abstract

The novel, „Chewing Dawns: Sugar Free“ is the first novel by a modern Georgian writer Zura Jishkariani. The novel was published in 2018 and became success start for the writer.

The plot of the novel is developed against the background of the ongoing social and political events in Georgia and occasionally global political processes also come into the context. The author`s reflection of national and worldly realities is represented by the following sentence: „The reality was destroying long ago and every day the chaos leaks through its holes“. Therefore, there is a danger of cancelling this reality line what automatically means ending of our world. The characters of the novel discuss two options – the first is to keep the reality (i.e. time) in this exiting shape and protect it from the gods' attacks and the second one is related to the reformation vision – we must encourage and transform the time itself.

The goal of the present paper is to study how National Time, Teleological time and Ab-

solute time are represented and interconnected. We will discuss options to reconstruct the existing National time or create/generate a new time. The inter-relationships of Personal, National and Worldly realities within human consciousness and ways of reflecting on time are also discussed.

**Keywords:** Futurism, Theological Time, Secular Time, Simulation theories

* * *

დღესდღეობით ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ისევე როგორც მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მომავლის შესწავლა განსაკუთრებული ინტერესის საგანია. იქმნება არაერთი სამეცნიერო თეორია, კონცეფცია, მხატვრული პროდუქცია, თუ როგორი შეიძლება იყოს მომავლის ადამიანი ან სამყარო.

ცხადია, მომავლის შესახებ წარმოდგენები და თეორიები გარკვეული სამეცნიერო მიღწევებისა თუ ფილოსოფიურ/მსოფლმხედველობრივი კონცეფციების გათვალისწინებით იქმნება. ამიტომ ბუნებრივია, იმისათვის რომ მომავლის შესახებ გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ, პირველ რიგში დროის ფენომენი მისი აღქმისა და გააზრების პროცესი უნდა გავითვალისწინოთ. დღესდღეობით დროის შესახებ თანამედროვე კვლევებში დროის გაგების დომინანტური აღქმა იმგვარია, რომ დრო არის ე. წ „ცარიელი", რაც გულისხმობს იმას, რომ დრო აბსოლუტურად ნეიტრალური, გულგრილი, განუსაზღვრელია და არსებობს თავისთავად[1]. (Teylor, 2006, 58) ამიტომ არჩევანი კაცობრიობაზეა, ვინ როგორ გააშინაარსებს მას. შესაბამისად, შექმნილია დროის გაშინაარსების გარკვეული დომინანტური რელიგიური, ფილოსოფიური, მეცნიერული და სხვა მოძღვრებები.

შეიძლება ითქვას, რომ დასავლურ ცივილიზაციაში არსებობს დროის ორი დომინანტური აღქმა. ერთი ესაა დროის თეოლოგიური გააზრება, რომლიც მას ბიბლიურ და ქრისტიანულ მსოფლმხედველობრივ ჩარჩოში იაზრებს და მეორეა დროის სეკულარული გააზრება, რომლიც ძირითადად თანამედროვე მეცნიერული და ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით არის შექმნილი.

დროის თეოლოგიური გააზრების მიხედვით, ჩვენი სამყარო, რომელიც ამავდროულად ჩვენი ცნობიერების დროით ჩარჩოსაც აფუძნებს, მოქცეულია წინასწარმე-

---

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ეს მოსაზრება გარკვეულწილად დროის ჭოსტიკური გააზრების მსგავსია.

ტყველური დროისა და აპოკალიფსური დროის ჩარჩოში. თანამედროვე სამყაროს დროის ათვლა წინაწარმეტყველური დროით იწყება და გრძელდება მესიის მოვლინებით. მესიის მოვლინების შემდგომ კი წინასწარმეტყევლის ადგილს მოციქული იკავებს. აგამბენის განმარტებით, წინასწარმეტყველსა და მოციქულს შორის, განსხვავება სწორედ ის არის, რომ წინასწარმეტყველი საუბრობს მომავლის დროზე, ამიტომ მესიის მოსვლის შემდგომ მისი ფუნქცია ამოწურულია. ამის შემდგომ კი იწყება უკვე ახლანდელი – მოციქულის, ე.წ მესიანური დრო. მესიანური დროის თვისება არის, რომ ის კუმშვადი და განლევადია, დასაწყისიდანვე დასრულებას იწყებს. ამავდროულად, აგამბენისეულ ინტერპრეტაციაში დროის იმანენტურ თვისებას წარმოადგენს არა მისი ქრონოლოგიური აღქმა, არამედ დრო ესაა უთვლადი დრო ე. წ კაიროსი. (Agamben, 2005, 2) მსგავსადვეა ბიბლიური დრო ინტერპრეტირებული ზურაბ კიკნაძის წერილში „ადამიანი ბიბლიურ დროში,“

„ბიბლიის თანახმად, აქტუალურ დროს აქვს როგორც დასაწყისი, ასევე აქვს თავისი დასასრული. ბიბლიის იმ ადგილიდან, სადაც ვკითხულობთ, რომ დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა (დაბ. 1:1), იმ ადგილამდე, სადაც ვკითხულობთ, რომ აღარ იქნება დრო (გამოცხ. 10:6), მოქცეულია კოსმოსისა და ისტორიის მთელი მდინარება, რომელიც მიისწრაფვის დასასრულისაკენ. ეს არის პერიოდი, რომლის დასასრულს იქმნება ახალი კოსმოსი, განახლებული ბუნება („ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგან პირველი ცა და პირველი მიწა გარდახდა“, გამოცხ. 21:1), ანუ ისეთი ქმნილება, რომლის არსებობა დროული განზომილებით არ არის განპირობებული. როცა შეწყდება ის წარმავალობა, რომელიც ამ ორ მიჯნას შორის არის მოქცეული, ახალი ქმნილება მარადისობაში აღმოჩნდება. (კიკნაძე, 2009)

აპოკალიფსური დროის დადგომამდე დროის ეს ნარჩენი, რომელშიც ვცხოვრობთ თანმიმდევრული წესრიგის ან სახეობრივი სისტემის სახით არსებობს, რომელთა მიმართებითაც კაცობრიობა საკუთარ თავს განსაზღვრავს და იდენტიფიცირებას ახდენს ორი ალტერნატივით – ან იყოს რჩეული (გამორჩეული)[1] ან კიდევ მიიღოს

[1] ბიბლიის მიხედვით, რჩეულობის იდეა ისრაელს, ებრაელ ერს მიემართება. მაგრამ ამ შემთხვევაში „ისრაელი“ და „ებრაელი“ ატარებს არა გეოგრაფიულ ან ეთნიკურ შინაარსს, არამედ ეს არის დროითი განცდა სამყაროსი. ზურაბ კიკნაძის მიხედვით, „ეგვიპტის ან უდაბნოს გახსენებისას, ითქმის არა სადაც, არამედ როდესაც („როცა ყრმა იყო ისრაელი და მიყვარდა იგი“, ოსია 11:1). ბერძნული კოსმოსისგან განსხვავებით, ბიბლიური სამყარო უფრო დროში არსებობს, ვიდრე სივრცეში. კოსმოსი, სადაც ბერძენი ცხოვრობს, დასრულებულია; მაგრამ სოფელი, სადაც ძველი აღთქმის ადამიანი მოძრაობს, ჯერ კიდევ არ დასრულებულა, და განაგრძობს ქმნადობას, ანუ

და გაიზიაროს მესიანური მოძღვრება. ამის გათვალისწინებით, აგამბენის ანალიზის მიხედვით, შეუძლებელია მესიანურ დროში „მთელი და ნაწილი ერთმანეთს დაემთხვას“ (Agamben 2005, 55), რაშიც იგულისხმება ის, რომ შეუძლებელია ყველამ ერთნაირად იფიქროს, ერთნაირად იმოქმედოს, ყველამ ერთნაირი არჩევანი გააკეთოს და ა შ. ამიტომ დროის გადამწყვეტ ყოველ ისტორიულ მომენტში, ამ დროში მცხოვრები ხალხი, ყველა ადამიანი, ინდივიდუალურად საკუთარ არჩევანს აკეთებს – განსაზღვარვს საკუთარ თავს არსებულ დროსთან მიმართებით. თუ ქრისტიანობის მიხედვით, ქრისტიანი ადამიანი არ ცდილობს გაექცეს დროს და მის ამოცანას წარმოადგენს არა გარდაქმნას ეს დრო, არამედ ისწავლოს ცხოვრება შექმნილ დროში, ამ რეალობაში. ქრისტიანები ცდილობენ, გააშინაარსონ ეს დრო და ქრისტიანული იდეების ერთგულებით გადაიქცნენ იმ ხალხად, ვისაც სჯერა, რომ ისტორიაში ქრისტეს გამოცხადება მარადიულობას შესაძლებელს გახდის. ამ შემთხვევაში ქრისტიანებისთვის საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება არა მარადიულობას, არამედ სიკვდილს, რადგან სიკვდილი დროითი თვალსაზრისით აწესრიგებს სიცოცხლეს და შესაძლებელს ხდის ჩვენი ცხოვრება ამბებად და ნარატივებად ვაქციოთ. ამგვარად, ტრადიციულ ქრისტიანულ აზროვნებაში სწორედ სიკვდილი სძენს ჩვენს სიცოცხლეს ღირებულებას. თუ არ მოვკვდებოდით, ჩვენი ამბებს არ ექნებოდა ლიმიტი/დასასრულები და ჩვენს ურთიერთობებსაც არ ექნებოდა ტრაექტორია. დასასრული (ზოგადად დასასრულები), რომ ყოველთვის მნიშვნელოვანია, ამას ადასტურებს აპოკალიფსის მნიშვნელობაც დროის თეოლოგიურ გაგებაში. სიკვდილი გვაიძულებს ვიყოთ ის, ვინც ვართ, მაგრამ არ ვიქნებოდით, თუ ვიცხოვრებდი ისე, დროს რომ არ ჰქონოდა შეზღუდვა. ამდენად, ჩვენ ვართ „დროით დაჭერილები“ დროის ტყვეობაში, დრო გვიქმნის შესაძლებლობას, რომ ჩვენი ცხოვრება იყოს გაშინაარსებული და მოთხრობილი. (Hauerwas, 2016, 283) მსგავსადვე მსჯელობს ზურაბ კიკნაძეც:

„მესიანისტური მოლოდინი, რომელიც ჯერ კიდევ ბაბილონის ტყვეობამდე დაეუფლა ძველი აღთქმის ცნობიერებას, რომ მოვა მესია-მხსნელი და ქვეყნისა და ხალხის გამოხსნის აქტით დაასრულებს ისტორიას, ყოველ შემთხვევაში, ისტორიულ პერიოდს ახალ საუკუნეში შესასვლელად, თითქმის ყველა წინასწარმეტყველის ძირითადი თემა ხდება. დრო, დროის განმავლობა, გარკვეულად იძენს მიზნობრივ ხასიათს, ესქატოლოგია ანუ დასასრულის მოლოდინი ტელეოლოგიურ საზრისს იძენს: ვინაიდან თუ ისტორიას აქვს საზრისი და მიზანი, იგი დასასრულში უნდა გამოჩის პროცესშია, ის გარდაქმნას ელის“ (კიკნაძე, 2009)

ნდეს ამ კონცეფციით, დაუსრულებელი ისტორია უმიზნო და უსაზრისოა. (კიკნაძე, 2009)

ხოლო იმ ადამიანების (ხალხთა) არჩევანი, ვინც გადაწყვეტს რომ რჩეული იყოს, თავსდება სეკულარული დროის აღქმის ჩარჩოში. სეკულარული დროის გააზრების მიხედვით, ჩვენ კაცობრიობა ვართ ისტორიული დროის მონაწილეები და ჩანერგილნი ვართ ისეთ სამყაროსეულ ისტორიებში, რომლებიც ჩვენ არ აგვირჩევია, რეალობაში, რომლის ავტორები ჩვენ არ ვართ, ამიტომ ადმიანებს მუდმივად უწევთ შეეწინააღმდეგონ ცდუნებას, რომ დრო, რომელშიც ცხოვრობენ, გარდაქმნან. სწორედ ამის საფუძველზე იქმნება დროის თანამედროვე სეკულარული გაგება ე. წ. კოსმოპოლიტური დრო. დროის სეკულარული გააზრების მიხედვით, სადავოა, რატომ ან როგორ უნდა განისაზღვროს ყველა დრო მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმით. მათ მიაჩნიათ, რომ ქრისტიანებმა კი არ შექმნეს დროითი ცნობიერება, არამედ მათ მხოლოდ გააჩინეს ერთ-ერთი შესაძლებლობა ქრისტეს მოვლინებით და მისი აღდგომით. თუმცა მათი აზრით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი ამბავია სხვა მრავალ ამბავთა შორის, ამიტომ თანამედროვეობის დროითი ცნობიერება გულისხმობს განსხვავებულობის აღიარებას და სხვა ალტერნატიული გზებისა და არჩევანების დაშვებასაც. სეკულარული დროის გააზრების მიხედვით, დრო ესაა ცნობიერების მოძრაობა საზღვრების გარეშე ამქვეყნიურ სივრცეში, მათთვის დრო არის უსასრულოდ მოძრავი და ამ თვალსაზრისით, დრო და სივრცე ორივე შეუზღუდავი და დაუსაზღვრავია. შესაბამისად, ისინი ცდილობენ ეს დრო ინტერკულტურული კონტაქტებით სამყაროსეულ სივრცეში მოძრაობით გააშინაარსონ[1].

„თანამედროვეები ცხოვრობენ – მრავალი ისტორიით დასახლებულ ისტორიულ სივრცეში, მაგრამ ჩარჩოს გარეშე. ჩარჩო, რომელიც საშუალებას მისცემს მათ საკუთარი ცხოვრება შინაგან ან გარეგან თანმიმდევრულ თხრობას დაუქვემდებარონ არ გააჩნიათ. მათ მიაჩნიათ, რომ ამგვარად შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი დროითი თვითშეზღუდვა. ამის გათვალისწინებით, თეოლოგიური თვალსაზრისით, ისინი დროის გარეშე მცხოვრები ხალხია, რომლებიც ქმნიან შესაძლებლობებს დროის მეშვეობით. მათთვის დროს აღარ აქვს დროის ხასიათი. ესაა

[1] ზურაბ კიკნაძის ანალიზთაც, ბიბლიური დროის საბოლოო მიზანი დრო-სივრცის გაერთმნიშვნელოვნებაა. „მიუხედავად ბიბლიის ტექსტის დროისმიერი განმსჭვალულობისა, დრო არ არის თვითმიზანი, მისი მიზანი მარადიული სივრცის მოპოვებაა, იმ სივრცის, სადაც ყველაფერი, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება, ერთჟამობაში მოექცევა. დრო მხოლოდ საშუალებაა ამის მისაღწევად. დრო მწიფდება ამ სივრცისთვის და ამწიფებს ამ სივრცეს.

უკვე კოსმოპოლიტური ე. წ „უდროო დრო“. (Hauerwas, 2016, 285).

ამ თვალსაზრისით, ალბათ, საინტერესოა, რა პერსპექტივებია შემოთავაზებული სამყაროს მომავლის შესახებ კოსმოპოლიტური „უდროო დროის“ მეშვეობით. მეცნიერებაში ამგვარ სიმულაციურ თეორიებს სამ ჯგუფად ყოფენ: ა. შესაძლოა, ჩვენ ვიმყოფებით ტრანსჰუმანური ან პოსტჰუმანური დროის მიჯნაზე; ბ. კაცობრიობის გონების აბსოლუტური უმრავლესობა მიეკუთვნება სხვა ორიგინალური რასის მოწინავე შთამომავლების მიერ იმიტირებულ ადამიანურ გონებას და ჩვენ სავარაუდოდ, ვიმყოფებით უფრო სხვათა მიერ იმიტირებულ გონებაში, ვიდრე ორიგინალ ბიოლოგიურ გონებაში; გ. კაცობრიობა კომპიუტერულ სიმულაციაში ცხოვრობს[1]. (Bostrom, 2003, 1) დღესდღეობით, ეს დაშვებები ჯერჯერობით ჰიპოთეზებია, თუმცა ფუტუროლოგები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, რომელიმე ჰიპოთეზა რეალურიც აღმოჩნდეს. ასე რომ ამგვარი მეცნიერული ჰიპოთეზები და მიღწევები საინტერესო ინსპირაციის წყარო ხდება ხოლმე შემოქმედი ადამიანებისთვისაც. ვის როგორ წარმოუდგენია ახალი სამყარო, „ახალი ცა და მიწა“.[2]

ამჯერად ჩვენთვისაც ამ თვალსაზრისით არის საინტერესო ზურა ჯიშკარიანის რომანი „საღეჭი განთიადები უშაქროდ“. რომანი გარკვეულწილად ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ყველა სიმულაციურ თეორიას აირეკლავს ტექსტის ძირითადი თეზაა, რომ „რეალობა კარგა ხანია დაინგრა და მისი ხვრელებიდან ყოველდღიურად ჟონავს ქაოსი.“ ანუ ეს მესიანური დრო, რომელშიც ვცხოვრობთ გვინდა თუ არა, დაცარიელებულია შინაარსისაგან. ამიტომ ბუნებრივია, არსებობს განცდა, რომ მესიანური დრო ამოწურულია და მოდის აპოკალიფსური დრო. შესაბამისად, საღვთისმეტყველო წინასწარმეტყველების წიგნების ლოგიკის მიხედვით, ეს რეალობა უნდა დაინგრეს და ჩამოყალიბდეს სრულიად ახალი ცნობიერება, ახალი დრო. ნიშანდობლივია რომ ავტორისთვის სივრცე, რომელსაც მისი ცნობიერება სწვდება და რომლის გარდაქმნასაც ცდილობს, დასაზღვრულია და კონკრეტულ პოსტსაბჭოთა გეოგრა-

---

[1] ამ თეორიების რეპრეზენტაციაა ცნობილი კინოსურათი „მატრიცაც“ (1999). რეალობა- ჩვენი სამყარო ეს არის მართული ვირტუალური სამყარო, ერთგვარი სიმულაცია და მთავარი პერსონაჟი ნეო იბრძვის, რომ თავი დააღწიოს მას; ამ ჰიპოთეზას იზიარებს ილონ მასკიც, რომ ჩვენ შესაძლოა კომპიუტერულ სიმულაციაში – მატრიცაში ვცხოვრობთ. მისი მოსაზრე-ბით, შესაძლოა, ჩვენი რეალობა, ერთგვარი ვიდეოთამაში იყოს, რომელიც სხვა სამყარო-დან იმართება. ამიტომ მასკის აზრით, იმისთვის რომ არ გავნადგურდეთ, კაცობრიობის მიზა-ნი უნდა იყოს მცდელობა, თავი დავაღწიოთ ამ სიმულაციას.

[2] აიზეკ აზიმოვი, სტანისლავ ლემი, ძმები სტრუგაცკები, ჰერბერტ ულესი, არტურ კლარკი, ფილპ დიკი, კარლ ჩაპეკი და მრავალი სხვა.

ფიულ სივრცეს მოიცავს. შესაბამისად, ავტორის ახალი დროის კონსტრუირების მცდელობა გულისხმობს არა უნივერსალური მასშტაბით სამყაროს გარდაქმნას, არამედ -კონკრეტული (პოსტსაბჭოთა) გეოგრაფიული სივრცის. ავტორის პოზიცია ტექსტის მიხედვით არის, რომ ჩვეულებრივი ადამიანური გონებისთვის დრო/სივრცის დაძლევა შესაძლებელია. ამის შესაძლებლობას კი ადამიანური გონებისთვის, ავტორის აზრით, თრიფები ქმნის. ამგვარ თრიფებში შესაძლებელია შეგხვდეს როგორც დავით აღმაშენებელი, ასევე ვინმე ჩვენს დროში მცხოვრები. ანუ ავტორის აზრით, ნარკოტიკების ზემოქმედების შედეგად სტიმულირებული გონება ადმიანის ცნობიერებას შესაძლებლობას აძლევს დაძლიოს დროის ქრონოლოგიური ჩარჩო და იმოგზაუროს ე. წ. „უდროო დროში" მარადიულობაში, სადაც დრო -სივრცე ერთმნიშვნელოვანი ხდება და მარადიული აწმყოს სახით არსებობს.

ავტორის აზრით, არავის სჯერა ამ სამყაროს რეალურობის. ამ არარეალურ სამყაროში კი ერთ-ერთ სიმულაციურ რეალობად საბჭოთა რეალობა მოიაზრება, ამ რეალობის ნამდვილობის ეჭვები, ტექსტის მიხედვით, ნიკიტა ხრუშჩოვს აწუხებს. „მას უყვარდა აპოკალიფსის მოლოდინი და მეუღლესთან საუბარი სამყაროს არარეალურობაზე". სიმულაციური სამყაროს რეალობა ამ სივრცეში მცხოვრები საზოგადოების წევრებისთვის ერთგვარ ქვე-რეალობებად იყოფა. საქმიანობების მიხედვით, რეალობას ყველასთვის სხვადასხვა მოცემულობა ქმნის. მაგალითად, „ნარკოდეპარტამენტისთვის სამყარო დაყოფილია ნარკომარშრუტებით, რეალიზაციის პორტალებით და ა.შ; ეკონომიკური დანაშაულის დეპარტამენტისთვის სამყარო დაყოფილია ლეგალურ და არალეგალურ ფულად; კაგებეს ყველაზე გასაიდუმლოებულ ორგანიზაციაში კი სჯეროდათ, რომ ჩვენი სამყაროს თაიმლაინი ხაზია, ხაზი, რომლიც დაიწყო და უსასრულობაში გრძელდება[...] მათ ასევე დაადგინეს, რომ არსებობს სამყაროების უსასრულო მრავალსახეობები, ხოლო სამყაროების იერარქიაში ჩვენი სამყარო საკმაოდ დაბალ ადგილას აღმოჩნდა". (113-115) უფრო კონკრეტულად, ჩვენი რეალობა სხვა ორიგინალი რეალობის პირატული ვერსია აღმოჩნდება, რომლის შექმნის მიზანი დაუდგენელია. ეს კი ავტორის თქმით, ნიშნავს იმას, რომ მას ვიღაც იყენებს გარკვეული ექსპერიმენტისთვის. ამის დამადასტურებელი მტკიცებულება კი არის ის, რომ „დროდადრო ჩვენი რეალობის თაიმლაინს აკითხავენ გარკვეული ალგორითმები, თუ გეიმერები, ხალხში ცნობილები როგორც ღმერთები, იმისთვის, რომ შეამოწმონ მისი ვითარება, კორექტირება შეიტანონ ან უარესი – გააუქმონ რეალობის ეს ხაზი". (ibid)

რეალობის ჩვენეულ ვერსიაში ორი მოსაზრება უპირისპირდება ერთმანეთს.

ერთი ნაწილი – „რეალობის მცველები“ ამტკიცებენ, რომ ჩვენ უნდა გავანადგუროთ ეს ალგორითმები, იმისთვის რომ შევინარჩუნოთ რეალობის ეს ხაზი; ხოლო მეორე ნაწილი კი, რომელიც „რეფორმატორების“ სახელით არის ცნობილი, ამტკიცებდა, რომ ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ ინტერვენციებს გარედან, რათა განახლდეს, „დააფდეითდეს“ სინამდვილე. ტექსტი შესაძლებლობას გვაძლევს ორნაირად წარმოვიდგინოთ რეალობის განახლების კონცეფცია, ერთი მხრივ, თუ სამყაროს გადატვირთვა შესაძლებელია, ეს შესაძლოა, იყოს ჩვენი ემპირიული სამყაროს არანამდვილობაზე მიმანიშნებელი, რაც სწორედ ჩვენ მიერ ზემოხსენებულ სიმულაციურ სამეცნიერო თეორიებს ეხმიანება, და მეორე მხრივ, ეს შესაძლოა, იყოს ამ უსასრულო სამყაროში ფორმირებული დროის კონკრეტული ქრონოლოგიური ხაზი. ნარატივი, რომელმაც არსებობის გარკვეულ ეტაპზე კომუნიზმის იდეოლოგიის მეშვეობით შექმნა ახალი რეალობა – საბჭოთა სინამდვილე, ხოლო პოსტსაბჭოთა ეტაპზე სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნა საბჭოთა სისტემის შიგნით შექმნილი ძალაუფლების სტრუქტურებისა და იერარქიების ფორმით, რომლის სათავეში მყოფ პირებსაც, ცხადია, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ამ ძალაუფლების დათმობა არ სურთ, ამიტომ მაქსიმალურად ცდილობენ არსებული რეალობის შენარჩუნებას და ებრძვიან რეფორმატორებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დროის თეოლოგიურ გააზრებაში მესიანური დროის თვისებას მოლოდინი წარმოადგენს, რომელიც დროის განლევადობას უწყობს ხელს და ამავდროულად საზრისსაც ანიჭებს მას. ამიტომ ჩვენს რეალობაშიც არსებობს მესიის მეორედ მოსვლის გარდუვალი მოლოდინი. „როცა ვარსკვლავების განლაგებით და კომპიუტერული გამოთვლებით დაადგინეს, რომ მეორედ მოსვლა იწყებოდა, ორივე ეს გუნდი აქტიურ ფაზაში გადავიდა. მცველებს სჭირდებოდათ ინფორმაცია, რომ შეეჩერებინათ ალგორითმი, რომელიც მეორედ მოსვლის სახელით არის ცნობილი და რეალობის ტოტალურ რედიზაინს ითვალისწინებს და რეფორმატორებისთვის ეს იყო შანსი ერთხელ და სამუდამოდ დაენგრიათ ეს რეალობა და კონტროლის ციხესიმაგრე“ (ibid). თუმცა სიუჟეტის მიხედვით, სამყაროს შეცდომის გამო აპოკალიფსური დრო ნაცვლად ჩვენი რეალობისა კიბერსამყაროში იწყება. საინტერესოა ასევე, რომ თუ აქამდე ტექსტის მიხედვით, აქცენტი ევრაზიულ (პოსტსაბჭოთა) სივრცეზე კეთდებოდა, კიბერსამყაროში დაწყებულმა მეორედ მოსვლამ აპოკალიფსური დრო მთელ დედამიწაზე განავრცო – გასაჯაროვდა ფეისბუქის ყველა მესიჯი, მსოფლიოო ლიდერების მიმოწერები, „ყველამ ყველაფერი გაიგო ყველაზე,“ „ილონ მასკმა დედამიწა დატოვა,“ და ა. შ. თავისთავად ავტორის ის დაშვება,

რომ „სამყაროს უნივერსალურ გონში შეცდომა გაიპარა“, რამაც მესიის მოვლინება ციფრულ სამყაროში გამოიწვია, ამყარებს იმ ჰიპოთეზას, რომ არა მხოლოდ რეალობის ის ხაზი, რომელშიც პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრები ხალხების ცნობიერება მიედინება, არამედ გლობალურად სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, სიმულაციაა და საიდანღაციდან იმართება. „მიუხედავად იმისა რომ რომანში რამდენიმე რეალობას ვეცნობით, მკითხველი, ვერსად იპოვის სინამდვილეს/მის ძებნას არც აქვს აზრი, რადგან ნამდვილობას მწერლის მიერ აღწერილი ვერცერთი რეალობა ვერ იძენს“ (გელაშვილი, 2018, 68-69). სიუჟეტის მიხედვით, თითქოს ავტორი დროის სეკულარული გააზრების ლოგიკას მიჰყვება, თუმცა მის მიერ წარმოსახული რეალობა, მაინც თეოლოგიურ დროით ჩარჩოში თავსდება, რაც მიუთითებს იმას, რომ მიუხედავად საზოგადოების გარკვეული ჯგუფების მცდელობებისა, თავი დააღწიონ სამყაროს თეოლოგიური აღქმის ჩარჩოს, საბოლოოდ ყველა მაინც თეოლოგიურ ჭრილში განიხილავს მას, რაც გარკვეულწილად ლოგიკურიცაა, რადგან საკმაოდ ძნელია სამყაროს მოწყობისა და აგების სხვა კანონზომიერებისა და დამაჯერებელი მსოფლმხედველობრივი პოზიციების ჩამოყალიბება სამყაროსა და ადამიანების შესახებ, თუმცა ცხადია, ამგვარი მცდელობები არსებობს.

თეოლოგიური ლოგიკის მიხედვით კი, გვჭირდება მხსნელი, მესია, რომელმაც თავისი მსხვერპლშეწირვით უნდა იხსნას სამყარო. ვინ შეიძლება იყოს მესია ჩვენს რეალობაში? სახარება გვეუბნება, რომ ბოლო ჟამს იქნებიან „უკანასკნელნი – პირველნი, და პირველნი – უკანასკნელნი, ვინაიდან მრავალნი არიან ხმობილნი და მცირედნი – რჩეულნი“. (მათე) ამ ლოგიკით, მესია ამ საზოგადოების ყველაზე მარგინალურ ქვედა ფენაში უნდა ვეძებოთ. ტექსტის მიხედვით, ამგვარ მარგინალურ ჯგუფს ნარკოტიკების მომხმარებლები ქმნიან, რომლებიც „ყოველთვის ცხოვრობდნენ თბილისში, როგორც ადრეული ქრისტიანები კატაკომბებში – დევნილები ხიშნიკი პოლიციელებისგან, რომელთაც კანონი მხოლოდ ის სიტყვა ჰგონიათ, რომელიც ჩაგვრის პრივილეგიას განიჭებს, დევნილები „საზოგადოებრივი მორალით“ და ქრისტიანობით ბოლო-ბოლო დევნილები ამ პოსტსაბჭოთა აუშენებელი ქვეყნის აურით.“ (64) რეფორმატორების აზრით, მხოლოდ ნარკოტიკების მომხმარებლების გონება გაუძლებს კიბერსივრცეში გადასვლას და იქიდან ჩვენს რეალობაში მესიის გადმოყვანას ანდროიდის სხეულში. ამ შემთხვევაში მათ ერთგვარი ავატარის ფუნქცია ენიჭებათ. სწორედ ამ მისიას აკისრებენ მთავარ პერსონაჟს „ჩუჟოის.“ ტექსტის მიხედვით, ეს ექსპერიმენტი ამართლებს. საინტერესოა, როგორი აღმოჩნდება ახალი დროის ჯერ კიდევ განუსხეულებული მესია, ვინაც „ჩუჟოის“ დახმარებით ხორცი უნდა შეისხას. ავ-

ტორის ცნობიერებაში ის ქალის – შივას სახით შემოდის, რომელიც მის სხეულში მოხვედრის შემდეგ ანდროიდის სხეულში გადასვლას არ მოისურვებს[1]. ეს ერთგვარი მოულოდნელი წინააღმდეგობაა, რადგან რეალობის ჩვენს ვერსიაში ამგვარი გათვლა არსებობს, რომ მესიამ წინასწარ შერჩეული რამდენიმე ანდროიდის სხეულიდან რომელიმეზე უნდა გააკეთოს არჩევანი. თუმცა რადგან ის ანდროიდის სხეულში გადასვლაზე უარს ამბობს, ამიტომ მესია ერთგვარ ტრანსექსუალად ბრუნდება ჩვენს რეალობაში. „ის დაბრუნდა ახალ ჭურჭელში, ჭურჭელში, რომელიც არავის სჭირდება, ვინაიდან ნათქვამია – პირველნი გახდებიან უკანასკნელნი და უკანასკნელნი გახდებიან პირველი – ვთქვი მე და ჩვენი გუნდის გაოგნებულ სახეებს რომ შევხედე, მივხვდი, მეშიახი მე ვარ. მან ჩემი სხეული აირჩია თავის ჭურჭლად და ახლა მე უცნაური ნაზავი ვარ – ყოფილი ფსიქონავატი, ამათთვის უკანასკნელი ნარკომანი, რომელიც თან გოგოა, რომელსაც ატხადნიაკი ეწყება; თან ტრანსი ცირკის მიმდებარე ტერიტორიებზე რომ კლავენ ჯიგიტები და თან ღმერთი, რომელსაც მსოფლიო ელოდა.“ (190) ცხადია, ახალი რეალობის საწყისი მოცემულობა ავტორსაც ბანალურად ეჩვენება და თავადვე ფიქრობს: „როგორი ზედმეტად პოლიტკორექტული ფინალია.“ და რადგან ავტორი გეიმერებად (რეალობის შემოქმედებად) სწორედ შემოქმედ/ხელოვან ადმიანებს მიიჩნევს, თავად მათ უტოვებს შესაძლებლობასა და არჩევანს, გადაწყვიტონ, რა განაჩენს გამოუტანენ ამ ახალ დროს, ახალ რეალობას. ავტორი კი სავარაუდოდ, ალბათ, სწორედ ბანალურობისა და პოლიტკორექტულობის გამო მის განადგურებას გადაწყვეტს. შესაბამისად, ტექსტი აპოკალიფსის მარცხით მთავრდება. მეუფე იობი რეფორმატორებში რეალობის მცველების მიერ შემოგზავნილი აგენტი აღმოჩნდება და ახალ მესიას იარაღს ესვრის. „ვგრძნობდი, რომ შემეძლო ამ ტყვიის შეჩერება მარტივი მზერით, მაგრამ არ შევაჩერე.“ ავტორის მოსაზრებით, „ამ სამყაროს არ უნდა გადარჩენა ამ თამაშში ყველაფერი გაფუჭებულია,“ თუმცა სწორედ ეს მსხვერპლი იძლევა იმის პერსპექტივას, რომ ნამდვილი აპოკალიფსი ოდესმე აუცილებლად დადგება. „მეშიახი კი აუცილებლად უნდა მოკვდეს. ეს ჩემი სტილია. მხოლოდ ასეთ სიკვდილს აქვს ძალა -შვას რევოლუციები. თან ავატარები შეიძლება მოკვდნენ, თუმცა გეიმერები არ კვდებიან“.

ბოლოსკენ ალბათ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ფუტურისტული თეორიების მოშველიებით ახალი რეალობის შექმნა პირველი მცდელობა არ გახლავთ ქართულ

[1] საინტერესოა, მესიის მიერ ანდროიდის სხეულის უარყოფა ხომ არ გულისხმობს ავტორის სკეპტიკურ პოზიციას ტრანსჰუმანურ ან პოსტჰუმანურ ცივილიზაცის მომავლის შესახებ.

ლიტერატურაში. ფუტურისტული გამოცდილება ლიტერატურასა და მხატვრობაში გასული საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა. ქართველ ფუტურისტებს 1922 წელს აქვთ გამოცემული მანიფესტი „საქარათველო ფენიქსი,“ 1924 წელს შეიქმნა ფუტურისტული ჟურნალი „H2SO4“. იმ თაობის ფუტურისტების მცდელობებიც მიმართული იყო ახალი რეალობის შექმნისკენ, ახალი სამყაროს რეალობის კონსტრუირების მთავარ ინსტრუმენტად კი ენა ესახებოდათ. თუმცა, ცხადია, სინამდვილისადმი პროტესტისა და რეზისტენტობის ეს მცდელობაც მარცხით დამთავრდა, ეს გაერთიანება დაიშალა და მათმა წევრებმა ან შემოქმედებითი საქმიანობა შეწყვიტეს ან საბჭოთა ხელოვანების რიგებში გადაინაცვლეს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. გელაშვილი ლევან, „საღექი განთიადების ნარატივი“. კრიტიკა №12-13, 2017-2018 წწ., 67-80.
2. კიკნაძე ზურაბ, „ადამიანი ბიბლიურ დროში“, 2009 წ. https://burusi.wordpress.com/2009/10/08/zurab-kiknadz/?fbclid=IwAR08UewY_GQQ1bdUPCm-aEWcDJupL4Dj9poFwqtwMOLVh4QnYVDE0sasip8
3. ჯიშკარიანი ზურა, „საღექი განთიადები Sugar Free“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2017.
4. Agamben, G.; The Time That Remains: A Commentary on the Letter to the Romans, Stanford, CA: Stanford University Press, 2005.
5. Bostrom Nick, „Are you living in a computer simulation?“ Philosophical Quarterly , Vol. 53, No. 2011, 2003 y. pp. 243-255.
6. Hauerwas, Stanley, Theological/Worldly. in Time: A Vocabulary of the Present, Edited by Joel Burges and Amy J. Elias, New York: New York University press, 2016 y. pp. 281-293.
7. Taylor Charles, „A Secular Age“, Belknap Press of Harvard University Press, 2007.

# ირანის მძევლების კრიზისი

**ლაშა ბოლქვაძე**

*ალტე უნივერსიტეტი*

*სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრანტი*

**Lasha Bolkvadze**

*Alte University*

*Master of Social Sciences*

Lashabolqvadze1234@gmail.com

## Iranian Hostage Crisis

### Abstract

The invasion of Iranian students in the USA embassy, as Ayatollah Khomeini called it „the second revolution“, has become a conditioning factor of foreign policy of some countries towards post-revolutionary Iran.

The crisis of hostage according to its development has become a national failure of Americans in the near East, but for the Iranians it is a national holiday even today. Without realizing this fact, it is impossible to understand relationships between Iran and the USA and the tension between them.

In one hand the goal of our article was to Analise the dynamics all of these events, that caused hostage -taking of USA citizens by Iranian students and then get them free, also to discuss about the strategies that was used by American authorities to free the hostages. In one hand the crisis of hostages is a sign of terrorism, and on the other hand it is a symbol of releasing from imperialistic claws of America. Some of the researchers thinks that this fact was a failure of American military and foreign policy in the near East, but for some researchers it was simply a good experience, which influenced on developing of USA foreign policy positively. In the sources which we explored (see bibliography) the dynamic of crisis and the ways of eliminating it are often represented differently. We decided to reconciliate these sources and by analyzing them to represent historical reality with its causes and consequences.

**Keywords:** Iran, Hostage Crisis, Diplomatic Strategies, USA Foreign Policy.

## შესავალი

აშშ-ს საელჩოში ირანელი სტუდენტების შეჭრა, როგორც მას აიათოლა ხომეინი უწოდებდა – „მეორე რევოლუცია“, პოსტრევოლუციური ირანის მიმართ რიგი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ვექტორის განმაპირობებელი ფაქტორი გახდა. მძევლების კრიზისი თავისი განვითარებით ამერიკელების ეროვნულ მარცხად იქცა ახლო აღმოსავლეთში, ხოლო ირანელებისთვის დღესაც ეროვნულ დღესასწაულს წარმოადგენს. ამ ფაქტის გააზრების გარეშე კი, შეუძლებელია გავიგოთ ირან-აშშ-ს ურთიერთობები და მათ შორის დღემდე არსებული დაძაბული დამოკიდებულება.

ჩვენი სტატიის მიზანი გახლავთ, ერთი მხრივ, განვიხილოთ მთელი იმ მოვლენების დინამიკა, რამაც გამოიწვია ირანელი სტუდენტების მიერ აშშ-ს მოქალაქეების მძევლად აყვანა და შემდეგ განთავისუფლება, ასევე, ვიმსჯელოთ იმ სტრატეგიებზე, რომელსაც მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ მძევლების გასათავისუფლებლად. მძევლების კრიზისი ერთის მხრივ ტერორიზმის ნიშნების მატარებელია, მეორე მხრივ კი – ამერიკის „იმპერიალისტური კლანჭებიდან“ თავის დახსნის სიმბოლოა. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს ფაქტი ამერიკული შეიარაღებული ძალების და საგარეო პოლიტიკის მარცხს წარმოადგენდა ახლო აღმოსავლეთში, მეორე ნაწილისთვის კი, ეს უბრალოდ კარგი გამოცდილება გახლდათ, რომელმაც აშშ-ს საგარეო პოლიტიკის განვითარებაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა. ჩვენ მიერ შესწავლილ წყაროებში (იხ. ბიბლიოგრაფია) ხშირად განსხვავებულად არის წარმოდგენილი კრიზისის მიმდინარეობა და მისი აღმოფხვრის გზები. ჩვენ შევეცადეთ აღნიშნული წყაროები შეგვეჯერებინა და მათი ანალიზის საფუძველზე, წარმოგვედგინა ისტორიული რეალობა, მიზეზებითა და შედეგებით.

## ისტორიული ფონი

ირანის მძევლების კრიზისს საფუძველი შეუქმნა მანამდე მიმდინარე რამდენიმე მოვლენამ, რომლებიც 1950-იანი წლებიდან ვითარდებოდა. 1951 წელს არჩეულმა ირანის პრემიერ მინისტრმა, მოჰამედ მოსადეყმა ქვეყნის ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაცია გადაწყვიტა. ვინაიდან ბრიტანული და ამერიკული კორპორაციები თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ ირანის ნავთობპროდუქტებს, მათ შეიმუშა-

ვეს საიდუმლო გეგმა – TP-ajax და ირანელი გენერლების დახმარებით, 1953 წლის აგვისტოში მოსადეყი გადააყენეს. სრული ძალაუფლება გადაეცა მონარქს, მოჰამედ რეზა ფეჰლევს. მან ირანის ნავთობრეზერვების 80 პროცენტი ამერიკელებს და ბრიტანელებს გადასცა. შესაბამისად, CIA-ს და ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის ეს ოპერაცია წარმატებული აღმოჩნდა. თუმცა ბევრი ირანელი უკმაყოფილო იყო და ამ ფაქტს ირანის შიდა საქმეებში ამერიკელების ინტერვენციად აღიქვამდა.

გავლენიანი სასულიერო პირების უკმაყოფილებას იწვევდა, მოჰამედ რეზა ფეჰლევის სეკულარიზმი და მკვეთრად გამოხატული პროდასავლურ პოლიტიკა. მიუხედავად ირანში ბევრი პროგრესული ნაბიჯისა („დასავლური“ გაგებით), შაჰი სასტიკი და თვითნებური დიქტატორი აღმოჩნდა, რომლის საიდუმლო პოლიციაც (SAVAK) იჭერდა, აწამებდა და კლავდა ათასობით ადამიანს.

1970-იანი წლების ირანში უმუშევრობა და სიღარიბე მძვინვარებდა, შაჰის გარემოცვაში ფესვგადგმული იყო კორუფცია და ელიტარიზმი, ეკონომიკურ ზრდას მაღალი ინფლაცია ძირს უთხრიდა. ასეთი სოციალური ფონის მიუხედავად, ირანის მთავრობა მილიარდობით დოლარს ხარჯავდა ამერიკული იარაღის შესაძენად. გამომდინარე აქედან, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის, ისლამი საკუთარი თავისა და იდენტობის დაცვას საშუალებად იქცა.

ირანი ეტაპობრივად მოიცვა დემონსტრაციებმა, 1978 წლის იანვრიდან 1979 წლის თებერვლამდე დემონსტრაციები თანდათან გადაიზარდა ფართომასშტაბიან ეროვნულ საპროტესტო მოძრაობაში, ირანის შაჰის, მოჰამედ რეზა ფეჰლევის მთავრობის წინააღმდეგ. CIA და ამერიკის მთავრობა, ისევე როგორც ირანისა – რევოლუციური რყევებისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. 1978 წლის შემოდგომაზე თეირანში აშშ-ის საელჩოს მიმდებარე ტერიტორია დემონსტრაციების ჩატარების ადგილად იქცა ირანელების მხრიდან, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ამერიკელების ირანში ყოფნას, ხოლო 1979 წლის 14 თებერვალს, შაჰის მიერ ირანის დატოვების შემდეგ, საელჩოზე განხორციელდა შეტევა და მისი მოკლევადიანი ოკუპაცია. საელჩომ გაუძლო ამ თავდასხმას, რომლის დროსაც რამდენიმე თანამშრომელი დაიღუპა და დაიჭრა, ტყვედ ჩავარდა ერთი სამხედრო, რომელიც მალევე გაათავისუფლეს. ეს ინციდენტი ცნობილია როგორც „ვალენტინობის ღია კარის დღე“.

ცხადია, ირანი გახვეული იყო უზარმაზარ რევოლუციურ ცვლილებებში, რაც აშშ-ს პოზიციების ცვლილებასაც მოასწავებდა. შესაბამისად, რევოლუციის აქტიურ ფაზაში შესვლამდე, საელჩოს თანამშრომლების რაოდენობა 1400-ზე მეტი ადამია-

ნიდან შემცირდა 72-მდე. გარდა ამისა, ირანის დროებითი მთავრობა გაზაფხულსა და ზაფხულში ცდილობდა საელჩოს კომპლექსის გარშემო უსაფრთხოების გაძლიერებას.

საბოლოოდ, სტუდენტებისთვის საელჩოზე თავდასხმის კატალიზატორად იქცა ის ფაქტი, რომ 1979 წლის 22 ოქტომბერში ყოფილ მონარქს ამერიკელებმა ნება დართეს შესულიყო აშშ-ში მკურნალობის მიზნით. ამას დაემატა 1 ნოემბერს აშშ-ს პრეზიდენტის ეროვნული უსაფრთხოების მრჩევლის, ზბიგნევ ბჟეზინსკის და ირანის პრემიერ მინისტრის, მეჰდი ბაზარგანის შეხვედრა ალჟირში. ეს შეხვედრა ირან-აშშ-ს ახალი ურთიერთობის დაწყებას ეხებოდა, თუმცა ამან გააჩინა ბრალდებები ბაზარგანის მიმართ, თითქოს ის ამერიკელ ჩინოვნიკებთან თანამშრომლობდა.[1]

## მძევლები

აშშ-ს საელჩოზე მეორე თავდასხმა, რაც შემდგომში ხანგრძლივ კრიზისად გადაიქცა, იგეგმებოდა ჯერ კიდევ 1979 წლის სექტემბრიდან, იბრაჰიმ ასჰარზადეს და რამდენიმე სხვა სტუდენტის მიერ, რომლებიც კონსულტაციებს გადიოდნენ თეირანის წამყვანი უნივერსიტეტების ისლამური ასოციაციების ხელმძღვანელებთან. მათ თავის ჯგუფს „იმამის კურსის მიმდევარი სტუდენტები" უწოდეს. თავდაპირველად ისინი საბჭოთა კავშირის საელჩოზე შეტევის შესაძლებლობას განიხილავდნენ, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა აშშ-ს საელჩოზე თავდასხმა და მისი დაკავება რამდენიმე საათით ან დღით. მათი აზრით, ეს იქნებოდა მტკიცე და ეფექტური გზავნილი მსოფლიოსათვის, რომ ისინი არ შეეგუებოდნენ სხვა ქვეყნების ჩარევას ირანის შიდა საქმეებში.[2] გეგმის განსახორციელებლად სტუდენტები აწარმოებდნენ საელჩოს დაზვერვას და ეცნობოდნენ 14 თებერვალს საელჩოზე თავდასხმის მონაწილეთა გამოცდილებას. აღსანიშნავია, რომ მათ მხარს უჭერდა აიათოლას ჯგუფის სულიერი ლიდერი მუჰამად მუსავი ჰოენიმაც.

სტუდენტების განზრახვის შესახებ აიათოლა ხომეინმა არაფერი იცოდა,[3] მას განზრახ არ შეატყობინეს, რადგან არსებობდა იმის ალბათობა, რომ ბაზარგანის მთავრობას, რომელსაც სტუდენტები არ ენდობოდნენ, ეს მცდელობა აღეკვეთა, და ამას-

[1] https://www.washingtonpost.com/archive/politics/1979/11/07/bazargan-government-resigns- in-iran/e4360d7c-31ba-4cd0-9cbb-4649d24f50f2/?utm_term=.352e9961da5e

[2] https://www.theatlantic.com/magazine/archive/2004/12/among-the-hostage-takers/303596/

[3] http://content.time.com/time/magazine/article/0,9171,992548,00.html

თან, საელჩოში შეჭრა ხომეინის გაფრთხილების გარეშე ბაზარგანის მთავრობის პარალიზებას მოახდენდა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თებერვლის თავდასხმის შემდეგ ბაზარგანი გახდა აშშ-ს საელჩოსა და მისი თანამშრომლების უსაფრთხოების გარანტი. სტუდენტები აშშ-ს საელჩოს ჯაშუშების ბუდედ თვლიდნენ, საიდანაც განხორციელდა მოსადეყის მთავრობის დამხობა, ამიტომ მათი გეგმა ერთგვარი შურისძიებაც უნდა ყოფილიყო. შაჰის აშშ-ში შესვლის გამო ხომეინმა ხალხს ანტიამერიკული დემონსტრაციებისკენ მოუწოდა, შესაბამისად ეს გარემოება სტუდენტებისთვის საელჩოში შეჭრის საბაბად იქცა.

1979 წლის 4 ნოემბერს, ხომეინის ერთგული ირანელი სტუდენტების მიერ ორგანიზებული ერთ-ერთი დემონსტრაცია, რომელიც საელჩოსთან იმართებოდა, არეულობაში გადაიზარდა. დაახლოებით დილის შვიდი საათისთვის „სტუდენტების" ლიდერებმა შეკრიბეს 300-დან 500-მდე მხარდამჭერი და გააცნეს გეგმა. მათ გადალახეს წინაღობები და შეიარაღებული დაცვა, რომელმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადა თუმცა უშედეგოდ, შეიჭრნენ საელჩოში, დაიკავეს მთელი ტერიტორია და დაატყვევეს მისი პერსონალი. თავდაპირველად ეს იყო საელჩოს სიმბოლური დაკავება, რომელიც გამოქვეყნდებოდა პრესაში და გაგრძელდებოდა მანამ, სანამ ირანის მთავრობა უსაფრთხოების ძალებს არ გამოგზავნიდა წესრიგის აღსადგენად. სტუდენტებს ხომეინის მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, ხომეინმა კი, საგარეო საქმეთა მინისტრი – იბრაჰიმ იაზდი გაგზავნა მათ გამოსაყვანად საელჩოდან, თუმცა საღამოს, როცა იაზდი ქალაქ ქომიდან[1] თეირანში ჩავიდა, რადიოში მოისმინა ხომეინის განცხადება, რომელიც მხარს უჭერდა სტუდენტებს და მძევლების აყვანას „მეორე რევოლუციას" უწოდებდა, ხოლო საელჩოს – „ამერიკელი ჯაშუშების ბუნაგს".

პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში საელჩოს ის თანამშრომლები, რომლებიც იქ არ იმყოფებოდნენ ან/და იმალებოდნენ, სტუდენტებმა მოძებნეს და საელჩოში დააბრუნეს, მაგრამ 6-მა ამერიკელმა დიპლომატმა მოახერხა და თავი შეაფარა ჯერ ბრიტანეთის, შემდეგ კი კანადის საელჩოს.

რაც შეეხება სტუდენტების მოთხოვნებს, ისინი აშშ-ს მიერ ირანის სასამართლოსთვის შაჰის გადაცემას მოითხოვდნენ, ამერიკელების მტკიცებით კი, მათ შაჰისთვის პოლიტიკური თავშესაფარი არ მიუციათ და ის იქ მხოლოდ სამკურნალოდ იმყოფებოდა. ამასთან ერთად, ხომეინი ითხოვდა ბაზარგანის წინამორბედის, ბახთიარის

[1] მიჩნეულია შიიტური ისლამის წმინდა ქალაქად.

დიდი ბრიტანეთიდან ექსტრადიციასაც, რომელიც სინამდვილეში საფრანგეთში იმყოფებოდა. გარდა ამისა, სტუდენტები მოითხოვდნენ აშშ-ს ბოდიში მოეხადა ირანის შიდა საქმეებში უხეში ჩარევისთვის, მათ შორის 1953 წელს მოსადეყის მთავრობის დამხობისთვისაც. 14 ნოემბრის შემდეგ კი, მოთხოვნებს აშშ-ს მიერ ირანის გაყინული აქტივების ამოქმედებაც დაემატა.

საელჩოს მოკლე დროით ოკუპირების თავდაპირველი გეგმა, ხომეინის მხარდაჭერის გამო, მძევლების განუსაზღვრელი ვადით აყვანის გეგმად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარგანმა მოუწოდა სტუდენტებს საელჩოს გათავისუფლებისკენ, მათ ეს მოთხოვნა არ შეასრულეს, რადგან მისდამი უნდობლობას დაემატა საელჩოს აღებამდე რამდენიმე დღით ადრე ბაზარგანის შეხვედრა ზბიგნევ ბჟეზინსკთან. სტუდენტების გათვლა ბაზარგანთან დაკავშირებით სწორი აღმოჩნდა, ის ზეწოლის ქვეშ მოექცა, ამიტომ 6 ნოემბერს მან დატოვა პრემიერის პოსტი და მოითხოვა, რომ მძევლების გათავისუფლების პირობით, აშშ-ს მოეხდინა შაჰის ექსტრადიცია ირანში.

მიუხედავად იმისა, რომ რევოლუცია შედგა, ირანი მაინც პოსტრევოლუციურ ქაოსში იყო გახვეული – თეირანში მიმდინარეობდა პოლიტიკური ბრძოლები – ისლამურ მემარჯვენეებს, სეკულარულ მემარცხენეებსა და სხვადასხვა მუსლიმურ ინტერესთა ჯგუფებს შორის, რომელიც რევოლუციის ლიდერის – ხომეინის გარშემო ვითარდებოდა. ამიტომ აიათოლამ გადაწყვიტა მძევლების საკითხი თავისი ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის გამოეყენებინა, რის შედეგადაც ამერიკასთან მოლაპარაკებები გაიწელა და მძევლების საკითხიც ჩიხში შევიდა. ანტიამერიკანიზმი გახდა ირანელი ხალხის გამაერთიანებელი ფაქტორი, რამაც გაზარდა ხომეინის რეპუტაცია და რეფერენდუმის გზით თეოკრატიული კონსტიტუციის მიღების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ხომეინი თავისი ოპონენტების პრო-ამერიკელებად მონათვლით, მათ დისკრედიტაციას ახდენდა. ამას გარდა, სტუდენტებმა საელჩოს აღების შემდეგ ხელში ჩაიგდეს საიდუმლო დოკუმენტების დიდი რაოდენობა, რითაც მოხერხდა CIA-ს აგენტების და მათი კონტაქტების (გადაბირებული აგენტების) იდენტიფიკაცია, რომლებიც შემდეგ ან დახოცეს, ან დააპატიმრეს.

სტუდენტებმა, საერთო ჯამში 66 მძევალი აიყვანეს, რომელთაგან 5 ქალი და 8 აფროამერიკელი 19-20 ნოემბერს გაათავისუფლეს. ერთი მძევალი, რომელსაც გაფანტული სკლეროზი აღმოაჩნდა, 1980 წლის 11 ივლისს გაათავისუფლეს, დანარჩენი 52 მძევალი (მათ შორის სამი – ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო დატყ-

ვევებული) კი 444 დღის განმავლობაში – 1981 წლის 20-იანვრამდე იმყოფებოდა ტყვეობაში. აღსანიშნავია, რომ ირანელი სტუდენტები მძევლებს დამამცირებლად ეპყრობოდნენ, მაგრამ არ ჰქონია ადგილი მათ მიმართ რაიმე ფიზიკურ ძალადობას. მათ თვალახვეულებს დაატარებდნენ კამერების წინ, არ ჰქონდათ ლაპარაკის, კითხვის და ტანსაცმლის გამოცვლის უფლება. მთელი კრიზისის განმავლობაში კი, გაურკვეველი იყო მათი ბედი და მათ მიმართ მოპყრობა: არავინ იცოდა, მძევლებს აწამებდნენ, მოკლავდნენ თუ გაათავისუფლებდნენ.

ცნობილია, რომ 1980 წლის 25 აპრილამდე, როცა ამერიკელებმა სცადეს სამაშველო ოპერაციის ჩატარება, მძევლები საელჩოში იმყოფებოდნენ, ხოლო ამ ფაქტის შემდეგ ისინი ჯგუფებად დაყვეს და ზოგი საპყრობილეებში, ზოგიერთი კი გაურკვეველ ადგილებზე გადაიყვანეს. საბოლოოდ კი, გათავისუფლებამდე ორი თვით ადრე ისინი ბახთიარის[1] სასახლეში მოათავსეს.

მძევლების აყვანიდან მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში, აშშ-ს პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის წარმომადგენლების და თეირანში მყოფი სხვა ქვეყნების დიპლომატების მცდელობები, გაეთავისუფლებინათ მძევლები, უშედეგო აღმოჩნდა. 7 ნოემბერს, აშშ-ს დელეგაციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალური პროკურორი – რეიმსი კლარკი და რომელსაც ირანელ მაღალჩინოსნებთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა – უარი ეთქვა ირანში შესვლაზე.

12 ნოემბერს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა, აბოლჰასან ბანი-სადრმა განაცხადა, რომ მძევლებს გაათავისუფლებდნენ, თუ შეერთებული შტატები ირანის შიდა საქმეებში ჩარევას შეწყვიტა, თუ შაჰს წარუდგენდნენ ირანის სასამართლოს და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას გადასცემდნენ ირანს. ამაზე ამერიკელებმა განაცხადეს, რომ ირანს თავისუფალად შეეძლო სამართლებრივი დავა ეწარმოებინა შაჰის მიმართ, როგორც ფინანსურ საკითხებთან, ასევე შაჰის რეჟიმის პირობებში ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.[2] იმავე დღეს პრეზიდენტმა კარტერმა გამოიყენა ეკონომიკური სანქციები და ირანისგან ნავთობის იმპორტი შეწყვიტა, ხოლო 14 ნოემბერს, ბრძანება №12170-ის საფუძველზე ამერიკულ ბანკებში ირანის აქტივების დაახლოებით 8 მილიარდი დოლარი გაყინა.[3] ამ სანქციებს მალევე ორ

---

[1] ირანელი გენერალი და სავაქის ყოფილი მეთაური, რომელიც იმავე სავაქმა მოკლა 1970 წელს ერაყში.

[2] https://www.britannica.com/event/Iran-hostage-crisis

[3] https://www.archives.gov/federal-register/codification/executive-order/12170.html

ქვეყანას შორის ვაჭრობის უმეტესი ნაწილის აკრძალვა მოჰყვა.

29 ნოემბერს შეერთებულმა შტატებმა ირანის მთავრობის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა საერთაშორისო სასამართლოში (რომელიც 1980 წლის მაისში აშშ-ს სასარგებლოდ გადაწყდა). ასევე, გაერო-ს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუციები 457 და 461 (4 და 31 დეკემბერს) ირანის ქმედებების წინააღმდეგ. საერთაშორისო თანამეგობრობა შეთანხმდა, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ირანის მიერ მძევლების აყვანის ფაქტს და სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები უნდა ჩართულიყვნენ მათ გამოხსნაში.[1]

1979 წლის 15 დეკემბერს შაჰმა დატოვა აშშ და პანამაში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების ძირითადი მოთხოვნა შაჰის ექსტრადიცია იყო, აშშ-დან მის წასვლას რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.

მძევლების აყვანა, ირანში და ისლამურ სამყაროში ბევრმა აშშ-ს უსუსურობისა და დამცირების სიმბოლოდ აღიქვა. ამერიკელებმა ვერც დიპლომატიური მანევრებით და ვერც ეკონომიკური სანქციებით ვერ მოახდინეს გავლენა ხომეინის ანტიამერიკულ პოზიციაზე, მათი უუნარობა, მძევლების სახლში დაბრუნება უზრუნველეყოთ, პირდაპირ ზეგავლენას ახდენდა კარტერის იმიჯსა და კომპეტენციაზე, ეს კი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა.

## „კანადური ხრიკი“

4 ნოემბერს, საელჩოს აღების მომენტში, ამერიკელების ორმა ჯგუფმა მოახერხა საელჩოდან გაქცევა, ისინი დიდი ბრიტანეთის საელჩოსკენ გაემართნენ, მაგრამ ერთ ჯგუფს გზა აერია და დემონსტრანტებს ჩაუვარდა ხელში, რომლებმაც ისინი საელჩოში დააბრუნეს. მეორე, ხუთკაციანმა ჯგუფმა ბრიტანეთის საელჩომდე ვერ მიაღწია იქ გამართული დემონსტრაციის გამო და ჯგუფის წევრის, რობერტ ანდერსის სახლში გადაწყვიტა დამალვა, შემდგომში კი ბრიტანეთის საელჩოში თავის შეფარება. მათ ექვსი დღე სხვადასხვა სახლებში გაატარეს, ბოლოს კი კანადელი საემიგრაციო მოხელის, შერდაუნის დახმარებით კანადის საელჩოს კომპლექსში გადავიდნენ, მოგვიანებით მათ მეექვსე ამერიკელიც შეუერთდა, რომელიც შვედეთის საელჩოში იმალებოდა. მათ კანადის საელჩოში 79 დღე გაატარეს.

კანადის ელჩმა, კენ ტეილორმა ეს ფაქტი კანადის პრემიერ მინისტრს შეატყო-

[1] https://www.un.org/Docs/scres/1979/scres79.htm

ბინა, რომელმაც CIA ჩააყენა საქმის კურსში, მათ ერთობლივად შეიმუშავეს ამერიკელი დიპლომატების ირანიდან გაყვანის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ამერიკელებისთვის კანადური პასპორტების და ირანის ყალბი ვიზების დამზადებას, რის მეშვეობითაც დიპლომატები შეუმჩნევლად დატოვებდნენ ირანს.

ოპერაციის ჩასატარებლად დამზადდა პასპორტები, ალტერნატიული პასპორტები, ვიზები და ა. შ. შემუშავდა რამდენიმე სათადარიგო გეგმაც, იმ შემთხვევისთვის, თუ ოპერაცია ჩავარდებოდა. რაც შეეხება ძირითად გეგმას, ის ითვალისწინებდა ირანში რვაკაციანი გადამღები ჯგუფის ჩასვლას, რომლებიც იღებდნენ ფილმს სახელწოდებით „არგო“. ეჭვი რომ არავის შეეტანა, შეიქმნა სტუდია „სიქს პროდაქშენი“, რომელიც მეტი დამაჯერებლობისთვის კინოჩვენებებსაც კი მართავდა.

ირანში გამგზავრება დაევალა CIA-ს ოფიცერს, ტონი მენდესს, „ხულიოს“ სახელით ცნობილ აგენტთან ერთად.

1980 წლის 27 იანვარს მენდესი, ხულიო და 6 ამერიკელი დიპლომატი, კანადური პასპორტებით და ყალბი ვიზებით შეუფერხებლად შევიდნენ მეჰრაბადის აეროპორტში და მცირე ტექნიკური შეფერხების შემდეგ გაფრინდნენ ციურიხში, სადაც მათ CIA-ს ოფიცრები ელოდნენ. 28 იანვარს კანადის საელჩო დაიხურა, ტეილორმა და კანადელმა დიპლომატებმა კი მშვიდობიანად დატოვეს ირანი.[1]

### ოპერაცია „RICE BOWL“ ( ბრინჯის თასი)[2]

1979 წლის 9 ნოემბერს, მძევლების კრიზისის დაწყებიდან ხუთი დღის შემდეგ პრეზიდენტმა კარტერმა განაცხადა, რომ კრიზისის მოგვარებასთან დაკავშირებით სამხედრო ვარიანტებიც განიხილებოდა. თავდაპირველი შეხვედრები ზბიგნევ ბჟეზინსკსა და შტაბების გაერთიანებულ კომიტეტს შორის (JCS), მიმართული იყო სამხედრო ვარიანტების ფორმულირებისკენ, იმ შემთხვევაში, თუ მძევლების წინააღმდეგ გამოიყენებდნენ წამებას ან სიცოცხლის მოსპობას. უნდა ითქვას, რომ თავიდან, კარტერისთვის სამხედრო რეაგირება არ იყო პრიორიტეტული და ის მხოლოდ სანქციებით შემოიფარგლებოდა.

სამაშველო მისიის დაგეგმვის სირთულეს წარმოადგენდა მასშტაბები. ოპერაციის არეალი მოიცავდა 11 ჰექტარზე მდებარე 16 შენობას, სადაც 66 მძევალს თვალ-

---

[1] https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/csi-publications/csi-studies/studies/winter 99-00/art1.html

[2] Major Peter D. Buck, The Iranian Hostage Rescue Attempt a Case Study.

ყურს ადევნებდა 5 სხვადასხვა ლოკაციაზე მყოფი 150-ზე მეტი ირანელი, რომელთაც მხარს უჭერდნენ შეიარაღებული ფანატიკოსები. ქვეყანაში იყო მტრულად განწყობილი მთავრობა საეჭვო სტატუსით და არაპროგნოზირებადი მოსახლეობა. პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ თეირანთან უახლოესი ამერიკული სამხედრო ბაზა დაახლოებით 2500 კილომეტრზე მდებარეობდა. ამერიკის საელჩო განლაგებული იყო დედაქალაქის თითქმის ცენტრში, რომელიც პოტენციურად კრაზანების ბუდეს წარმოადგენდა. თეირანის საზღვრებში მდებარეობდა არანაკლებ შვიდი სამხედრო ბაზა, 100-ზე მეტი პოლიციის განყოფილება და შეიარაღებული პოლიციელების უცნობი რაოდენობა.[1]

თეთრ სახლში განიხილებოდა რამდენიმე სამხედრო ვარიანტი, მათ შორის ირანული ნავთობის საბადოების ბლოკირება, სტრატეგიული წერტილების დაბომბვა, ნავსადგურების ბლოკირება, საერთო ბლოკადა, ქარკის კუნძულის ჩამორთმევა და სხვადასხვა ფარული ოპერაციები. თუმცა, საბოლოოდ მხოლოდ ერთი ვარიანტი იქნებოდა შერჩეული.

ხუთი თვის განმავლობაში, კომპლექსურ და საიდუმლო თავდასხმის გეგმას ამუშავებდა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი (JTF). ის ოფიციალურად 1979 წლის 12 ნოემბერს შეიქმნა გენერალ-მაიორ ჯიმ ვოტის მეთაურობით. JTF 1-79-ს ჰქონდა ერთი მიზანი და მისია – გეგმების და პერსონალის მომზადება მძევლების დასახსნელად და ბრძანების შემთხვევაში მისიის შესრულება. ირანში განვითარებული მოვლენების პარალელურად, იქმნებოდა JCS სპეციალური ოპერაციების დანაყოფის ცალკეული შემადგენლობა (JCS-SOD). SOD-ის ამოცანა იყო მოვლენების განვითარების მონიტორინგი, ირანში არსებული სიტუაციის ამსახველი კადრების შეგროვება, ცვლილებების ალბათობის შეფასება, აგენტების ჩანერგვა და ინფორმაციის მოპოვება. უშუალო თავდასხმის დაგეგმვა დაევალა დელტას სპეციალური ოპერაციების ძალებს, რომელიც 1978 წლის ივლისში შეიქმნა. დელტა არ ფლობდა აუცილებელ შესაძლებლობებს, რომლებიც საჭიროა დაძაბულ სიტუაციებში შორეულ და კომპლექსურ ობიექტებზე შეტევისას.

დაგეგმვის ფაზის ჯერ კიდევ გაურკვეველმა სქემამ მიიღო დასახელება „ოპერაცია რაისი ბოული"[2]. ის შედგებოდა ოთხი ზოგადი ნაწილისაგან: 1. ამერიკელი

---

[1] სამი ტიპის საფრენ საშუალებას საერთო ჯამში, ორივე გზაზე უნდა გაევლო 11 170 კმ. ხოლო დელტას ჯგუფს ჯერ ფეხით და შემდეგ სატვირთოებით უნდა დაეფარა 85 კმ.

[2] Rice Bowl წარმოადგენს სიღარიბესთან ბრძოლის ჰუმანიტარულ მისიას მესამე სამყაროს

მძევლების გამოხსნა გეგმა, რომელიც ნებისმიერ მომენტში უნდა ყოფილიყო შესრულებადი. 2. გეგმა უნდა განხორციელებულიყო მინიმალური რისკებით, ეს იქნებოდა მძევლების გადარჩენა თუ მსხვერპლი ირანელების მხრიდან. 3. სამაშველო ოპერაციაში მონაწილე პერსონალის მომზადება, რომელიც ასევე მოიცავდა ტექნიკის და აღჭურვილობის მოდიფიკაციასაც. 4. სამუშაო ჯგუფი პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო ოპერაციის უსაფრთხოებაზე; გარდა ამისა იყო შეზღუდვები, როგორიცაა მინიმალური მსხვერპლი, ოპერაციაში ჩართული ადამიანების რაოდენობა, ფრენის შეზღუდვა რამდენიმე ქვეყნის საჰაერო სივრცეში, მათ შორის ომანის სივრცეშიც.

დაგეგმვის საწყის ეტაპზე პრობლემას წარმოადგენდა სადაზვერვო ინფორმაციის ნაკლებობა, რასაც ირანში ამერიკელი აგენტების არარსებობა იწვევდა. ამიტომ, დაზვერვაში ჩართული იყო სატელიტური გამოსახულებები, ირანული პრესის სატელევიზიო სიუჟეტები, უცხოელებისა და სხვა ქვეყნის დიპლომატებისგან მიღებული ინფორმაციები და ა. შ. CIA-მ ირანში რამდენიმე ფარული ოპერატიული თანამშრომლის გაგზავნაც კი მოახერხა, რომლებმაც მოიპოვეს მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაციები და კრიტიკულ სიტუაციაში სამხედრო ოპერაციისთვის ლოჯისტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფაც შეეძლოთ.

1979 წლის ნოემბრის ბოლოსთვის დამუშავდა გეგმის სპეციფიკური ელემენტები. გეგმაში გამოიყო ის ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ბაზირება. განისაზღვრა თვითმფრინავის გაბარიტული შესაძლებლობები. აშკარა იყო, რომ ვერტმფრენი თეირანის ურბანული გარემოსთვის წარმატების საუკეთესო შანსს წარმოადგენდა. ამერიკული ვერტმფრენების ფლოტში შემავალ მხოლოდ Sikorsky H-53-ს ჰქონდა მისიის ჩატარების შესაბამისი წარმოებითი, გაბარიტული და ტექნიკური პოტენციალი. საბოლოოდ არჩეულ იქნა მის ერთ-ერთ სახეობა – საზღვაო ფლოტის RH-53D. აღსანიშნავია, რომ ირანის სამხედრო-საზღვაო ფლოტსაც გააჩნდა მსგავსი ტიპის ვერტმფრენები, ამიტომ თუ ირანელები მათ შეამჩნევდნენ, შესაძლოა თავიანთ ვერტმფრენებად ჩაეთვალათ. თავად პილოტები გადიოდნენ სხვადასხვა ტიპის სწავლებებს, მათ შორის ე. წ. დაბალი დონის ტაქტიკას, რომელიც ვერტმფრენების ხილვადობის შემცირების მიზნით გამოიყენება და გულისხმობს რადიოში სიჩუმის დაცვას. ეს ტაქტიკა ოპერაციის პროცესში ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა.

---

ქვეყნებში, რომელიც ფუნქციონირებს 1975 წლიდან. ამერიკელები ცდილობდნენ ამ სახელით გადაეფარათ მათ მიერ განხორციელებული ფრენები ახლო აღმოსავლეთში, რომლებიც მძევლების გამოხსნის ოპერაციისთვის მზადებას უკავშირდებოდა.

უშუალოდ თავდასხმის ოპერაციას ერთ საათზე ნაკლები სჭირდებოდა, მაგრამ ობიექტური გარემოებები და გეოგრაფიული მდებარეობა, გეგმის სამივე ეტაპზე – ჩასვლა, მძევლების გამოხსნა, წამოსვლა – ითვალისწინებდა ღამით მოქმედებას, რაც ორ დღე-ღამეს მოითხოვდა. ასევე, გეგმა ითვალისწინებდა შემტევი ძალებისა და საწვავმზიდი თვითმფრინავების შეხვედრის საიდუმლო ადგილს – კოდური დასახელებით უდაბნო 1.

ოპერაციის დაწყების ფაზაში, სამი MC-130 თავიანთი ბაზიდან გაემგზავრებოდა ომანში, მასირას კუნძულზე, სადაც შეავსებდა საწვავს და გაფრინდებოდა შეხვედრის ადგილ უდაბნო 1-ზე, დაშთ-ი-ჰავირის (მარილის დიდი უდაბნო) უდაბნოში. ამ თვითმფრინავებში იქნებოდნენ დელტას მებრძოლები, უდაბნო 1-ის უსაფრთხოების ჯგუფი და მძღოლები ირანში გადაადგილებისთვის. პირველი MC-130 უნდა გაფრენილიყო ერთი საათით ადრე, ვიდრე მეორე და მესამე და უსაფრთხოების მიზნით ვიზუალურად უნდა განესაზღვრა უდაბნო 1-ის პერიმეტრი. ასევე, უსაფრთხოების ჯგუფებს და საბრძოლო მეთვალყურეებს უნდა მოეწყოთ დასაშვები ზონა და ტაქტიკური საჰაერო სანავიგაციო სისტემა, რომელსაც გამოიყენებდნენ ავიამზიდთან დასაკავშირებლად, ხოლო რამდენიმე წუთში მეორე და მესამე MC-130-ებიც დაეშვებოდნენ, რომლებსაც სამხედრო და დამხმარე პერსონალი უნდა გადაესხათ და დაბრუნებულიყვნენ უკან. ამის შემდეგ, დაახლოებით ნახევარ საათში ჩაფრინდებოდა სამი EC-130 ტიპის საწვავმზიდი, რამდენიმე წუთში კი მათ შეუერთდებოდათ რვა ერთეული RH-53D ტიპის ვერტმფრენი, რომლებიც განლაგებული იყვნენ „ნიმითსის“ კლასის ბირთვულძრავიან ავიამზიდზე, ომანის ყურეში. საწვავის შევსების შემდეგ ვერტმფრენები დელტას მებრძოლებს გადაიყვანდნენ თეირანთან მდებარე საიდუმლო ობიექტ უდაბნო 2-ზე, საიდანაც ისინი ფეხით მივიდოდნენ ირანის შემოგარენში მდებარე საიდუმლო საწყობში, მათ იქ დახვდებოდა CIA-ს აგენტების მიერ წინასწარ დამალული სატვირთოები. ვერტმფრენები უნდა გადასულიყვნენ დამატებით საიდუმლო ობიექტზე და დალოდებოდნენ მძევლების გათავისუფლებას.

უშუალოდ სპეცოპერაციაში მონაწილეობა უნდა მიეღო მებრძოლთა სამ ჯგუფს, რომლებიც სამოქალაქო ტანსაცმლით და უხმაურო იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. ესენი იყვნენ: წითელი (40 სამხედრო), ცისფერი (40 სამხედრო) და თეთრი (13 სამხედრო), წითელ და ცისფერ ჯგუფებს ევალებოდათ საელჩოზე შეტევა, ხოლო თეთრ ჯგუფს ევალებოდათ საგარეო საქმეთა სამინისტროში მყოფი 3 მძევლის გათავისუფლება. მეორე ღამით, ისინი სატვირთოების დახმარებით და წინასწარ დაგეგმილი მა-

რშრუტით უნდა მისულიყვნენ საელჩომდე, შენობებში უნდა შეეღწიათ ფანჯრებიდან და გაეთავისუფლებინათ მძევლები, ამ ყველაფრისთვის კი 45 წუთი იყო გათვალისწინებული. თავდასხმის შემდეგ, დელტა დაუკავშირდებოდა ვერტმფრენებს და მძევლებს გადაიყვანდა ევაკუაციის ლოკაციაზე (ახლომდებარე სტადიონზე). ვერტმფრენები მძევლებს და დელტას ძალებს გადაიყვანდნენ მენზარიას აეროდრომზე, რომელსაც წინასწარ დაიკავებდნენ ამერიკელი რეინჯერები, საიდანაც მძევლები და JTF-ს პერსონალი თვითმფრინავ C-141-ით დატოვებდნენ ირანს და გადაფრინდებოდნენ ეგვიპტეში, „უადი ქენას“ აეროდრომზე.

გეგმა იყო სრულყოფილი, დეტალური და ამომწურავი. თუმცა, ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილების შემთხვევაში, მისი წარმატებით შესრულება დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორზე, როგორიცაა პიროვნული, პოლიტიკური, დიპლომატიური და სხვადასხვა ტიპის არაპროგნოზირებადი ცვლილებები და განვითარებული მოვლენების თანმიმდევრობა. ძალიან დიდ რისკს წარმოადგენდა ოპერაციაში მონაწილე ადამიანებისა და ტექნიკის რაოდენობა, რადგან აუცილებელი იყო კოორდინირებული მოქმედება არმიის ფლოტს, ავიაციასა და სპეცდანიშნულების დანაყოფებს შორის. გარდა ადამიანური ფაქტორების სრულად გაუთვალისწინებლობისა, რისკს წარმოადგენდა ირანელი სამხედროების მოქმედება და სხვა სიურპრიზები, რომლებიც შეიძლება მომხდარიყო სახმელეთო სპეცოპერაციის მსვლელობისას.

### ოპერაცია „ არწივის კლანჭი“[1]

1980 წლის აპრილის დასაწყისში კარტერის ადმინისტრაციის დიპლომატიური შესაძლებლობები ფაქტობრივად ამოიწურა. ირანში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა სწრაფად ვითარდებოდა, რაც მძევლების გამოხსნის ალბათობას ამცირებდა, ამიტომ 7 აპრილს აშშ-მ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. ზბიგნევ ბჟეზინსკმა ისარგებლა იმით, რომ სახელმწიფო მდივანი, საირუს ვენსი არ იმყოფებოდა ვაშინგტონში, რომელიც სამხედრო ჩარევის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო და 11 აპრილს, ეროვნული უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე, რომელიც პრეზიდენტმა კარტერმა მოიწვია სამხედრო ვარიანტების განსახილველად, ბჟეზინსკმა პრეზიდენტს წარუდგინა JTF 1-79-ის გეგმა, რომელიც მან დაამტკიცა. ამის შესახებ ვე-

[1] აგრეთვე ცნობილია, როგორც „ოპერაცია საღამოს სინათლე“ (Operation Evening Light) და „ოპერაცია ტაბასი“ (Operation Tabas); Major Peter D. Buck, The Iranian Hostage Rescue Attempt A Case Study.

ნსს არ აცნობეს, რის გამოც მოგვიანებით ის გადადგა.[1]

ოპერაციას დამტკიცების შემდეგ ეწოდა – ოპერაცია „არწივის კლანჭი“ და დაიწყო მზადება მისი განხორციელებისთვის. 24 აპრილისთვის ოპერაციაში ჩართული ტექნიკა და პერსონალი განთავსებული იყო საწყის წერტილებზე, საღამოს 7 საათისთვის კი გაიცა ოპერაციის დაწყების ბრძანება.

როგორც ჩაფიქრებული იყო, MC-130-ები ჩაფრინდნენ უდაბნო 1-ის ლოკაციაზე და აქედანვე დაიწყო გაუთვალისწინებელი პრობლემები. აღმოჩნდა, რომ ბაზასთან ახლოს მაგისტრალი გადიოდა, თვითონ ბაზა კი მაგისტრალის შემოვლით გზაზე იყო განლაგებული. სამხედრო პერსონალი იძულებული გახდა ამ გზაზე მიმავალი ავტობუსი დაეკავებინა თავისი 40 მგზავრით, რომლებსაც ოპერაციის დასრულების შემდეგ გაათავისუფლებდნენ. იმავე გზაზე მიმავალი ბენზინმზიდის მძღოლი კი, არ დაემორჩილა სამხედროების მოთხოვნას, ამიტომ, იმის შიშით, რომ ოპერაცია გამჟღავნდებოდა, ავტომობილს ყუმბარმტყორცნიდან ესროლეს. აფეთქებული ბენზინმზიდის ცეცხლის ალი რამდენიმე კილომეტრიდანაც კი მოჩანდა, მისი ერთი მგზავრი დაიღუპა, მძღოლმა კი გაქცევა მოახერხა. ცხადია, ამერიკელებმა მოულოდნელობის ეფექტი დაკარგეს.

გარდა ამისა, Nimitz-დან მომავალი 8 ვერტმფრენიდან №6-ს კრიტიკული[2] ხარვეზის გამო მალევე ავიამზიდზე დაბრუნება მოუწია, დანარჩენი შვიდი კი ორ სხვადასხვა მტვრის ღრუბელში მოყვნენ. ღრუბლის შიგნით ხილვადობა იმდენად დაბალი იყო, რომ ვერტმფრენების ეკიპაჟებს არ შეეძლოთ ვიზუალური კონტაქტის შენარჩუნება და ხშირად განიცდიდნენ სივრცულ დეზორიენტაციას. ამის გამო ისინი ფრენის კურსს ვერ ინარჩუნებდნენ და საკმაოდ ჩამორჩნენ დადგენილ გრაფიკს. ვერტმფრენები №1 და №2 მწყობრიდან გამოვიდნენ და მოუწიათ დაჯდომა, მაგრამ მაინც მიაღწიეს შეხვედრის ადგილამდე. ვერტმფრენი №5 ელექტრონიკის ხარვეზების გამო შუა გზიდან დაბრუნდა უკან, რომელმაც საწვავის არ ქონის გამო ძლივს მიაღწია ავიამზიდამდე. დანიშნულების ადგილზე ერთ საათზე მეტი დაგვიანების შემდეგ 6 ვერტმფრენი მივიდა, მათგან №2-ს ჰიდრავლიკის და ფრენის კონტროლის სისტემის პრობლემები შეექმნა და ვეღარ მიიღებდა ოპერაციაში მონაწილეობას, 5 ვერტმფრენი კი არ იყო საკმარისი ოპერაციის წარმატებისთვის.

---

[1] https://www.nytimes.com/2002/12/29/magazine/the-lives-they-lived-out-of-the-loop.html

[2] კრიტიკული ხარვეზი - ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მექანიზმის მოშლა.

უდაბნო 1-ის მეთაურმა, ჯეიმს კაილმა არსებული სიტუაცია მოახსენა JTF-ს მეთაურს – ჯიმ ვოტს, რომელმაც თავის მხრივ აცნობა პრეზიდენტს, კარტერმა კი ოპერაციის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.

ვერტმფრენების უკან დასაბრუნებლად საჭირო იყო მათი შევსება საწვავით. როგორც აღმოჩნდა, №4 საწვავმზიდს, რომელსაც სამი ვერტმფრენისთვის უნდა შეევსო ავზები, არ აღმოაჩნდა საკმარისი საწვავი, ამიტომ საჭირო გახდა №3 ვერტმფრენი გადასულიყო №6 საწვავმზიდთან და პარალელურად ასაფრენი ზოლი გაეთავისუფლებინა №4 საწვავმზიდისთვის. ვერტმფრენის აფრენისას წარმოქმნილ ქვიშის მტვერში პილოტმა ვერ შეძლო ორიენტაცია და არასწორი მანევრირების შედეგად პროპელერით წამოედო საწვავმზიდი №4-ის ფრთას, შემდეგ კი მის ფიუზელაჟს, რასაც აფეთქება მოჰყვა, შედეგად ეკიპაჟის რვა წევრი დაიღუპა. გარდა ამისა, დაზიანდა ახლომდებარე სამი ვერტმფრენი (ნომრები 1,4,8) და ერთი საწვავმზიდი (№6). პანიკაში ჩავარდნილმა JTF-ს მთელმა პერსონალმა მიატოვა ყველაფერი და №3 MC-130-ით დატოვა ირანი.

მეორე დღეს თეთრმა სახლმა ოფიციალური განცხადება გააკეთა მისიის ჩავარდნასთან დაკავშირებით. ირანელებმა მომდევნო დღეებში საელჩოში მყოფი მძევლები სხვადასხვა ციხეებსა და გაურკვეველ ადგილებში გადაიყვანეს, რათა შემდეგი სამაშველო ოპერაცია შეუძლებელი გამხდარიყო. ამერიკელებმა უდაბნო 1-ზე დატოვეს 44 მოწმე ავტობუსის მგზავრი, 9 გვამი (მათ შორის ერთი ირანელი), 1 საწვავმზიდი, 2 გამართული და 3 დაზიანებული ვერტმფრენი, რომლებიც პროტოკოლის თანახმად უნდა გაენადგურებინათ. ირანელებმა ხელში ჩაიგდეს სპეცოპერაციის მთელი გეგმა, რუკები, უახლესი ტექნოლოგიები, ფული და საიდუმლო დოკუმენტები, რის გამოც დისკრედიტირებულ იქნა ოპერაციაში მონაწილე გადაბირებული და ირანში მყოფი CIA-ს აგენტები. 25 აპრილს მთელი მსოფლიო შემოიარა დამწვარი და მიტოვებული ტექნიკის კადრებმა, რაც ცუდად აისახა კარტერის ადმინისტრაციისა და მთელი შეირაღებული ძალების ავტორიტეტზე. გარდა ამისა, ომანის ხელისუფლებამ, რომელმაც არაფერი იცოდა ოპერაციის შესახებ – ამერიკელებს თავიანთი ავიაბაზის გამოყენება აუკრძალა.

ინციდენტის შემდეგ სიტყვით გამოსვლისას აიათოლა რუჰოლა ხომეინმა გააკრიტიკა ჯიმი კარტერი და ალაჰს მადლობა გადაუხადა ირანის დაცვისთვის:

„ვინ გაანადგურა ბატონი კარტერის ვერტმფრენები? ეს ჩვენ გავაკეთეთ? არა, ეს ქვიშამ გააკეთა! ეს არის ღმერთის გზავნილი. ქარი არის ღმერთის გზავნილი... ეს

ქვიშა არის ღმერთის შუამავალი. მათ შეუძლიათ კიდევ სცადონ!“[1]

მადლიერების გრძნობით აღსავსე ირანელებმა კატასტროფის ადგილას მეჩეთი აგეს, ნიშნად იმისა, რომ ღმერთმა ისლამური რესპუბლიკა ამერიკელებისგან დაიცვა.

სპეცოპერაციის ჩავარდნის მიზეზების ძიებისას სენატის თავდაცვის საკითხების კომიტეტმა დაასკვნა, რომ მთავარი პრობლემა იყო პერსონალის არაკოორდინირებული და არაორგანიზებული ქმედება, პრობლემის ერთიანი ხედვის არარსებობა და მისი მასშტაბების რეალური შეფასება, რის გამოც ოპერაცია თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული. გარდა ამისა, სპეცოპერაციის ჩავარდნა გამოიწვია გართულებულმა გეგმამ და არასათანადოდ გაწვრთნილი სპეცდანიშნულების რაზმების არაადეკვატურმა ქმედებებმა. სენატის კომიტეტმა მოუწოდა თავდაცვის დეპარტამენტს სპეციალური დანიშნულების რაზმების ცალკე სტრუქტურულ ერთეულად გამოყოფაზე ეროვნული თავდაცვის ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში. 1987 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მოიწონა სენატის რეკომენდაციები და 1987 წლის 16 აპრილს შეიქმნა სპეციალური ოპერაციების სარდლობა.[2]

## მოლაპარაკებები და მძევლების გათავისუფლება[3]

გამომდინარე იქიდან, რომ მძევლების აყვანა ანტიამერიკანიზმით იყო გამოწვეული და ამ საკითხის მოლაპარაკებების საგნად ქცევა არ იყო ჩაფიქრებული, არ არსებობდა კონკრეტული მოთხოვნები, ამიტომ, შაჰის ექსტრადიციის მოთხოვნა იყო სარჩული, რათა ერთის მხრივ ირანელებს გაემართლებინათ ამერიკელების ტყვეობაში ყოფნა, მეორეს მხრივ კი, აიათოლას მიერ ამ ფაქტის მხარდაჭერა ზრდიდა ხომეინის ავტორიტეტსა და პრესტიჟს, რასაც ის ოპონენტების ჩამოსაშორებლად და ძალაუფლების კონსოლიდაციისთვის იყენებდა პოსტრევოლუციურ ირანში. ამიტომ, ხომეინი საწყის ეტაპზე მოლაპარაკებების გაწელვას ხელოვნურად ცდილობდა. თუმცა, მოგვიანებით ამერიკელების მიერ სანქციების ამოქმედება და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აშშ-ს მხარდაჭერა მძიმე ტვირთად დააწვა ირანის ეკონომიკას, რის გამოც ხომეინმა გადაწყვიტა ბოლომდე „ჩაბღაუჭებოდა“ მძევლების სა-

[1] http://kayhan.ir/fa/news/11060

[2] თორნიკე შურღულაია - ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები, ინტელექტი, თბილისი, 2013.

[3] Bowden, Mark - Guests of the Ayatollah: The Iran Hostage Crisis, (Part Four, Part Five), GrovePress, 2007.

კითხს, შესაბამისად ერთის მხრივ ამერიკელი მძევლები ირანში და მეორეს მხრივ აშშ-ს ბანკებში გაყინული ირანული აქტივები და დაწესებული სანქციები იქცა ხანგრძლივი მოლაპარკებების საგნად.

მოლაპარაკებების პირველმა მცდელობებმა, მიუხედავად იმისა რომ 13 მძევალი გაათავისუფლეს, შედეგები არ გამოიღო, ამიტომ აშშ-მ საერთაშორისო სამართლებრივი დავის წარმოება დაიწყო. მას შემდეგ, რაც 15 დეკემბერს შაჰი აშშ-დან პანამაში გაემგზავრა, თეირანმა პანამის მთავრობას ოფიციალურად მოსთხოვა შაჰის ექსტრადიცია, მაგრამ უშედეგოდ.

27 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის შეჭრა ავღანეთში ამერიკელებს იმედს აძლევდა, რომ ეს ფაქტი საბჭოთა კავშირიდან მომდინარე „საფრთხის ილუსტრირებას მოახდენდა" ირანისთვის და წარმოაჩენდა საჭიროებას, რომ მას ეთანამშრომლა აშშ-სთან. ამ დროს კარტერის ადმინისტრაციამ დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკებები ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ – სადეჰ გოთბზადეჰთან, რომელიც დაინტერესებული იყო კრიზისის დასრულებით. ჩამოყალიბდა გეგმაც, რომელიც ირანში საერთაშორისო სადამკვირვებლო კომისიის ჩასვლით მძევლების გათავისუფლების პროცესს დაძრავდა. თუმცა გეგმა ჩავარდა, რადგან მან ჯერ გაჟონა პრესაში, ხოლო შემდეგ საერთაშორისო კომისია არ შეუშვეს მძევლების სანახავად. 1980 წლის 23 თებერვალს ხომეინმა გამოაცხადა, რომ მძევლების ბედი უნდა გადაეწყვიტა ირანის პარლამენტს – მეჯლისს, რომელიც იმ დროისთვის არ იყო არჩეული.

1980 წლის დასაწყისში აქტიური მოლაპარაკებები არ ყოფილა. მხოლოდ აპრილის დასაწყისში იყო მოლაპარაკებების უშედეგო მცდელობები. რასაც შემდგომ დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა და სამხედრო სპეცოპერაცია მოჰყვა.

1980 წლის მაისში შეერთებულმა შტატებმა და მისმა უახლოესმა მოკავშირეებმა ირანის წინააღმდეგ აამოქმედეს ეკონომიკური ემბარგო, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი. 27 ივლისს შაჰის გარდაცვალებასაც არ შეუცვლია რამე. კრიზისის მოგვარება უფრო სავარაუდო გახადა აგვისტოს შუა რიცხვებში ირანში ახალი მთავრობის მოწყობის საბოლოოდ დასრულებამ. ამის ფონზე კარტერის ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ გააქტიურა და გააფართოვა დიპლომატიური მოლაპარაკებების მცდელობები. ამ დროისთვის კრიზისის მოგვარებამ ირანისთვისაც არსებითი მნიშვნელობა შეიძინა, რადგან ერაყთან ომის საშიშროების გამო სჭირდებოდა ამერიკული წარმოების სამხედრო ტექნიკა (შაჰის პერიოდიდან ირანის შეიარაღებული ძალების ტექნიკა ადაპტირებული იყო აშშ-ს სამხედრო სტანდარტებთან). ამასთან, შაჰი უკვე გარდაცვ-

ლილი იყო და მისი ქონების დაბრუნება, რომელსაც ირანი მოითხოვდა, ბევრად გამარტივდებოდა.

შედეგად, ირანელი ოფიციალური პირები მოლაპარაკებებში განახლებული ძალებით ჩაერთვნენ. ოპერაციის ჩავარდნიდან ოთხთვენახევრის შემდეგ, ირანის პრემიერმინისტრის მოადგილე, სადეყ ტაბატაბაი, რომელიც ხომეინის შვილის ცოლისძმა იყო და ახლო ურთიერთობა ქონდა აიათოლასთან, ესაუბრა მას კრიზისის მოგვარების გზებზე და მიიღო თანხმობა მოლაპარაკებების დაწყებისა. 12 სექტემბერს ხომეინმა მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ ახალი პირობები წარმოადგინა, მათ შორის უკანასკნელი შაჰის სიმდიდრისა და ირანული აქტივების დაბრუნება. 1980 წლის 16-18 სექტემბერს ტაბატაბაი შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გენშერს და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე უორენ კრისტოფერს[1], რათა განეხილათ მომდევნო ნაბიჯები.[2]

1980 წლის 22 სექტემბერს ერაყი შეიჭრა ირანში[3], რის გამოც მოლაპარაკებები დროებით შეწყდა, რადგან ირანის ოფიციალურმა პირებმა შეერთებული შტატები ომის პროვოცირებაში დაადანაშაულეს. ეკონომიკური ემბარგო აგრძელებდა ირანის ეკონომიკის დაუძლურებას და ქვეყნის შესაძლებლობას, გამკლავებოდა ერაყის არმიას. აგრეთვე, ოქტომბერში, როცა ირანის პრემიერ მინისტრი მოჰამედ ალი რაჯა ეწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მსოფლიოს ლიდერებმა ნათლად დაანახეს მას, რომ ირანი არ შეიძლება ელოდებოდეს მხარდაჭერას ერაყთან კონფლიქტში, რადგან მას ჰყავდა დატყვევებული ამერიკელი დიპლომატები.[4] მოგვიანებით პარლამენტის სპიკერი აკბარ რაფსანჯანი (შემდგომ პრეზიდენტი) პარლამენტში მძევალთა გათავისუფლების სასარგებლოდ გამოვიდა, რაშიც მას მხარს უჭერდნენ ტაბატაბაი და აიათოლას შვილი აჰმად ხომეინი. შედეგად ირანელებმა მოლაპარაკებები ისევ განაახლეს.

---

[1] ამ დროისთვის აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პოსტი ებარა ედმუნდ მასკს.

[2] https://news.google.com/newspapers?nid=1755&dat=19810129&id=VeMbAAAAIBAJ&sjid=9 GcE-AAAAIB AJ&pg=6775,6365491

[3] ერაყის მმართველმა, სადამ ჰუსეინმა ირანთან სასაზღვრო საკითხების ომით მოგვარება გადაწყვიტა, მას ჰქონდა შიში იმისა, რომ ირანის რევოლუციურ პროპაგანდას ერაყის შიიტურ მოსახლეობაზე, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენდა, გავლენა არ მოეხდინა. ომი თითქმის 8 წელი გაგრძელდა, დაიღუპა მილიონობით ადამიანი, საზღვრები კი ისევე დარჩა, როგორც ომამდე.

[4] https://www.britannica.com/event/Iran-hostage-crisis

ირანს, ახლა უკვე ოთხი მოთხოვნა ჰქონდა: 1. აშშ-ს ბოდიში უნდა მოეხადა ირანის შიდა საქმეებში ჩარევისთვის 2. პირობა უნდა დაედო, რომ ამას აღარ გააკეთებდა. 3. აშშ-ს უნდა გაეხსნა გაყინული ირანულ აქტივები და დაებრუნებინა შაჰის ქონება ირანისთვის. 4. შეეჩერებინა ყველა საერთაშორისო სამართლებრივი დავა ირანის წინააღმდეგ. შეერთებულ შტატებთან შეთანხმდა სამი მოთხოვნა, მაგრამ ბოდიშის მოხდაზე მათ უარი განაცხადეს.

2 ნოემბერს ირანის პარლამენტმა საბოლოოდ დაადგინა მძევლების გასათავისუფლებლად ფორმალური პირობები. 10 ნოემბერს უორენ კრისტოფერი ჩავიდა ალჟირში, ალჟირელი დიპლომატების შუამავლობით მოლაპარაკებების პროცესის დასაწყებად, რადგან ირანელებს არ სურდათ პირდაპირი ურთიერთობა ამერიკულ მხარესთან. პატარ-პატარა ხარვეზებმა, მათ შორის ენობრივმა ბარიერმა და ეკონომიკურმა საკითხებმა პროცესი შეანელა, თუმცა საბოლოოდ ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც მოიცავდა ფართო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ კომპრომისს.

1981 წლის 19 იანვარს ალჟირში ხელი მოეწერა შეთანხმების პაკეტს, რომელიც „ალჟირის დეკლარაციის“[1] სახელით არის ცნობილი. მისი მთავარი პუნქტებია:

- აშშ არ ჩაერევა ირანის შიდა საქმეებში პირდაპირი თუ არაპირდაპირ, სამხედრო თუ პოლიტიკური გზებით.
- აშშ აამოქმედებს ირანის გაყინულ აქტივებს, მოუხსნის სავაჭრო სანქციებს და ირანს გადასცემს ყოფილი შაჰის ქონებას.
- ორივე ქვეყანა დაასრულებს სასამართლო დავებს ერთმანეთის მიმართ, ამ პროცესისთვის შეიქმნება ირანი-აშშ-ს დავების განმხილველი ტრიბუნალი.
- ირანი გაათავისუფლებს მძევლებს და გადაიხდის აშშ-ს ვალებს.

საბოლოოდ, 1981 წლის 20 იანვარს, მეჰრაბადის აეროპორტში მცირედი შეფერხებების შემდეგ, მძევლები გაათავისუფლეს – რონალდ რეიგანის ინაუგურაციიდან რამდენიმე წუთში. ამასთან დაკავშირებით არსებობს ე. წ. „ოქტომბრის სიურპრიზის კონსპირაციული თეორია“, რომელიც არცთუ ისე უსაფუძვლოდ ადანაშაულებს რეიგანს იმაში, რომ სავარაუდოდ მან ისარგებლა ირან-ერაყის ომის დაწყებით და საიდუმლოდ გაურიგდა ირანელ მაღალჩინოსნებს. თეორიის მიხედვით მოლაპარაკე-

[1] დეკლარაციის სრული ტექსტი - http://www.parstimes.com/history/algiers_accords.pdf

ბები არჩევნებამდე უნდა შეეწყვიტა ირანს და მძევლების გათავისუფლება რეიგანის ინაუგურაციისთვის უნდა დაემთხვია, სანაცვლოდ კი, რეიგანის ადმინისტრაცია საიდუმლოდ მიჰყიდიდა იარაღს მათ. უცნობია რეალურად განხორციელდა თუ არა „ოქტომბრის სიურპრიზი“, რადგან მისი დასაბუთება ვერ მოხერხდა. ეს მოსაზრება შემდგომში ირან-კონტრას სკანდალს დაედოს საფუძვლად, იმ გაგებით, რომ ხუთი წლის შემდეგ ირანისთვის იარაღის მიყიდვის იდეის ხორცშესხმა განხორციელდა. ირან-კონტრას სკანდალი მდგომარეობდა იმაში, რომ ლიბანში, ტერორისტული ორგანიზაციის მიერ აყვანილი ამერიკელი მძევლების გათავისუფლება ირანს უნდა აეღო საკუთარ თავზე, ხოლო აშშ მას მიაწვდიდა იარაღს, მიღებული თანხით კი, ნიკარაგუაში დააფინანსებდა სოციალისტური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ დაჯგუფებას – კონტრას.[1]

## შედეგები

საერთაშორისო კრიზისს, რომელმაც 14 თვეზე მეტ ხანს გასტანა, არცერთი მხარისთვის არ მოუტანია რაიმე არსებითი სარგებელი. პირველ რიგში, ამერიკა-ირანის ურთიერთობების ასეთმა გამწვავებამ განაპირობა კარტერის პოლიტიკურ დასამარება და მორალური დარტყმა მიაყენა აშშ-ს პრესტიჟს საერთაშორისო არენაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ირანმა CIA-ს საიდუმლო მასალების ტომები გამოაქვეყნა. „არწივის კლანჭის“ ჩავარდნა ბევრმა აღიქვა ამერიკის მარცხად, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა აშშ-ს სპეცსამსახურებისა და არმიის კომპეტენციაც, შესაბამისად ისინი დადგნენ რთული სამხედრო და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ აშშ-ს მიერ შეიქმნა სპეციალური დანიშნულების რაზმების ცალკე სტრუქტურული ერთეული – სპეციალური ოპერაციების სარდლობა, ასევე მასიურად დაიწყო სამხედრო ტექნოლოგიების მოდერნიზაციის პროცესი, განსაკუთრებით შორეულ და კომპლექსურ ობიექტებზე სპეცოპერაციების ჩასატარებლად. დღესდღეობით აშშ-ს სპეციალური ოპერაციების სარდლობას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეუძლია სხვადასხვა ტიპის ოპერაციის ჩატარება.

რაც შეეხება ირანს, ის საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრდა როგორც არასტაბილური, რეაქციული, თეოკრატიული ელემენტი. მან ამ კრიზისის შედეგად მიიღო თავისი კუთვნილი 8 მილიარდის ღირებულების აქტივები ოქროს სახით, მაგრამ და-

[1] https://fas.org/irp/congress/1992_cr/h920205-october-clips.htm

კარგა ყველანაირი საერთაშორისო მხარდაჭერა, მიღო ეკონომიკური და სავაჭრო სანქციები. დღესაც კი, მისი დიპლომატიის ძირითად ინსტრუმენტად რჩება აგრესიული რიტორიკა, ტერორი, ტერორიზმის მხარდაჭერა და ტერორისტების დაფინანსება. აშშ-ს და ირანს შორის მუდმივად დაძაბული ურთიერთობები არა იმდენად ისლამური რევოლუციის დამსახურებაა, რამდენადაც ანტიამერიკანიზმით გამოწვეული მძევლების კრიზისის შედეგად დამდგარი გრძელვადიანი მემკვიდრეობა. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები მძევლების კრიზისიდან 40 წლის შემდეგაც კი არ არის აღდგენილი. თეირანში აშშ-ს ყოფილ საელჩოში დღეს ანტიამერიკული მუზეუმი ფუნქციონირებს.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. ქენქაძე კახი, *ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ისტორია (1933-1993).* წიგნი მეორე (იმპერიული საპრეზიდენტო დიპლომატია), თბილისი 2009.
2. პაპავა ვასილ, *SAVAK (ირანის შაჰის დაზვერვისა და სახელმწიფო უშიშროების სამსახური),* თბილისი, 2016.
3. შურღულაია თორნიკე, *ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები,* ინტელექტი, თბილისი, 2013.
4. აშშ-ის სპეცრაზმის ყველაზე სამარცხვინო მარცხი, 03.07.2014, http://geworld.ge/ge/6018/ - აღნიშნული ვებ-გვერდი რუსული სპეცსამსახურების პროექტია, რომელიც ხშირად ავრცელებს დეზინფორმაციას, თუმცა აღნიშნული სტატიის დეტალები გადამოწმებულია და შეესაბამება სიმართლეს.
5. Buck, Major Peter D. USMC – The Iranian Hostage Rescue Attempt A Case Study, Marine Corps University, 2001-2002.
6. Radvanyi, Major Richard A. USAF – Operation Eagle Claw-lessons Learned, Marine Corps University, 2000-2001.
7. Houlton, B.a Tyler Q. – the Impact of the 1979 Hostage Crisis in Iran on the U.s. Presidential Election of 1980, Georgetown University, 2011.
8. Bowden, Mark – Guests of the Ayatollah: The Iran Hostage Crisis, Grove Press, 2007.
9. Bowden, Mark Among the Hostage-takers, 12.2005. https://www.theatlantic.com/magazine/archive/2004/12/among-the-hostage-takers/303596/

10. Scott Macleod, Radicals Reborn – Iran's Student Heroes Have Had a Rough and Surprising Passage, 15.11.1999. http://content.time.com/time/magazine/article/0,9171,992548,00.html
11. The Hostages and the Casualties. http://www.jimmycarterlibrary.org/documents/list_of_hostages/
12. Cumming Bruce, Nicholas Bazargan Government Resigns in Iran, 7.11.1979. https://www.washingtonpost.com/archive/politics/1979/11/07/bazargan-government-resigns-in-iran/e4360d7c-31ba-4cd0-9cbb-4649d24f50f2/?utm_term=.352e9961da5e
13. Rubin, Michael Brzezinski's Cognitive Dissonance, 01.14.2016. https://www.commentarymagazine.com/foreign-policy/middle-east/iran/brzezinskis-%20cognitive-dissonance/
14. Cummingbruce, Nicholas, Bazargan Government Resigns in Iran, 11.08.1979. https://www.washingtonpost.com/archive/politics/1979/11/07/bazargan-government-resigns-in-iran/e4360d7c-31ba-4cd0-9cbb-4649d24f50f2/?utm_term=.7948bdad7fe5
15. The Editors of Encyclopaedia Britannica, Iran Hostage Crisis. https://www.britannica.com/event/Iran-hostage-crisis
16. Executive Orders, Executive Order 12170 – Blocking Iranian Government Property. https://www.archives.gov/federal-register/codification/executive-order/12170.html
17. Security Council Resolutions – 1979. https://www.un.org/Docs/scres/1979/scres79.htm
18. Mendez, Antonio J. A Classic Case of Deception – CIA Goes Hollywood, 27.08.2007. https://www.cia.gov/library/center-for-the-study-of-intelligence/csi-publications/csi-%20studies/studies/winter99-00/art1.html
19. Cia Museum, Rescue of the „Canadian Six" – a Classic Case of Deception, 21.10.2012. https://www.cia.gov/about-cia/cia-museum/experience-the-collection/text-%20version/stories/rescue-of-the-canadian-six-a-classic-case-of-deception.html
20. Operation RICE BOWL, 30.04.2006. https://www.blog.artlaflamme.com/2006/04/operation-rice-bowl/
21. Brinkley, Douglas the Lives They Lived; Out of the Loop, 29.12.2002. https://www.nytimes.com/2002/12/29/magazine/the-lives-they-lived-out-of-the-loop.html
22. Operation Eagle Claw, https://en.wikipedia.org/wiki/Operation_Eagle_Claw
23. Tustin Kamps, Charles Operation Eagle Claw: the Iran Hostage Rescue Mission, 21.09.2006.

http://www.au.af.mil/au/afri/aspj/apjinternational/apj-s/2006/3tri06/kampseng.html
24. Balestrieri, Steve Operation Eagle Claw, Disaster at Desert One Brings Changes to Special Operations, 24.04.2017. https://specialoperations.com/30764/operation-eagle-claw-disaster-desert-one-brings-%20changes-special-operations/
25. Operation Eagle Claw: Modern War. https://www.learning-history.com/operation-eagle-claw/.
26. Khomeini, Imam (RA): The sand was a divine agent in Tabas, 05.05.2014 http://kayhan.ir/fa/news/11060
27. Sarasota Herald-tribune, West Germans Lauded for Aid During Hostage Crisis, 01.29.1981. https://news.google.com/newspapers?nid=1755&dat=19810129&id=VeMbAAAAIBAJ&sjid=%209GcEAAAAIBAJ&pg=6775,6365491
28. ალჟირის დეკლარაციის ტექსტი სრულად იხ.: http://www.parstimes.com/history/algiers_accords.pdf
29. White House Historical Association, Jimmy Carter and the Iranian Hostage Crisis. https://web.archive.org/web/20131002214814/http://www.whha.org/whha_classroom/classr%20oom_9-12-transitions-carter.html
30. Senior Division's Website, the Iran Hostage Crisis: When Compromise Fails. http://www.iranhostagecrisis.net
31. Creating a Task Force to Investigate Certain Allegations Concerning the Holding of Americans as Hostages by Iran in 1980 (House of Representatives – February 05, 1992). https://fas.org/irp/congress/1992_cr/h920205-october-clips.htm
32. Eric Randolph, „We Were the Wikileaks of Our Day“: Iran Hostage-taker, 03.10.2016. https://www.dawn.com/news/1293881
33. CNN Library, Iran Hostage Crisis Fast Facts, 10.2018. https://edition.cnn.com/2013/09/15/world/meast/iran-hostage-crisis-fast-facts/index.html